K 17 316 / 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავთისხევის
# არქეოლოგიური ძეგლები

„მეცნიერება"
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს არქეოლოგიური კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

# კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი

1980

63.4 (2Г)
902.6 (47.922)
ა 141

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებულში მოცემულია კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1972—78 წლებში სოფ. კავთისხევში „საყარაულო სერის", „ქარსაანთ მიწების" და „დაჭრილების" სამაროვნებზე გათხრილი და შესწავლილი სამარხებისა და სამარხეული ინვენტარის სრული პუბლიკაცია. ეს მასალა მატერიალური კულტურის განვითარების თვალსაზრისით მეტად საინტერესო სურათს წარმოაჩენს და დიდად დაეხმარება კავკასიის არქეოლოგიით დაინტერესებულ მკითხველს.

K 17 316

საქბ-2000
შემოწმებულია

A $\frac{10602}{М\ 607\ (06)—80}$ 246—80 © გამომცემლობა „მეცნიერება", 1980

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქტორისაგან

კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის ჩრდილო განაპირას, მდ. კავთურას მარცხენა სანაპიროს სახნავ მიწებში ამოზიდული ბორცვია — „ციხია გორა“, რომელიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1971 წლიდან ითხრება.

გორაზე დადასტურებულია სამი კულტურული ფენა — ადრებრინჯაოს, გვიანბრინჯაო-ადრერკინის და ანტიკური ხანისა. პირველი ორი ფენა მცირე ფართობზეა გამოვლენილი, ჯერჯერობით ისწავლება ანტიკური ფენა. გორის გარდა ითხრება და ისწავლება მის გარშემო მდებარე ნასოფლარი და სამაროვანი. ნასოფლარზე ანტიკური ფენაა დადასტურებული, სამაროვანზე კი გვიანბრინჯაოსი, ადრერკინისა და ანტიკური ხანის. „ციხია გორაზე“ მოსახლეობა გაჩენილა ადრებრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე (ძვ. წ. IV ათასწლეულის ბოლო საუკუნეები) და ამ დასახლებას ძვ. წ. III ათასწლეულის პირველ ნახევრამდე გაუძლია, რის შემდეგ კარგა ხნით ჩანს შეწყვეტილი ცხოვრება. გორის „ხელახალი ათვისება“ დაახლოებით ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში მომხდარა. აქედან მოყოლებული უკვე უწყვეტი ბინადარი ცხოვრებაა წელთაღრიცხვათა მიჯნამდე. დაახლოებით ძვ. წ. VII ს. გორის გარშემო დაბა გაჩენილა, ე. ი. ამ დროისათვის ეს ბორცვი საერთო საცხოვრისი აღარაა, ჩანს, იგი ციხედ, სალოცავ ხატად იქცა. სწორედ ამ ციხე-ხატის გამო უნდა დარქმეოდა ამ გორას „ციხია გორა“.

მოსახლეობას თავისი სამაროვანიც უნდა ჰქონოდა და, ბუნებრივია, ექსპედიციამ იმთავითვე დაისახა მიზნად მისი მოძებნა. დაზვერვითი სამუშაოები სწარმოებდა 1971—72 წწ. მაშინვე იქნა მიკვლეული საკმაოდ ვრცელი სამაროვანი გორის ჩრდილოეთით ადგილ „საყარაულო სერსა“ და „დაჭრილებში“. შემდეგ წლებში მუშაობა ძირითადად გორაზე მიმდინარეობდა, მხოლოდ 1975—76 წწ. ისწავლებოდა „დაჭრილების“ სამაროვანი, სადაც დადასტურდა მცირე ფართობზე (0,1 ჰა) კომპაქტურად განლაგებული ქვევრსამარხები. ზოგ შემთხვევაში სამარხი ქვევრები ერთმანეთზე იყო მიწყობილი. ამ გარემოებამ, რომელსაც ქვემოთ გაეცნობა მკითხველი, გვაფიქრებინა, რომ სამაროვნის „დაჭრილების“ უბანი „ციხია გორის“ საზოგადოების სოციალურად ზემო საფეხურზე მდგომარე ფენას უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ექსპედიციას ჯერ არ დაუკარგავს იმედი, რომ მიაგნებს უშუალოდ „ტაძრეულთა“ სამარხებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაროვნის სხვა უბნებზე („საყარაულო სერი“ და „ქასრაანთ მიწები“), სისტემატური მუშაობა სწარმოებს 1976 წლიდან, როდესაც დამტკიცდა მცხეთა-გორის საავტომობილო ტრასის პროექტი.

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, საბჭოთა მთავრობა იმთავითვე ზრუნავდა კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვისათვის. ბევრ სხვა ღონისძიებათა შორის საბჭოთა კანონი ავალდებულებს მშენებლებს თავიანთ სამუშაოთა პროექტებში გაითვალისწინონ იმ ძეგლთა შესწავლის დაფინანსება, რომელთაც მშენებლობისაგან მოელით საფრთხე. ამ კანონის საფუძველზე გზათა მშენებლობის სამინისტრომ გამოჰყო თანხა მშენებარე გზის იმ მონაკვეთის შესასწავლად, რომელიც გაივლის „საყარაულო სერის“ და „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნებზე. ამ ღონისძიების წყალობით მიმდინარეობს ამ მეტად საინტერესო სამაროვნების გეგმაზომიერი შესწავლა.

„საყარაულო სერის“ უბანზე სამარხები ძალზე მეჩხერად არის განლაგებული, მიუხედავად იმისა, რომ აქ გვხვდება სამარხები ძვ. წ. XII საუკუნიდან ვიდრე ახ. წ. IV საუკუნემდე. ასეთივე დიდი განსხვავებაა დაკრძალვის წესშიდაც. ამ უბანზე გაითხარა ორმოსამარხები გვიანბრინჯაოს, ადრერკინისა და ანტიკური ხანისა, გაითხარა გვიანელინისტური ხანის ქვევრსამარხები და ანტიკური ხანის ქვაყუთები. „ქასრაანთ მიწების“ სამაროვანი, „დაჭრილების“ მსგავსად, უფრო კომპაქტურია და იქ გვხვდება ძვ. წ. VI—IV სს. ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები.

თუ მთელ ამ მასალას ერთობლივ განვიხილავთ, მეტად საინტერესო სურათი წარმოგვიდგება მატერიალური კულტურის განვითარების თვალსაზრისით: ეს მასალა დიდ საერთოს ამჟღავნებს შიდა ქართლის და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან; თვალში საცემია სამარხეულ ინვენტარში იარაღის ნაკლებობა; საინტერესოა სამარხი ნაგებობების მოწყობაში და დამარხვის წესში ცვლილებები; ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნის მასალებში გვხვდება ე. წ. კოლხური ელემენტები და, რომ ძვ. წ. IV—III სს. სამრახებში („დაჭრილები“) ერთბაშად ჩნდება წითლად შეღებილ-გაპრიალებული და წითელი ანგობით მოხატული ჭურჭლები და სხვა მრავალი. წინა მდებარე კრებული სწორედ ამ მასალების პუბლიკაციას ეძღვნება.

სამაროვნის ცალკეული უბნების მასალების გამომქვეყნებლები თვითონ უშუალოდ იყვნენ მონაწილენი საველე სამუშაოებისა. ამავე დროს მათ გამოიყენეს ექსპედიციის დღიურები თუ ანგარიშები, რომლებიც თავის დროზე შედგენილი იყო 1971—74 წწ. ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილის ზ. შატბერაშვილის, უმცრ. თანამშრომლების — ა. ნუცუბიძისა და შ. ირემაშვილის მიერ.

ავტორები ამჯერად გვაწვდიან მასალის მხოლოდ პუბლიკაციას. მისი მეცნიერული გაანალიზება მათ მომავლისათვის აქვთ განზრახული.

წიგნს დართული ტაბულები სხვადასხვა დროს შესრულებულია არქიტექტორების — მ. ყარაშვილისა, ბ. ასაბაშვილისა და მხატვარ ზ. ნონიკაშვილის მიერ.

გვინდა დიდი გულისტკივილით ვაცნობოთ მკითხველთ, რომ „დაჭრილების“ სამაროვნის შემსწავლელი დიდად ნიჭიერი და ენერგიული ახალგაზრდა არქეოლოგი ნოდარ ნაკაიძე ბრმა შემთხვევის გამო უდროოდ გამო-

აკლდა ჩვენს რიგებს, რითაც, ყოველ შემთხვევაში, კასპის რაიონის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დიდი დანაკლისი განიცადა.

დაბოლოს ჩვენს სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, რომ ღრმა მადლობით მოვიხსენიოთ საგზაო მშენებლობის სამინისტრო და კასპის რაიონის ხელმძღვანელობა ექსპედიციისადმი მუდმივი გულისხმიერი დახმარებისა და მზრუნველობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. გვეტაძე

# გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხები საყარაულო სერიდან

(ტაბ. I—VIII)

„საყარაულო სერზე“[1] წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მრავალი საყურადღებო ძეგლი გამოავლინა. მათ შორისაა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხები, რომელთა შორის ორი ქრონოლოგიური პერიოდი შეინიშნება:

ა) გვიანბრინჯაოს ხანის ორმოსამარხებია: 1972 წ. გათხრილი № 15 და 22[2], 1977 წ. — № 9, 10, და 12; 1978 წ. გათხრილი № 1 ორმოსამარხი.

ბ) ადრერკინის ხანის ორმოსამარხები — 1977 წ. გათხრილი № 1 და № 2;

## გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხები

**ორმოსამარხი № 15** (ტაბ. I). აღმოჩნდა საყარაულო სერის სამხრეთ კალთაზე, ძლიერ ჩამორეცხილ ადგილზე, ორმოს ზომებია — 1,25—0,85 მ. მიცვალებული დამხრობილი იყო სამხრეთიდან ჩრდილოეთით, მარცხენა გვერდზე, გულხელდაკრეფილი და კიდურებმოხრილი.

მიცვალებულის სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა:

1. ლანგარი (სავ. № 33. ტაბ. I—1). თიხის, მსხვილმარცვლოვანი, შავლეგა, გაპრიალებული, ზომიერად მორკალული კალთები, მოყრილი პირბაკო, მხარზე გამოკვეთილი წიბო, ვიწრო პატარა ქუსლი. პირბაკოს ამკობს წნევით გამოყვანილი პარალელური ტალღური ორნამენტი და ღარისებური სარტყელი. პირი — 27 სმ, ძირი — 10 სმ.

2. ქინძისთავი (სავ. № 34. ტაბ. I—2). ბრინჯაოს სწორი ღერაკი, თავთან გახვრეტილი და გამსხვილებული. სიგრძე — 6,7 სმ.

**ორმოსამარხი № 22** (ტაბ. I). აღმოჩნდა № 15 ორმოსამარხიდან დასავლეთით 50 სმ. სამარხი დაზიანებული და ნაკლული იყო, ორმოს ზომებისა

---

[1] საყარაულო სერი ყველაზე მაღალი და გამოკვეთილ ადგილია იმ არემარეზე, საიდანაც თვალი გადევნება ვრცელ გარემოს, რამაც, ჩანს, განსაზღვრა ადგილის ტოპონიმი — „საყარაული სერი“. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობით, ლეკიანობის დროს ეს ადგილი სათვალთვალო პუნქტს წარმოადგენდა.

[2] აღნიშნული სამარხების გათხრას აწარმოებდა არქეოლოგიური ექსპედიციის თანამშრომელი შ. ირემაშვილი, ხოლო შეისწავლა არქეოლოგმა ზ. შატბერაშვილმა. იხ. 1972 წ. კავთისხევის არქ. ექსპედიციის ანგარიში (ხელნაწერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიცვალებულის დაკრძალვის პოზის დადგენა ვერ მოხერხდა. მიცვალებულის სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა:

1. ქილა (სავ. № 46. ტაბ. I—6). თიხისა, შავლეგა, ნაკლული, მაღალი, ფართო, ოდნავ გამოყვანილი ყელით და ბაკომომრგვალებული. პირის h—11,5—12 სმ.

2. ქილა (სავ. № 47). თიხის, № 46 ჭურჭლის მსგავსი.

3. ურმის თვლის მოდელი (სავ. № 48, ტაბ. I—4) თიხის, ლეგაფერის, d=6,5 სმ.

4. სასმისი (სავ. № 49. ტაბ. I—3). თიხის, შავლეგა, ცილინდრული, წელში გამოყვანილი, პირბაკო გამოყვანილი, წელზე შემოუყვება ჭდეული სარტყელი. h—6,5 სმ. პირის d—5,5 სმ. ძირის d—4,3 სმ.

5. ჯაჭვის ფრაგმენტები სავ. (№ 50. ტაბ. I—5), ბრინჯაოს მავთულისაგან შეკრული.

**ორმოსამარხი № 9.** აღმოჩნდა საყარაულო სერის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე. მდინარე შავწყალას მარცხენა მხარეს 30—40 მ დაშორებით. გვიანანტიკური ხანის ნასახლარის ქვეშ, მიწის ზედაპირიდან 0,50 მ მიცვალებულის ჩონჩხი დაზიანებულ იყო, მაგრამ მაინც მოხერხდა მისი დამხრობის დადგენა, თავით აღმოსავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში. სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა:

1. დერგი (სავ. № 100. ტაბ. II-1). თიხის, მსხვილმარცვლოვანი, ლე გამოშავოდ გამომწვარი, გაპრიალებული, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, დაბალყელიანი, ვიწრო ბრტყელი ძირით. ყელზე შემოუყვება ორი პარალელური ღარი. h—25,5 სმ, პd—2 სმ, ძd—16 სმ.

2. დერგი (სავ. № 94. ტაბ. II-2) მსხვილმარცვლოვანი თიხის, წარმოდგენილია ძირისა და გვერდის ნაწილით, მხარზე შემორჩენილია მრგვალგანივკვეთიანი ყური, საფიქრებელია ასეთივე ყური მიძერწილი ჰქონდა მეორე მხარეზე. ძირის d—12 სმ.

3. ქილა (სავ. № 93. ტაბ. III-1) თიხის, მსხვილმარცვლოვანი, ნაცრისფერი, თხელკეციანი, პირგადაშლილი მოგრძო კორპუსით. h—20,5 სმ, პ d—12 სმ, ძ. d—7 სმ.

4. ლანგარი (სავ. № 103, ტაბ. III-3) თიხის, მსხვილმარცვლოვანი, მოშავოდ გამომწვარი, მრგვალპირბაკოიანი, ვიწრო ბრტყელი ძირით. პ. d—15,5 სმ, ძ. d—8 სმ.

5. ქოთანი (სავ. №97. ტაბ. IV-1) თიხის, მსხვილმარცვლოვანი, ორყურა, მონაცრისფროდ გამომწვარი, სფერული მუცლით, პირგადაშლილი, ბრტყელძირიანი, მხარსა და ყელზე ორივე მხარეზე მიძერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი ყური, ყურის მხარეზე მოგრძო კოპი. სიმაღლე—21,5 სმ, პ. d—10 სმ, ძ. d—9 სმ.

6. ქოთანი (სავ. № 95. ტაბ. III-5) თიხის, მსხვილმარცვლიანი, მონაცისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, მხარზე ყური პატარა კოპით. სიმაღლე-17 სმ, პ. d—12 სმ, ძ. d—8 სმ.

7. ქოთანი (სავ. №96. ტაბ. III-2) თიხის, მსხვილმარცვლოვანი, შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, მხარზე მიძერწილი აქვს მრგვალგანივკკვეთიანი ყური პატარა კოპით. სიმაღლე—13 სმ, პ. d—11 სმ,. ძ. d—7 სმ.

8. კოჭობები (სავ. № 91. ტაბ. IV-2) თიხის, მსხვილმარცვლოვანი, მონაცრისფროდ გამომწვარი, მუცელგამობერილი, ვიწრო ძირით, სიმაღლე—9,2 სმ, პ. d—8 სმ, ძ. d—5,4 სმ.

9. ტოლჩა (სავ. № 92. ტაბ. III-4) თიხის, მსხვილმარცვლოვანი, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, წელში გამოყვანილი, ყელზე შემოუყვება ხაზი. ბრტყელძირიანი, ძირზე ჩატანებული აქვს ობსიდიანის პატარა ნატეხი, ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირსა და წელზე. ყური შემკულია ორი პატარა შვერილით. სიმაღლე—9 სმ, პ. d—8 სმ, ძ. d—6 სმ.

10. სავარცხელი (სავ. № 101, ტაბ. IV—3) ძვლის, შემორჩენილი აქვს სამი კბილი.

**ორმოსამარხი № 10.** აღმოჩნდა № 4 ორმოსამარხის აღმოსავლეთით 2 მეტრზე, გვიანანტიკური ნასახლარის ქვეშ, სამარხი დაზიანებული იყო. შემორჩენილი იყო ლულოვანი ძვლის ფრაგმენტები და მონაცრისფროდ გამომწვარი დოქის ნატეხები, ანალოგიური № 9 სამარხში აღმოჩენილი მასალისა.

**ორმოსამარხი № 12.** აღმოჩნდა საყარაულო სერის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მდინარე შავწყალას მარცხენა მხარეზე 40—45 მ-ის დაშორებით, მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 10—15 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი ძლიერ დაზიანებული იყო, გადარჩენილი იყო ჩონჩხის ლულოვანი ძვლის თითოოროლა ნატეხი და თავის ქალის ფრაგმენტი, რომლის მიხედვით თავი აღმოსავლეთით ჰქონია, თავით ქვა სდებია. ჭურჭელი მთლიანად იყო ჩალეწილი. მიცვალებულის სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა:

1. ქოთანი (სავ. № 102, ტაბ. V-1) თიხის, მსხვილმარცვლოვანი მოყვითალოდ გამომწვარი, სფერულმუცლიანი, პირგადაშლილი, პატარა ქუსლით, მხარზე მიძერწილი აქვს მრგვალგანივკვეთიანი ყური. ყელზე ჰორიზონტალურად შემოუყვება ხორბლის ფორმის ამოკეჭნილი ორნამენტი. სიმაღლე—15 სმ, ძd—6 სმ.

2. ქოთანი (სავ. № 103, ტაბ. V—2). თიხის, მსხვილმარცვლოვანი. წარმოდგენილია ძირისა და გვერდის ნაწილით. მონაცრისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, ვიწროძირიანი, ქუსლზე შემოუყვება გრეხილი ორნამენტი.

3. საკინძი (სავ. №104. ტაბ. V—3). ბრინჯაოსი, გრძელღეროიანი, დისკოსებრი თავით, მის ქვეშ კასრისებური გამსხვილებით და ღერო გახვრეტილი. სიგრძე =16 სმ (2 ც), მათ შორის ერთი გატეხილი.

4. მძივები (სავ. № 105, ტაბ. V—4) სერდოლიკის 70 ც. 2 ც. პასტისა.

**ორმოსამარხი № 1.** გაითხარა 1978 წ. საყარაულო სერზე, ჭაჭნიაანთ ნასახლარის დასავლეთით 20 მეტრზე. მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებულის სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა:

1. ჭურჭელი (სავ. №106, ტაბ. VII-5) თიხის, მსხვილმარცვლოვანი, ნაცრისფრად გამომწვარი, ორყურა, ცილინდრული ფორმის, მრგვალბაკოიანი. პირთან ჭურჭელს ჰორიზონტალურად შემოუყვება მრგვალი ფორმის სამი რელიეფური სარტყელი. სიმაღლე—21 სმ, პ. d—21 სმ, ძ.d—18 სმ.

2. დოქი (სავ. №107, ტაბ. VI-1) თიხის, მსხვილმარცვლოვანი, შავლეგა, გაპრიალებული, სფერულმუცლიანი, მაღალი გამოყვანილი ყელით. მრგვალგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარზე და ყელზე. ყურს პირთან მიერ-

თების ადგილზე აქვს გასწვრივი შვერილი და პეპლას ფორმის კოპი. ყელზე და მუცელზე შემოუყვება ამოღარული ხაზები, მათ შორის ირიბი ამოტვიფრული დიაგონალური ორნამენტით, რომელიც გადაჭრილი სამკუთხედების ფორმას იძენს. სიმაღლე—25 სმ, ძ. d—8 სმ, პ. d—8 სმ.

3. ლანგარი (სავ. №108, ტაბ.VI-2). თიხა მსხვილმარცვლოვანი, შავად გამომწვარი, გაპრიალებული, პირგადაშლილი, მხარზე გამოკვეთილი წიბო. ვიწრო, ბრტყელი ქუსლი, პირბაკოსა და წიბოს შორის ამოღარული ტალღისებური ორნამენტი. პ. d—7 სმ, ძ. d—10 სმ.

4. ქილა (სავ. №109, ტაბ. VII-2) თიხის. მსხვილმარცვლოვანი, მონაცრისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი. ვიწრო მაღალკორპუსიანი, სიმაღლე—13 სმ, პ. d—7 სმ, ძ. d—4 სმ.

5. ქოთანი (სავ. № 110, ტაბ. VII—1). თიხის. წარმოდგენილია პირგვერდის ნაწილით. მსხვილმარცვლოვანი, მონაცრისფროდ გამომწვარი, გაპრიალებული, პირბაკოგადაშლილი, ჰორიზონტალურად შემოუყვება პარალელური ნატვიფრი ღარები და მხარზე ჭდეული მცირე სამკუთხედის ფორმის ორნამენტები.

6. ქოთანი (სავ. №111, ტაბ. VII-3) თიხის მსხვილმარცვლოვანი, შავლეგა, პირგადაშლილი, ბიკონუსური, შემოუყვება ჰორიზონტალური ხაზები. სიმაღლე —7 სმ, პ. d—4 სმ, ძ.d—4 სმ.

7. მძივები (სავ. №112, ტაბ. VII-4) სერდოლიკის ღია ფერის (14 ც.).

„საყარაულო სერზე“ გათხრილ ორმოსამარხებში, როგორც დავინახეთ, გვხვდება კერამიკული ნაწარმი, ლითონის სამკაულები, პირის საფარეშო საგნები და სხვადასხვაგვარი მძივები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

კერამიკაში ფორმების მიხედვით შემდეგი ჯგუფები გამოვყავით:

დერგები, დოქები, ლანგრები, ქილები, ქოთნები, კოჭობები, სასმისები, ტოლჩები და საკულტო დანიშნულების ჭურჭელი.

დ ე რ გ ე ბ ი — წარმოდგენილია ორი ტიპით: ა) შავლეგა, გაპრიალებული, სფერულმუცლიანი, უყურო. ბ) ორყურა, ნაცრისფრად გამომწვარი მაღალი კორპუსით.

დ ო ქ ი — ერთი ტიპით, შავლეგა, გაპრიალებული, მრგვალგანივკვეთიანი, ყური მიძერწილი აქვს მხარზე, ყურის მხარზე პეპლას ფორმის კოპით, მუცელზე და ყელზე ჰორიზონტალურად შემოუყვება ღარები, ყელსა და მუცელს შორის დიაგონალური ნატვიფრი ხაზებით, რომლებიც წაწვეტილ სამკუთხედებს მოგვაგონებს.

ლ ა ნ გ რ ე ბ ი — წარმოდგენილია ორი ტიპით: ა) შავლეგა, გაპრიალებული, მხარწიბოიანი, პირბაკოსა და წიბოს შორის ტალღისებური ორნამენტით. ბ) შავად გამომწვარი მრგვალპირბაკოიანი, სადა ფორმისა.

ქ ი ლ ე ბ ი — გამოვყავით ორი ტიპით: ა) ნაცრისფერი, თხელკეციანი, მაღალი კორპუსით. ბ) შავლეგა, გაპრიალებული, ფართოყელიანი, ბაკომომრგვალებული.

ქ ო თ ნ ე ბ ი — პირველ ტიპში ვაერთიანებთ ცალყურა, სფერულმუცლიან ქოთნებს, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე ქვეტიპად იყოფა: ა) მოყვითალო-მონაცრისფროდ გამომწვარი, ყურზე კოპით. ბ) მონაცრისფრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოყვითალოდ გამომწვარი ყელზე ჰორიზონტალური ხორბლის ფორმის ორიბი ორნამენტით.

გ) მონაცრისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი, ქუსლზე გრეხილი ორნამენტით.

კ ო ჭ ო ბ ე ბ ი — წარმოდგენილია ორი ტიპით: ა) ლეგაფერის სფერულმუცლიანი.

ბ) შავად გამომწვარი გაპრიალებული ბიკონუსური ფორმისა.

ს ა კ უ ლ ტ ო  დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს  ჭ უ რ ჭ ე ლ ი  წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ა  ნაცრისფერი, ორყურა ცილინდრული ფორმით.

ს ა ს მ ი ს ე ბ ი — წარმოდგენილია ორი ტიპით: ა) შავლეგა, გაპრიალებული, ცილინდრული, წელში გამოყვანილი. წელზე ჭდეული სარტყლით. ბ) მონაცრისფრო-მოყვითალოდ გამომწვარი მაღალი, წვრილკორპუსიანი.

ტ ო ლ ჩ ე ბ ი — წარმოდგენილია ორი ტიპით: ა) ნაცრისფერი, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, რომელსაც მიძერწილი აქვს კოპი, ჭურჭელს ახასიათებს ლუდის კათხის მსგავსი ფორმა. ბ) ნაცრისფერი, წელში გამოყვანილი მრგვალგანივკვეთიანი ყურით, რომელზედაც ორი პატარა შვერილია, ფსკერზე ჩატანებული აქვს ობსიდიანის პატარა ნატეხი.

ლ ი თ ო ნ ი ს  ს ა მ კ ა უ ლ ი  წარმოდგენილია ქინძისთავებით. ისინი ერთი ტიპისანი არიან. დამზადებულია ბრინჯაოს გრძელი ღეროსაგან დისკოსებური თავით. გამსხვილების ადგილი გახვრეტილია, ნახვრეტის ადგილსა და თავს შორის ორი რელიეფური ღარით.

პ ი რ ი ს  ს ა ფ ა რ ე შ ო  ს ა გ ნ ე ბ ი — წარმოდგენილია ძვლის სავარცხელით.

მ ძ ი ვ ე ბ ი — წარმოდგენილია სერდოლიკისა და პასტის ნაკეთობით; სერდოლიკისა — თაფლისფერი, დახეთქილი, მრგვალი, დისკოსებური, მოგრძო, ხოლო პასტის მძივი კასრისებური. ეს სამარხები, თავიანთი ინვენტარის მიხედვით, ძვ. წ. XIII—XI სს. უნდა დათარიღდეს.

## ა დ რ ე  რ კ ი ნ ი ს  ხ ა ნ ი ს  ს ა მ ა რ ხ ე ბ ი

**ორმოსამარხი № 1.** აღმოჩნდა 1977 წ. საყარაულო სერის სამხრეთ კალთაზე, მიწის ზედაპირიდან 30 სმ სიღრმეზე. სამარხის მთლიანობა დარღვეული იყო, სამარხი ქვაყრილიანია. სამარხის ზომებია: 1,40×0,85 მ. მიცვალებულის ჩონჩხი იდო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთისაკენ. სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა:

1. დოქი (სავ. № 71. ტაბ. VIII-1) -მსხვილმარცვლოვანი თიხისა, ლეგამონაცისფროდ გამომწვარი, სფერულმუცლიანი, დაბალყელიანი, პირგადაშლილი, ვიწრო და ბრტყელძირიანი, ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირთან და მხართან. h—23 სმ. პ. d—10 სმ. ძ.d—9 სმ.

2. ქოთანი (სავ. № 70. ტაბ. VIII-6)—მსხვილმარცვლოვანი თიხისა, ლეგად გამომწვარი, გაპრიალებული ზედაპირით, დაბალყელიანი, ვიწრო და ბრტყელძირიანი, h—19 სმ. ძ. d—8,5 სმ.

3. კოჭობი (სავ. № 68. ტაბ. VIII-3)—მსხვილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი, გაპრიალებული, დაბალი, პირბაკოგადაშლილი, მუცელწიბოიანი,

ბიკონუსური ფორმის, ვიწრო ბრტყელი ძირით. h—7 სმ, ძ. d—5,5 სმ. პირის d—6 სმ.

4. კოჭობი (სავ. № 69. ტაბ. VIII-2)—მსხვილმარცვლოვანი თიხისა, რუხად გამომწვარი, დაბალყელიანი, პირბაკოგადაშლილი, მუცელგანიერი, ბრტყელძირიანი. h—6 სმ, ძ.d—4 სმ, პ d—5,5 სმ.

5. ისრისპირი (სავ. №72. ტაბ. VIII-7)—ბრინჯაოსი, ნესტარისებრი ფორმის, თხელი ფირფიტა, გახვრეტილი. სიგრძე—4,5 სმ. სიგანე—1,5 სმ.

6. ისრისპირი (სავ. № 73. ტაბ. VIII-7)—ბრინჯაოსი, ნესტარისებრი, წვერზე დასამაგრებელი ნახვრეტით, ფრთებჩამომტვრეული, წვერწატეხილი, სიგრძე—3,5 სმ, სიგანე—1,5 სმ.

7. ისრისპირი (სავ. № 74, ტაბ. VIII-7)—ბრინჯაოსი, ნესტარისებრი, წვერზე დასამაგრებელი ნახვრეტით. ცალი ფრთა მოტეხილი აქვს, სიგრძე—4,2 სმ, სიგანე—1,5 სმ.

8. ისრისპირი (სავ. № 75, ტაბ. VIII-7)—ბრინჯაოსი, ნესტარისებრი, წვერზე დასამაგრებელი ნახვრეტით, სიგრძე—2,5 სმ, სიგანე—1,5 სმ.

9. ისრისპირი (სავ. № 76, ტაბ. VIII-7)—ბრინჯაოსი, ნესტარისებრი.

10. ისრისპირი (სავ. № 77, ტაბ. VIII-5)—რკინის, ნესტარისებრი, ქუსლამოღარული, ცალი ფრთა მოტეხილი. რესტავრირებულია. სიგრძე—4 სმ.

11. ისრისპირი (სავ. № 78, ტაბ. VIII-7)—რკინის, ნესტარისებრი, ქუსლამოღარული. ფრთები მოტეხილი აქვს. სიგრძე—2 სმ.

12. ისრისპირი (სავ. № 79, ტაბ. VIII-7)—რკინის, ნესტარისებრი, ქუსლამოღარული, ფრთები მოტეხილი აქვს, სიგრძე—1,5 სმ, სიგანე—1 სმ.

13. ისრისპირი (სავ. № 81 ტაბ. VIII-4)—ძვლის, ორფრთიანი, მრგვალღეროიანი, წვერიდან ფრთებამდე დაუყვება ქედი. ცალი ფრთა მოტეხილი აქვს. სიგრძე—9 სმ, სიგანე ფრთებში—1,5 სმ.

14. ისრისპირი (სავ. № 80, ტაბ. VIII-4)—ძვლის, ორფრთიანი, მრგვალღეროიანი, ღეროს დაუყვება ქედი, ისრის ფრთები მოკლეა, გახეხილი, რესტავრირებული, სიგრძე—7 სმ

15. ისრისპირი (სავ. № 82, ტაბ. VIII-4)—ძვლის, ორფრთიანი, მრგვალღეროიანი, წვერი და ბოლო მოტეხილი აქვს, ქედიანი. სიგრძე—4 სმ.

16. მახათი (სავ. № 83, ტაბ. VIII-5)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის, ხოლო ბოლო წვეტიანი, მორკალული. სიგრძე—10 სმ.

**ორმოსამარხი № 2** (1977 წ.), აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 20 სმ სიღრმეზე, № 1 სამარხის აღმოსავლეთ მხარეს 20 სმ-ზე. იგი 10 სმ მაღლა მდებარეობდა № 1 სამარხზე. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში შემორჩენილი იყო ქვაყრილის ნაწილი. მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ დაზიანებული იყო, ძვლები მიმოფანტული, რის შედეგადაც ვერ მოხერხდა მიცვალებულის პოზის დადგენა. მიცვალებულის სამარხეულ ინვენტარს შეადგენდა:

1. კოჭობი (სავ. №86. ტაბ. VIII-8)—თიხის, მსხვილმარცვლოვანი, მოშავოდ გამომწვარი, დაბალი, ბაკოგადაწეული პირიანი, კონუსის ფორმის მუცლიანი, ვიწრო ბრტყელი ძირით, ოვალურგანივკვეთიანი ყურის ნაწილი შემორჩენილი აქვს მუცელზე, შემკულია ჭდეული ირიბი ორნამენტის სალტით. h—8 სმ, პ. d—7 სმ. ძირის d—5 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სამაჯური (სავ. № 85. ტაბ. VIII-9)—ბრინჯაოსი, ბრტყელი მავთულის ერთნახევარი ხვეული.

3. ავგაროზი (სავ. № 84. ტაბ. VIII-10)—თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, მილის ფორმის, ბოლოებში ოდნავ შევიწროებული. სიგრძე—6 სმ. სიგანე—3 სმ.

1977 წ. № 1 და № 2 ორმოსამარხების ინვენტარი შემდეგ ჯგუფებად იყოფა: 1 კერამიკული ნაწარმი, 2. საბრძოლო იარაღი. 3. ლითონის სამკაული, 4. ხელსაქმის ნითვი, 5. საკულტო დანიშნულების ნივთი.

კერამიკის ნაწარმი შემდეგ ჯგუფებად იყოფა: დოქი, ქოთანი და კოჭობები.

დ ო ქ ი — წარმოდგენილია ერთი სახით — მონაცრისფრო, სფერულმუცლიანი, მრგვალგანივკვეთიან ყურიანი.

ქ ო თ ა ნ ი — წარმოდგენილია ერთი სახით — ლეგა ნაცრისფერი, გაპრიალებული, ვიწრო და ბრტყელძირიანი.

კ ო ჭ ო ბ ე ბ ი — იყოფა სამ ჯგუფად, ა) შავად გამომწვარი, გაპრიალებული, ბიკონუსური ფორმის, ბ) რუხად გამომწვარი, მუცელგანიერი ბრტყელძირიანი გ) მოშავოდ გამომწვარი, კონუსის ფორმის მუცლით, ყურიანი, ახასიათებს ირიბი ჭდეული ორნამენტი.

ს ა ბ რ ძ ო ლ ო ი ა რ ა ღ ი — წარმოდგენილია ისრის პირებით, ისინი იყოფიან სამ ტიპად. ა) ბრინჯაოს, ნესტარისებური თხელი ფირფიტა, ქუსლამოღარული, ბ) რკინის, ნესტარისებური, ქუსლამოღარული, გ) ძვლის, ორფრთიანი, მოგრძოყუნწიანი.

ხ ე ლ ს ა ქ მ ი ს ნ ი ვ თ ი — მახათი, ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის. თავი ბრტყელი და გახვრეტილი.

ს ა კ უ ლ ტ ო დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს ნ ი ვ თ ი — ავგაროზი, თიხის, ვარდისფრად გამომწვარი.

საყარაულო სერის სამაროვანზე აღმოჩენილი ორმოსამარხების თავდაპირველი დონე დაზიანებულია. ეს შედეგია ნიადაგის გადარეცხვისა და ადგილის დამუშავებისა. ყოველი სამარხი ინდივიდუალურია და ინჰუმაციური. სამარხები, რომლებშიც მიცვალებულნი დაკრძალულნი არიან მარცხენა გვერდზე, თიხის ჭურჭლებთან ერთად შეიცავენ სამკაულებს: მძივებს, ქინძისთავებს და სხვ. ხოლო სამარხებში, რომლებშიც მიცვალებულები დაკრძალულნი არიან მარჯვენა გვერდზე, თიხის ჭურჭელთან ერთად აღმოჩნდა საბრძოლო იარაღი. ამ ნიშნებით მარცხენა გვერდზე დაკრძალულნი არიან ქალები, ხოლო მარჯვენა გვერდზე მამაკაცები. სამარხები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მოწყობის წესით. სამარხი № 15, № 22, № 9, № 10, № 12 და 1978 წ. აღმოჩენილი № 1 სამარხი ჩვეულებრივი ორმოა, ხოლო 1977 წ. გათხრილი № 1 და № 2 ქვაყრილიანი. ამ სამარხებში მიცვალებულებს ჩატანებული აქვთ ბრინჯაოსა და რკინის ნესტარისებური ისრისპირები და ძვლის ისრისპირები და ორმოსამარხ № 2-ში კონუსისებური ფორმის, ჭდეულორნამენტიანი კოჭობი და ერთნახევარი ხვია ბრინჯაოს სამაჯური. ამ ნივთებით ეს სამარხები ძვ. წ. IX—VIII სს. უნდა დათარიღდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д. П. ГВЕТАДЗЕ

# ГРУНТОВЫЕ ПОГРЕБЕНИЯ ПОЗДНЕБРОНЗОВОГО И РАННЕЖЕЛЕЗНОГО ПЕРИОДА МОГИЛЬНИКА «САКАРАУЛО СЕРИ»

(таб. I—VIII)

Резюме

Погребения позднебронзового и раннежелезного периода «Сакарауло сери» является индивидуальными и ингумационными. Погребальный инвентарь составляют глиняная посуда, металлическое оружие, браслеты, бусы из пасты и сердолика и другие.

Погребальный обряд не одинаков: женщин хоронили на левом боку, в таких могилах найдены глиняная посуда, бусы; мужчин хоронили на правом боку, рядом с ними обнаружено оружие.

Погребения № 15, № 22, № 9, № 10, № 12 и раскопанное в 1978 г. погребение № 1 представляют собой обыкновенные ямы, и погребальный инвентарь указывает на их ранний период: они относятся к поздне-бронзовому периоду и датируются XIII—XI вв. до н. э.

Раскопанные в 1977 г. погребения № 1 и № 2, с каменными насыпами, по инвентарю датируются IX—VIII вв. до н. э.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ე. ბერაძე

# ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნიდან

(ტაბ. IX—XXIV)

კასპის რაიონის კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი გათხრებს აწარმოებდა „ქასრაანთ მიწებად“ წოდებულ სამაროვანზე, რომელიც მდებარეობს მცხეთა-გორის მშენებარე გზატკეცილის ზონაში — სადგურ კავთისხევთან სოფ. კავთისხევში მიმავალი სამანქანო გზის მე-3 კმ-ზე, მარჯვენა მხარეს, გზიდან 50 მ დაცილებით. სამაროვანი 600 $მ^2$ ფართობს მოიცავს. გაითხარა 30 ორმოსამარხი, აქედან 12 გადახურულია ფილქვებით.

სამარხები ძირითადად თითო მიცვალებულთათვის არის განკუთვნილი, მაგრამ იყო ერთი შემთხვევა წყვილადი დაკრძალვისა (სამარხი № 12).

ამ სამაროვანზე ორმოსამარხებს ერთნაირად ახასიათებთ მიცვალებულთა დასვენება მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში. მიცვალებულებს თან ახლავს თიხის ჭურჭელი, რკინის ნივთები, სხვადასხვა სახის სამკაულები და ზოგჯერ იარაღიც. იატაკი ამ სამარხებში თიხითაა მოსწორებული; ზოგიერთ მათგანს ეტყობა ქსოვილის ან ტყავის კვალი.

ძალზე საინტერესო სურათია ამ სამაროვანზე გათხრილი № 11 და № 21 სამარხებისა.

ორივე ამ სამარხის მიცვალებული ესვენა მის ქვეშ მდებარე სამარხების გადამხურავ ფილაქვაზე, სრულიად უინვენტაროდ, რაც მიგვანიშნებს, რომ შესაძლოა იგი „შესაწირი“ ადამიანის სამარხს წარმოადგენდეს. საგულისხმოა, რომ ამ სამაროვანზე არც ერთი სამარხი (სამარხის ნაშთიც კი) არ არის უინვენტარო, მაგრამ ისინი ერთფეროვანია. გამოიყოფა ინვენტარის 3 ჯგუფი: I — კერამიკა (სუფრისა და სამზარეულო ჭურჭელი), II — ლითონის ნივთები, III — სამკაულები.

„ქასრაანთ მიწებზე“ გათხრილი მასალა წარმოდგენილია ცალკეული სამარხების კომპლექსების მიხედვით, რომლებიც ძირითადად ძვ. წ. VI—IV სს. თარიღდება.

ეს მასალები, რა თქმა უნდა, ჯერჯერობით საკმარისი არ არის ფართო ხასიათის დასკვნების გასაკეთებლად, მით უმეტეს, რომ სამაროვნის გათხრა გრძელდება.

**სამარხი № 1**. მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 0,5 მ სიღრმეზე. იგი წარმოადგენს თიხნარ ნიადაგში გამართულ წაგრძელებულ ორმოს (0,9×0,7 მ). დამხრობა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთით. მიცვალებული ესვენა მოკუნტულ მდგომარეობაში მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. სამარხი დაზიანებულია, შემორჩენილია თავის ქალისა და კიდურების ნაწილი. სამარხში ჩატანებული იყო ორი თიხის ჭურჭელი, ხოლო მიწაყრილში ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტა.

ინვენტარი:

1. ქოთანი (სავ. № 1. ტაბ. X-3)—წვრილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, მუცელგამობერილი, ბრტყელი ძირით. h—15,5 მ, პირის d—0,12 მ, ძირის d—8,2 სმ.

2. ჯამი (სავ. № 2, ტაბ. X-4)— წვრილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი, კარგად გამოკვეთილი ქუსლით, პირის d—29 სმ, ძირის d—9,5 სმ.

3. დოქი (სავ. № 3. ტაბ. X-1)—ყელის ფრაგმენტი, შავად გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, ფართო, ოდნავ პირგადაშლილი, ყელზე დაუყვება პარალელური ხაზები. მრგვალგანივკვეთიანი ყურით. პირის d—12 სმ.

4. ბრინჯაოს ფირფიტა (სავ. № 3ა, ტაბ. X-2)—ყვავილისებური ფორმის, შუაში გახვრეტილი.

**სამარხი № 2.** მდებარეობდა თიხნარ ნიადაგში 0,6 მ სიღრმეზე. მიცვალებული ესვენა მოკუნტულ მდგომარეობაში აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით, თავით დასავლეთით. სამარხი დაზიანებული იყო, უფესვო პატარა კბილები, რომლებიც სამარხის დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა, მოწმობს, რომ აქ მოზარდი იყო დასვენებული.

სამარხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა ლანგარი, ცენტრალურ ნაწილში კოჭობი, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში ბრინჯაოს სამაჯური, კისრის არეში — გიშრის მძივსაკიდი.

ინვენტარი:

1. ლანგარი (სავ. №4, ტაბ. XI-5). შავადგამომწვარი, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი, ოდნავ შეზნექილი ძირით, ღრმა. პირის d—22 სმ, ძირის d—9 სმ, h—8 სმ.

2. კოჭობი (სავ. № 5, ტაბ. XI-1)—შავადგამომწვარი თიხისა, ყელზე დაუყვება პარალელური ხაზები, გვერდები წიწვოვანი ორნამენტით არის შემკული, ცალყურა, ყურზე პატარა შვერილი აქვს. h—8 სმ, პირის d—5 სმ, ძირის d—4,5 სმ.

3. მძივსაკიდი (სავ. № 6, ტაბ. XI-3)—გიშრის, დათვის ბელის გამოსახულებისა, ერთ მხარეს გახვრეტილია.

4. სამაჯური (სავ. № 7, ტაბ. XI-2)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებგახსნილი, ორივე მხარეს ვერძის თავის გამოსახულებით.

5. მძივები (სავ. № 7ა, ტ. XI-4)—პასტის, ცისფერი შუშის, ბიკონუსური ფორმის.

**სამარხი № 3.** გამართულია თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. დამხრობა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხი ასვენია მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ მდგომარეობაში. სამარხის იატაკი შეფერი-

ლია წაბლისფრად. ემჩნევა ქსოვილის ანაბეჭდი. მიცვალებულს მენჯის ძვალთან ედო დოქი, სამარხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში იდო ჯამი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში კოჭობი, მკლავზე ეკეთა ბრინჯაოს სამაჯური, მკერდის არეში იდო ბრინჯაოს ორი საკინძი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. № 8, ტაბ. XII-1)—წითლად შეღებილი, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, სამტუჩა, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, მუცელგამობერილი, ბრტყელი ძირით, h—19,5 სმ, ძირის d—10 სმ.

2. ჯამი (სავ. № 9, ტაბ. XII-5)—შავად გამომწვარი თიხის, ოდნავპირგადაშლილი, გვერდწიბოიანი, ღრმა, სწორი ძირით. h—10 სმ, პირის d—21 სმ.

3. კოჭობი (სავ. № 9ა, ტაბ. XII-2)—ვარდისფრად გამომწვარი თიხისა, ოდნავ პირგადაშლილი, ბრტყელი ყური აერთებს მხარსა და მუცელს, ბრტყელძირიანი, კარგად ეტყობა ხმარების კვალი. h—8,5 სმ, პირის d—7,5 სმ, ძირის d—4,5 სმ.

4. სამაჯური (სავ. № 10, ტაბ. XII-3)—ბრინჯაოსი, ბოლოებგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი, ბოლოებზე გველის თავის გამოსახულებით. შიდა d—5,7 სმ, გარე d—6,5 სმ, სისქე—7 მმ.

5. საკინძი (2 ც, სავ. № 11, 11ა, ტაბ. XII-4,6) —ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, ლურსმნისებური ფორმის, ოთხკუთხა თავით, რომელსაც ამოკაწრული ხაზები ამშვენებს, გახვრეტილი.

**სამარხი № 4.** გამართულია თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 70 სმ სიღრმეზე. სამარხი ძალიან დაზიანებულია, ძვლები ერთმანეთში არეულია, შერჩენილია დოქის ყელის ფრაგმენტი (სავ. № 12, ტაბ. VI—6).

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი—ყელის ფრაგმენტი. რუხფრად გამომწვარი თიხისა, გაპრიალებული ზედაპირით. პირის d—10 სმ.

**სამარხი № 5.** გამართულია თიხნარ ნიადაგში. მიწის ზედაპირიდან 60 სმ სიღრმეზე, სამარხი ძალიან დაზიანებულია.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჯამი (სავ. № 13,ტაბ. XI-7)—შავად გამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი გვერდწიბოიანი, ბრტყელი ძირით, გვერდის გარეთა მხარეს ირიბად შემოუყვება ერთმანეთის პარალელური ხაზები. h—8 სმ, პირის d—23 სმ, ძირის d—12 სმ.

**სამარხი № 6.** მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 50 სმ-ის სიღრმეზე. იგი წარმოადგენდა თიხნარ ნიადაგში გამართულ წაგრძელებულ ორმოს, რომელიც გადახურული იყო ორი ფილაქვით (0,8×0,26; 1,1×0,23). მიცვალებული იწვა მარჯვენა მხარეს. სამარხის სამხრეთ კუთხეში იდო დოქი, თავის ქალასთან სახის წინ იდო ჯამი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. № 14, ტაბ. XIII-2)— წვრილმარცვლოვანი თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, მსხლისებური ფორმის, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, ბრტყელი ძირით. h—17 სმ, პირის d—7,5 სმ, ძირის d—7,5 სმ.

2. ჯამი (საც. № 15, ტაბ. XIII-1)—წვრილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით, გარეთა მხარეს გვერდის ძირში V ფორმის ამოკაწრული ნიშანია. h—4 სმ, ძირის d—10 სმ, პირის d—16 სმ,

3. თიხის ჭურჭლის ნატეხი (საც. №15 ა. ტაბ. XIII-3)—მსხვილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი. V ფორმის ამოკაწრული ნიშნით, ზუსტად ისეთივე, როგორც ჯამის ძირშია.

**სამარხი № 7.** მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე. იგი წარმოადგენდა თიხნარ ნიადაგში გამართულ სწორკუთხა ორმოს, რომელიც გადახურული იყო თლილი ქვით (0,8×0,25 მ). მიცვალებული ესვენა მარცხენა მხარეს კიდურებმოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ნაყარ მიწაში იდო ჯამის ფრაგმენტები, სამარხი ეტყობა გაძარცულია დაკრძალვისთანავე.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჯამი (საც. № 16, ტაბ. XIII-5)—წითლადშეღებილი, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული, თხელკეციანი, პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი. h—6 სმ, პირის d—15,5 სმ.

**ორმოსამარხი № 8.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 0,4 მ სიღრმეზე. სამარხი გადაჭრილია ბულდოზერის მიერ, ჩონჩხის ძვლები იმდენად არეულია, რომ დაკრძალვის წესის გარკვევა შეუძლებელია. სამარხში მხოლოდ რკინის სამაჯურის ფრაგმენტებია.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. სამაჯური (საც. № 17, XIII-4)—რკინის, ბურთულებიანი.

**ორმოსამარხი № 9.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში. მიწის დონიდან 50 სმ სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული იყო ბულდოზერის მიერ. მიცვალებული იწვა მარჯვენა მხარეს მოკუნტულ მდგომარეობაში. ჩონჩხის გვერდის წინ დიდ ჯამში იდო დოქი, ხოლო იქვე იდო რკინის მოხრილი დანა, კისრის არეში იდო ბრინჯაოს ორი პატარა რგოლი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (საც. 18, ტაბ. XIV-1)—წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, ჩალისფრად გამომწვარი, პირი ოვალური ფორმისაა, ოდნავ პირგადაშლილი, მსხლისებური ფორმის, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, რომელსაც პირის შესაერთებელ ადგილას ამშვენებს სამი ზედნაძერწი წერტილი. h—17 სმ, პირის d—8 სმ, ძირის d—8,5 სმ.

2. ჯამი (საც. № 19, ტაბ. XIV-4)—წვრილმარცვლოვანი თიხის, წითლადშეღებილი, პირგადაშლილი, ბაკოთი, გვერდწიბოიანი, ბრტყელი ძირით. h—6 სმ, ძირის d—11 სმ. პირის d—21 სმ.

3. დანა (საც. № 20, ტაბ. XIV-3)— რკინის, მოხრილი. სამმანჭვლიანი, ტარზე კარგად ეტყობა ხის კვალი.

4. ბრინჯაოს ორი პატარა რგოლი (საც. № 21. ტაბ. XIV-2).

**ორმოსამარხი № 10.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში. სამარხი ბულდოზერის მიერ გადაჭრილია, ამდენად ძნელია მიცვალებულის დაკრძალვის წესის გარკვევა. სამარხის შუაში იდო სალესი ქვა და რკინის დანის ფრაგმენტი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

1. სალესი ქვა (სავ. № 22, ტაბ. XIV-6)—რიყის ქვისაგან დამზადებული, ცალ მხარეს გახვრეტილი, კარგად ეტყობა ხმარების კვალი. სიგრძე 9სმ—ია.

2. დანა—ფრაგმენტი (სავ. № 23, ტაბ. XIV-5)—რკინის, მორკალული.

**ორმოსამარხი № 11.** გამართულია ზედა ფილაქვაზე, რომლითაც გადახურული იყო სამარხი № 15. მიცვალებული ესვენა მარცხენა მხარეს. სამარხი უინვენტაროა, სავარაუდოა, რომ იგი წარმოადგენს „შესაწირი" ადამიანის სამარხს.

**ორმოსამარხი № 12.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში მიწის ზედაპირიდან 1,1 მ სიღრმეზე. სამარხი გადახურული იყო ქვის ფილით (1,1×0,8 მ); სამარხში წყვილადი დაკრძალვაა. იგი ეტყობა გაძარცულია, ძვლები არეული და, თითქმის, ერთ ადგილას მიხვეტილი. ამდენად, ძალიან ძნელია დაკრძალვის წესის დადგენა. ჭურჭელი ამ სამარხისა ერთ ადგილას არის თავმოყრილი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჯამი (სავ. №31 ტაბ. XV-5)—შავად გამომწვარი თიხისა, ფართოპირიანი, ოდნავ პირმოყრილი, გვერდწიბოიანი, ღრმა, ბრტყელი ძირით. h—9 სმ, პირის d—22 სმ, ძირის d—11 სმ.

2. კოჭობი (სავ. № 32)—ვარდისფრადგამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, ბრტყელი ყურითა და ბრტყელი ძირით. h—9 სმ, პირის d—8,5 სმ, ძირის d—5,5 სმ (ტაბ. XV-4).

3. კოჭობი (სავ. № 35)—წვრილმარცვლოვანი თიხის, შავადგამომწვარი, გაპრიალებული ზედაპირით, ბიკონუსური ფორმის, პირგადაშლილი, ქუსლიანი, h—9,5 სმ, პირის d—7,3 სმ, ძირის d—4,9 სმ, მუცლის d—10,4 სმ (ტაბ. XV-2).

4. ფიალა (სავ. № 33)—წვრილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი, სქელკეციანი, პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი. h—4 სმ, პირის d—11,5 სმ (ტაბ. XV-3).

5. ქოთანი (სავ. № 34, ტაბ. XV-1)—ვარდისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, განიერი მუცლით, ბრტყელი, ზურგჩაზნექილი ყაჭით, ბრტყელი ძირით, d—15,5 სმ, პირის d—15 სმ, ძირის d—8 სმ.

6. საყურე (სავ. № 36)—ბრინჯაოს რგოლი (2 ც.). ერთ—ერთ მათგანს ამკობს მინის ზარაკისებური ფორმის საკიდი. საყურე რგოლები მრგვალნივკვეთიანი, ბოლოებგახსნილი (ტაბ. XV-6).

7. სამაჯური (სავ. № 36ა)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო, ბოლოები ერთმანეთში გადადის (ტაბ. XV—7).

8. დანის ქუდი—რკინის, კოპიანი (ტაბ. XV—8).

**სამარხი № 13.** მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 35 სმ სიღრმეზე. იგი წარმოადგენდა თიხნარ ნიადაგში გამართულ ორმოს (1,3×0,6 მ). ჩონჩხი ესვენა მარჯვენა მხარეს, მოკუნტულ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხის ფეხებთან დევს ქოთანი, ქოთნის ძირში დევს დანა, ხოლო მკერდის არეში ბრინჯაოს მაშა.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ქოთანი (სავ. № 23, ტაბ. XXI-3)—ვარდისფრადგამომწვარი თიხისა, პირგადაშლილი, დაბალი, განიერი მუცლით, ბრტყელი, ზურგჩაზნექილი ყურით,

გვერდის ზედა ნაწილში კარგად შეიმჩნევა პარალელური ხაზები, ბრტყელი ძირით. h—15 სმ, პირის d—11,5 სმ, ძირის d—8 სმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დანა (სავ. №24, ფრაგმენტი)—რკინის, მოგრძო, დაშლილია, მას მთლიანად ეტყობა ხის კვალი. სავარაუდოა, რომ ეს ქარქაშის კვალია (ტაბ. XVI-2).

3. მაშა (სავ. № 25)—ბრინჯაოსი, შემდგარი ორი ბრტყელი, ბოლოებგანიერი ფირფიტისაგან, რომელიც ერთმანეთთან შეერთებულია ბრინჯაოს რგოლით (ტაბ. XVI-1).

**ორმოსამარხი № 14.** მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 70 სმ სიღრმეზე. იგი წარმოადგენდა თიხნარ ნიადაგში ჩაჭრილ 1,5×0,9 მ ორმოს. ჩონჩხი დაზიანებულია. მიცვალებული ესვენა მარჯვენა მხარეს მოხრილ მდგომარეობაში. ჩონჩხის ფეხებთან იდო დოქი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. № 26). წვრილმარცვლოვანი თიხის, რუხფრად გამომწვარი, ფართოყელიანი, ყელზე დაუყვება პარალელური ხაზები, განიერი მუცლით, ბრტყელი ძირით, მილისებური ყურით. ასეთი ჭურჭელი ამ სამაროვანზე კიდევ ერთია აღმოჩენილი, ხოლო ყურმილით წითლად შეღებილი დოქი ნაპოვნია აგრეთვე საყარაულო სერზე. საერთოდ აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში კოლხური ტიპის ყურმილიანი დოქები იშვიათად გვხვდება (ტაბ. XVI—7).

**ორმოსამარხი № 15.** მდებარეობდა მიწის დონიდან 0,9 მ სიღრმეზე. სამარხი გადახურული იყო ქვის ფილით (1,7×1,2); ქვის სიმძიმისაგან თვით სამარხი ჩაზნექილი იყო. მიცვალებული ესვენა მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვენა მხარეს თავით აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხი საკმაოდ კარგად იყო შემონახული; გაზომვის შედეგად დავადგინეთ, რომ მისი სიმაღლე 1,95 მ უნდა ყოფილიყო. მკერდის არეში იდო დოქი, დანა, ხელზე ეკეთა ბრინჯაოს ორი სამაჯური.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. № 28)—წვრილმარცვლოვანი თიხის, წითლად შეღებილი, მაღალყელიანი, პირგადაშლილი, ბრტყელი ძირით, გვერდზე დაუყვება ჭდეული ორნამენტი. h—22 სმ, პირის d—10,5 სმ, ძირის d—9,5 სმ (ტაბ. XVI-6).

2. დანა (სავ. № 29)—რკინის, მოხრილი, ტარზე კარგად ემჩნევა ხის კვალი (ტაბ. XVI-4).

3. სამაჯური (2 ც. სავ. №30, 30ა)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი ღერო, ერთ მათგანს თავები გახსნილი აქვს, ხოლო მეორე მთლიანი რკალია (ტაბ. XVI—5).

**ორმოსამარხი № 16.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 70 სმ სიღრმეზე. სამარხი ბულდოზერის მიერ გადაჭრილია, ამდენად ძვლები არეულია და დაკრძალვის წესის დადგენა შეუძლებელია. შემორჩენილია დაშლილი ჯამი, პასტის მძივები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჯამი (სავ. № 38)—მსხვილმარცვლოვანი თიხის, ლეგაფრად გამომწვარი, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. h—4,5 სმ, პირის d—18 სმ, ძირის d—10 სმ (ტაბ. XVII-2).

2. მძივები (სავ. № 39)—ცისფერი პასტის, მოგრძო ფორმის, შუაში გახვრეტილი (ტაბ. XVII-1).

**ორმოსამარხი № 17.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში მიწის დონიდან 50 სმ სიღრმეზე. ამ სამარხის გადასახური ფილა (1,5×0,6) ბულდოზერმა ამოაგდო. პრეპარაციის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მიცვალებული იწვა მოკუნტულ მდგომარეობაში მარჯვენა მხარეს, თავით აღმოსავლეთისაკენ. მკერდის წინ ედო დოქი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. № 40)—წვრილმარცვლოვანი თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, მსხლისებური ფორმის, მრგვალგანივკვეთიანი ყურის დასაწყისში ორივე მხარეს ადევს ზედნაძერწი ორი კოპი, ბრტყელძირიანი. h—17,5 სმ, პირის d—7,5 სმ, ძირის d—8 სმ (ტაბ. XVII-3).

**ორმოსამარხი № 18.** ჩაჭრილია თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 0,7 მ სიღრმეზე, მიცვალებული წევს მოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა მხარეს. თავით დასავლეთისაკენ. სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა დერგი, დერგის გვერდით იდო მეორე დოქი, დოქს დასავლეთით ეკვრის ბადია, დერგის ძირში დევს ტანის ნაშთი. მიცვალებულს თავს ზემოთ უდევს რკინის სატევარი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დერგი (სავ. № 43, ტაბ. XVIII-6)—რუხფრად გამომწვარი, თიხის, ვიწრო, მრგვალი პირით, პირგადაშლილი, ყელის ძირში დაუყვება პარალელური ხაზი. ასეთივე ხაზები აქვს გვერდზეც. h—30 სმ.

2. დოქი (სავ. № 44, ტაბ. XVIII-5)—რუხფრად გამომწვარი, მაღალი ყელით, მრგვალგანივკვეთიანი ყურით.

3. ბადია (სავ. № 45, ტაბ. XVIII-7)—შავად გამომწვარი თიხის, პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი, ბრტყელი ძირით. h—7 სმ, პირის d—17 სმ.

4. სატევარი (სავ. № 46, ტაბ. XVIII-1)—რკინის, ოდნავ მოხრილი, სამმანჭვლიანი, ტარზე კარგად ეტყობა ხის კვალი. სიგრძე 26 სმ-ია.

5. დანა (სავ. № 47, ტაბ. XVIII-2)—რკინის, მოგრძო, სამმანჭვლიანი, დაშლილი, ქუდიანი.

6. ჩქიფი (სავ. № 48, ტაბ. XVIII-3,4)—რკინის, ერთ-ერთი მათგანი ნაკლულია.

**ორმოსამარხი № 19.** მდებარეობდა მიწის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე. სამარხი გადაჭრილი იყო ბულდოზერის მიერ და ძალიან დაზიანებული. სამარხის შუაში იდო დოქი, ძალიან დაშლილი. რესტავრაციის შემდეგ დოქი აღსდგა.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. №49)—მსხვილმარცვლოვანი თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, შავად გაპრიალებული. დაბალი, განიერი, ოდნავ გადაშლილი პირით, ყელის ძირში დაუყვება ჭდეული ორნამენტი, მუცელგამობერილი, ბრტყელი ძირით, ყური ოვალურგანივკვეთიანია, რომელსაც ზედა მხარეს დაუყვება რელიეფური ხაზები. მუცელზე სიმეტრიულადაა განლაგებული სამი რელიეფური მოგრძო ფორმის კოპი. მუცელი გოფრირებულია (ტაბ. XIX-1).

h—21 სმ, პირის d—11,5 სმ.

2. სამაჯური (სავ. № 50)—ბრინჯაოსი, დამზადებული მრგვალგანივკვეთიანი ღერისაგან, თავებგახსნილი, ცალ მხარეს გველის თავის ფორმა აქვს, ხოლო მეორე მხარეს—კუდის (ტაბ. XIX-2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ორმოსამარხი № 20.** მდებარეობს მიწის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე. სამარხი გადაჭრილია, ძალიან დაზიანებული. შერჩენილია ჯამის ფრაგმენტი — და დანა.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჯამი (სავ. № 51)—მსხვილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი, ბრტყელი ძირით (ტაბ.XIX-3).

2. დანა (სავ. № 52)—რკინის, მორკალული, ეტყობა ორი მანჭვალი. ტარზე შეიმჩნევა ხის კვალი (ტაბ. XIX-4).

**ორმოსამარხი № 21.** მიცვალებულის ჩონჩხი დევს პირდაპირ ქვის ფილაზე, რომლითაც გადახურული იყო სამარხი № 22. ეს ჩონჩხი სრულიად უინვენტაროა (მსგავსად სამარხი № 11), რაც გვაფიქრებინებს, რომ ესეც „შესაწირი" ადამიანის ჩონჩხს წარმოადგენდა, მის გარშემო ფართობზე (2×2 მ) მოფანტული იყო რკინის დანის ნაშთები, ჟანგის კვალი; დიდი რაოდენობითაა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლები.

**ორმოსამარხი № 22.** მდებარეობს მიწის დონიდან 1,8 სმ სიღრმეზე. მიწის ამოღების დროს ნაყარ მიწას ამოყვა ბრინჯაოს სკვითური ისრისპირი, ბრინჯაოს ზარაკი. ძვლები იმდენად არეულია, რომ დაკრძალვის წესის დადგენა შეუძლებელია. სამარხი ეტყობა გაძარცულია. ბევრ ადგილას შეინიშნება რკინის ნივთების ნაშთი, თვითონ რკინა არ არის.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქის ყელ-პირის ფრაგმენტი (სავ. № 52) — წვრილმარცვლოვანი თიხის, რუხფრად გამომწვარი, მაღალყელიანი, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, ყურის დასაწყისში ორივე მხარეს ვერძის რქების ორნამენტი აქვს მიძერწილი (ტაბ. XIX-5).

2. ისრისპირი (სავ. №35)—ბრინჯაოსი, სამფრთიანი. სიგრძე 3,5 სმ (ტაბ. XIX-6).

3. ზარაკი (სავ. № 54)—ბრინჯაოსი, დაფანჯრული (ტაბ. XIX-7).

**ორმოსამარხი № 23.** მდებარეობდა მიწის დონიდან 0,7 სმ სიღრმეზე. გადახურული იყო ქვის ფილით (1,5×0,6 სმ). მიცვალებული იწვა მარჯვენა მხარეს, თავით დასავლეთისაკენ. ამ სამარხის იატაკს კარგად ემჩნეოდა ქსოვილის კვალი. ჩონჩხის ფეხებთან იდო რუხფრად გამომწვარი დოქი, ჩალისფრად გამომწვარი კოჭობი და წითლად შეღებილი ჯამი; მკერდის წინ იდო ერთი საკინძი, ხოლო მეორე ზურგს უკან, თავის არეში იდო სასაფეთქლე რგოლები: ყელის არეში კი რამოდენიმე დაღარული ცისფერი და თეთრი პასტის მძივები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ტოლჩა (სავ. №55)—მსხვილმარცვლოვანი თიხისა, რუხფრად გამომწვარი, ოდნავ პირგადაშლილი, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, ბრტყელი ძირით, გვერდზე დაუყვება ირიბი, პარალელური ხაზები. h—16 სმ, პირის d—9,5 სმ, ძირის d—8 სმ (ტაბ. XX-21).

2. ჯამი (სავ. №56)—წვრილმარცვლოვანი თიხის, წითლად შეღებილი, პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. პირის d—18, სმ, h—4 სმ, ძირის d—11,5 სმ (ტაბ. XX-20).

3. კოჭობი (სავ. № 57)—მსხვილმარცვლოვანი თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, ბრტყელი ძირით. h—7 სმ, პირის d—4,5 სმ, ძირის d—3 სმ (ტაბ. XX-19).

4. საკინძი (2 ც. სავ. №58, 59)—ბრინჯაოსი, ლურსმნისებური ფორმის, დაუყვება თევზისფხისებრი ორნამენტი, გახვრეტილი (ტაბ. XX-16).

5. სასაფეთქლე რგოლები (2 ც. სავ. № 60)—ბრინჯაოსი, ზოომორფული, თავგახსნილი რგოლები (ტაბ. XX-17, 18).

6. მძივები (სავ. №61)—პასტის ცისფერი და თეთრი, ბიკონუსური, დალარული (ტაბ. XX-1-15).

**ორმოსამარხი № 24.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 0,8 სმ სიღრმეზე. სამარხი გადახურული იყო ქვის ფილით (1,7×0,7 სმ). მიცვალებული იწვა მოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა მხარეს, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხის აღმოსავლეთ მხარეს, თავის ქალის ზემოთ იდო დოქი, ფიალა, ფეხებთან — ჯამი და ქოთანი, ზურგს უკან მიცვალებულს ედო დანა, ხოლო დანაზე იდო ბრინჯაოს ცხენის გულსაკიდი, ბრინჯაოს მილისებური მძივი; მკერდის არეში იდო ვარსკვლავის ფორმის ბრინჯაოს ღილი, საკინძი (2 ც) — ბრინჯაოს ტანსაცმელის შესაკრავი, მაჯაზე ეკეთა ბრინჯაოს ჯაჭვი, ფეხებთან ედო რკინის დანა.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. №62)—მსხვილმარცვლოვანი თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, რუხფრად გაპრიალებული, პირგადაშლილი, ყელის ძირში დაუყვება ჭდეული ორნამენტი (პურის თავთავის გამოსახულებით), ბრტყელძირიანი, მრგვალგანივკვეთიანი ყურით. მუცელზე გოფრირებულია (ტაბ. XXI-3). h—14 სმ, პირის d—7 სმ, ძირის d—7 სმ (ტაბ. XXI-3).

2. ფიალა (სავ. № 63,64)—წვრილმარცვლოვანი, შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, ოდნავ გამოყოფილი ქუსლით, გვერდწიბოიანი. h—4,5 სმ, პირის d—13 სმ, ძირისd—6,5 სმ (ტაბ. XXI-1-2).

3. ქოთანი (სავ. № 65)—წვრილმარცვლოვანი თიხის, რუხფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მუცელგამობერილი, ბრტყელი ძირით, h—11 სმ, პირის d—7,5 სმ, ძირის d—7სმ (ტაბ. XXI-4).

4. სატევარი (სავ. № 66)—რკინის, მოგრძო, ფრაგმენტი (ტაბ. XXI-13).

5. ყელსაბამი—ხატისუღელი (სავ. № 67)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, დაგრეხილი ღერო, შესაკრავთან ბრტყელი ფირფიტებით არის დაბოლოებული. თითო მხარეს ორი ნახვრეტი აქვს, ეტყობა თასმებით იფარებოდა (ტაბ. XXI-5).

6. საკინძი (2 ც.)—ბრინჯაოსი, ლურსმნისებური, ოთხკუთხა თავით, გახვრეტილი (ტაბ. XXI-6).

7. ჯაჭვი (სავ. №69)—ბრინჯაოსი, პატარა რგოლებისაგან შემდგარი სამაჯური (ტაბ. XXI-10).

8. ღილი (სავ. №70)—ბრინჯაოსი, ვარსკვლავის ფორმის, შუაში გახვრეტილი (ტაბ. XXI-7).

9. ბრინჯაოს ბიკონუსური ფორმის მილი (სავ. № 71, ტაბ. XXI-8).

10. ბრინჯაოს გულსაკინძი (სავ № 72)—ცხენის გამოსახულებით, რომელიც ეტყობა სადღესასწაულოდ კაზმულია, შუაში გახვრეტილი (ტაბ. XXI-12).

11. დანა (სავ. №73)—რკინის, მოგრძო, პირწაწვეტილი (ტაბ. XXI-14).

12. შესაკრავი (სავ. № 74)—ბრინჯაოსი, დამზადებული ბრინჯაოს ორი ბრტყელი ფირფიტისაგან, ფირფიტის ორი ღერო ერთმანეთთან შუაში მირჩილულია, თავი და ბოლო მომრგვალებული აქვს. ასეთივე შესაკრავი ნაპოვნია საყარაულო სერზე ქვევრსამარხ № 3-ში, მცხეთის ექსპედიციის კამარახევის სამაროვანზე (ტაბ. XXI-9).

13. მაშა (სავ. № 75)—ბრინჯაოსი, ორი ფირფიტა შუაში შეკრულია ბრინჯაოსვე რგოლით (ტაბ. XXI-11).

**ორმოსამარხი № 25.** გამართულია თიხნარ ნიადაგში მიწის ზედაპირიდან 70 სმ სიღრმეზე. იგი გადახურული იყო ქვის ფილით (0,7×0,9). ჩონჩხის ძვლებიდან შერჩენილია თავის ქალის ფრაგმენტი და მაჯის ძვალი. თავის ქალის ფრაგმენტთან იდო დოქი, მაჯასთან ბრინჯაოს ჯაჭვის ფრაგმენტები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. № 76)—წვრილმარცვლოვანი თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, რუხფრად გაპრიალებული ზედაპირით. პირგადაშლილი, ყურმილიანი, ბრტყელი ძირით. ყელზე დაუყვება ამოღარული ხაზები. ყელის ძირში და გვერდზე დაუყვება ჭდეული ორი სალტე. h—11 სმ, პირის d—7,5 სმ, ძირის d—5 სმ (ტაბ. XXII-1).

2. ჯაჭვი (სავ. № 77)—ბრინჯაოს პატარ-პატარა, მოგრძო რგოლები ერთმანეთთან არიან გადაჯაჭვული (ტაბ. XXII-2).

**ორმოსამარხი № 26.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში მიწის ზედაპირიდან 1,5 მ სიღრმეზე. სამარხი გადახურული იყო ქვის ფილებით (1,5×0,6). სამარხის ძვლები არეული იყო ერთმანეთში, ამდენად, დაკრძალვის წესის დადგენა გაძნელდა. სამარხის დასავლეთ მხარეს იდო ჯამი და პასტის სხვადასხვა ფორმის მძივები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჯამი (სავ. № 78)—წვრილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი, ოდნავ პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი, ბრტყელი ძირით. h—5 სმ, პირის d—13 სმ, ძირის d—6,5 სმ (ტაბ. XXII-4).

2. მძივები (სავ. № 79)—პასტის, თეთრი და ცისფერი, მრგვალი, ბიკონუსური ფორმის. ერთ-ერთი მათგანი მოგრძო, ღარულგვერდებიანია (ტაბ. XXII-3)

**ორმოსამარხი № 27.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 0,95 მ სიღრმეზე. სამარხი გადახურული იყო ფილებით (0,9×0,6). მიცვალებული იწვა მოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა მხარეს, თავით დასავლეთისაკენ, თავის ქალასთან მოზრდილი კოჭობია.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. კოჭობი (სავ. № 80)—წვრილმარცვლოვანი თიხის, შავად გაპრიალებული, პირგადაშლილი, მრგვალგანივკვეთიანი ყურით, ბრტყელძირიანი, ბიკონუსური ფორმის. h—10 სმ, პირის d—9 სმ, ძირის d—7 სმ (ტაბ. XXII-1).

**ორმოსამარხი № 28.** გამართულია თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 1,1 მ სიღრმეზე. სამარხი გადახურული იყო ქვის ფილით და დიდი ქვის ლოდით. მიცვალებული იწვა მოხრილ მდგომარეობაში მარჯვენა მხარეს, თავით აღმოსავლეთისაკენ. მკერდის წინ ედო ბრინჯაოს ორი საკინძი, მკლავის წინ იდო რკინის შუბისპირი. მეორე შუბისპირი დევს სამარხის ჩრდილო-დასავ-

ლეთ კუთხეში. ჩონჩხის ფეხებთან იდო დოქის ყელის ფრაგმენტი, ხოლო მკერდის წინ — ქოთანი.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. № 81)—ყელის ფრაგმენტი, წვრილმარცვლოვანი თიხის, რუხფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, მრგვალგანივკვეთიანი ყურით (ტაბ. XXIII-2).

2. ქოთანი (სავ. № 82)—წვრილმარცვლოვანი თიხის, შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, ბრტყელი ძირით. h—15 სმ, პირის d — 12 სმ, ძირის d — 10 სმ (ტაბ. XXIII-3).

3. შუბისპირი (2 ც.)—რკინის, ქედგამოყოფილი, მასრაგახსნილი (ტაბ. XXIII — 6-7).

4. საკინძი (2 ც. სავ. № 85,86)—ბრინჯაოსი, ლურსმნისებური ფორმის, თავზე დაუყვება ამოღარული ხაზები, შუაში გახვრეტილი (ტაბ. XXIII — 4-5).

**ორმოსამარხი № 29.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში მიწის ზედაპირიდან 1,1 მ სიღრმეზე. გადახურული იყო ქვის ფილით (0,9×0,6). ჩონჩხი არეულია და დაკრძალვის წესის დადგენა შეუძლებელია. სამარხის შუაში დევს ორი ქოთნის ფრაგმენტები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ქოთანი (სავ. № 87)—წვრილმარცვლოვანი თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალი ყელით, მრგვალგანივკვეთიანი ყურით. ძირი აკლია, მაგრამ ეტყობა ბრტყელძირიანია. პირის d—16 სმ (ტაბ. XXIV — 2).

2. ქოთანი (სავ. № 88)—წვრილმარცვლოვანი თიხის, დაბალი ყელით, პირგადაშლილი, განიერი მუცლით, უყურო, ბრტყელი ძირით, გვერდებზე დაუყვება რომბისებური ნასიპი ხაზები, კარგად ეტყობა ცეცხლის კვალი. პირის d—12 სმ (ტაბ. XXIV-1).

3. დანა (სავ. № 89)—ფრაგმენტი, რკინის, მორკალული (ტაბ. XXIV-3).

**ორმოსამარხი № 30.** გამართული იყო თიხნარ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 1,1 მ სიღრმეზე. გადახურული იყო ქვის ფილით (0,8×0,6). ჩონჩხი თითქმის არ არის შერჩენილი, ჩანს მენჯის ძვლის ფრაგმენტები.

სამარხის დასავლეთ კუთხეში ჯამით დახურული იყო პატარა ფიალა, რომელშიც მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა საიმქვეყნიო საგზალი (კარგად შეიმჩნეოდა ძვლის ნაშთები).

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჯამი (სავ. № 90) წვრილმარცვლოვანი თიხის, რუხფრად გამომწვარი, გვერდწიბოიანი, ოდნავ პირგადაშლილი, ბრტყელი ძირით (ტაბ. XXIV-5).

2. ფიალა (სავ. 91) წვრილმარცვლოვანი თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, ხელით ნაკეთები, სწორი პირით, ბ ტყელი ძირით (ტაბ. XXIV-4).

## კ ე რ ა მ ი კ ა

„ქასრაანთ მიწების“ სამარხეულ ინვენტარში კერამიკული ნაწარმი, როგორც რაოდენობრივად ასევე ფორმათა მრავალფეროვნებით, ძირითადია. გვხვდება როგორც სუფრის, ისე სამზარეულო ჭურჭლები. უმეტესობა სადა შემკულობისაა, ზოგ შემთხვევაში გამოყენებულია ჭდეული ორნამენტი.

როგორც ცნობილია, ირიბად განლაგებული ნაჭდევები წიწვისებური (თევზიფხური) სამკაულის გამოყენების ადრეულ ეტაპს წარმოადგენს[1]. ამ ორნამენტს გარდა გამოყენებულია კოპები. დოქებს ორი და სამი კოპი აქვს. ზოგ შემთხვევაში კოპები მუცლის გარშემო წრიულადაა განლაგებული და ისინი ერთმანეთისაგან თანაბარი მანძილით არიან დაშორებული. გვაქვს წითელი საღებავის გამოყენების შემთხვევები. გარეგნული ნიშნების მიხედვით თიხის ჭურჭელი შეიძლება შემდეგ მთავარ ჯგუფებად დაიყოს:

I ჯ გ უ ფ ი — ქოთნები, ამ ჯგუფში ორი სხვადასხვა ტიპი გამოიყოფა.

1. პირფართო, ყელდაბალი, სფერულმუცლოვანი, ცალყურა ქოთნები, რომელთაც ბრტყელი ძირი და ოდნავ გადმოშლილი პირი აქვთ. 2. პირფართო, ყელდაბალი, სფერულმუცლოვანი, უყურო, ძირბრტყელი ქოთნები.

II ჯ გ უ ფ ი — დ ო ქ ე ბ ი. ამ ჯგუფში ხუთი ტიპი გამოიყოფა:

1. მაღალყელიანი, პირგადაშლილი. სფერულმუცლოვანი, ცალყურა და ძირბრტყელი დოქები.

2. პირგადაშლილი, მსხლისებრი მოყვანილობისა, ძირბრტყელი, მოვარდისფრო კეცის დოქები. ამათში გამოირჩევა ორი დოქი, რომლებსაც ყურის დასაწყისში სამი ზედნაძერწი კოპი აქვთ.

3. მაღალყელიანი, სფერულმუცლოვანი, ჭდეული ორნამენტირებული, უყურო, ძირბრტყელი დოქი.

4. პირგადაშლილი, სფერულმუცლოვანი, ყურმილიანი დოქები.

5. სამტუჩა დოქი.

III ჯ გ უ ფ ი — ჯ ა მ ე ბ ი. ამ ჯგუფში სამი ტიპი გამოიყოფა.

1. პირგადაშლილი, შავად გამომწვარი, მხარწიბოიანი, ბრტყელძირიანი ჯამები.

2. პირგადაშლილი, შავად გამომწვარი, გვერდწიბოიანი, ქუსლიანი ჯამები.

3. პირმოყრილი, ბრტყელძირიანი ჯამები.

IV — ჯ გ უ ფ ი — კ ო ჭ ო ბ ე ბ ი. ამ ჯგუფში 3 ტიპი გამოიყოფა:

1. პირგადაშლილი, შავად გამომწვარი, ბიკონუსური ფორმის, ბრტყელძირიანი კოჭობი.

2. პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლოვანი, ცალყურა, ბრტყელძირიანი კოჭობები. ამ ტიპის ერთი კოჭობი წიწვოვანი ორნამენტით არის შემკული, კოპიანი ყურით.

3. პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მოგრძო ფორმის, უყურო, ბრტყელძირიანი კოჭობი.

## ბ რ ი ნ ჯ ა ო ს  ნ ი ვ თ ე ბ ი

ბრინჯაოს ნივთები „ქასრაანთ მიწების“ სამაროვანზე სამკაულების სახითაა წარმოდგენილი. ისინი შეიძლება შემდეგ მთავარ ჯგუფებად დაიყოს:

I ჯ გ უ ფ ი — ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი. ამ ჯგუფში 2 ტიპი გამოირჩევა:

---

[1] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. ალაზნის ველის გათხრები. თბილისი, 1940, გვ. 4.

1. მსხვილღეროიანი, ოვალურად მორკალული, თავებგახსნილი სამაჯურები, ღეროს ბოლოები შემკულია გველის თავების გამოსახულებით. ამ ტიპის სამაჯურთაგან ერთ-ერთ მათგანს ღეროს ბოლოებზე ვერძის თავების გამოსახულება აქვთ.

2. მრგვალ და წვრილღეროიანი, ოვალურად მორკალული სამაჯური, რომელსაც თავები შეკრული და წაწვეტებული აქვს. ამ ტიპის სამაჯურს არავითარი შემკულობა არა აქვს.

II ჯ გ უ ფ ი — ს ა ყ უ რ ე ე ბ ი. ამ ჯგუფში 2 ტიპია გაერთიანებული:

1. მრგვალგანივკვეთიანი, მორკალული, თავებგახსნილი საყურე რგოლები.

2. მრგვალგანივკვეთიანი, მორკალული, თავებგახსნილი საყურე რგოლი, რომელსაც მინის ზარაკის მსგავსი ენა აქვს ჩამოკიდებული.

III ჯ გ უ ფ ი — ს ა კ ი ნ ძ ე ე ბ ი. ამ სამაროვანზე ერთი ტიპის საკინძეები გამოირჩევა. ცილინდრულთავიანი საკინძები, რომელთაც ბოლოებწაწვეტილი ღერო და ყელზე ზონარის გასაყრელი ნახვრეტი აქვს. ამ ტიპის საკინძეებს თავები შემკული აქვთ რელიეფური ხაზებით.

IV ჯ გ უ ფ ი — ჯ ა ჭ ვ ე ბ ი. ამ სამაროვანზე ორი ტიპის ჯაჭვებია:

1. ოვალური ფორმის პატარა რგოლები, რომლებიც ერთმანეთის გვერდით არიან მირჩილულნი, და შემდეგ ძაფზე ასხმული.

2. ოვალური ფორმის პატარა რგოლები, რომლებიც ერთმანეთში გადაჯაჭვულია.

V ჯ გ უ ფ ი — ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ჩ ქ ი ფ ი.

VI ჯ გ უ ფ ი — ც ხ ე ნ ი ს გ უ ლ ს ა კ ი დ ი.

VII ჯ გ უ ფ ი — ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ზ ა რ ა კ ე ბ ი (2 ც.).

VIII ჯ გ უ ფ ი — ი ს რ ი ს პ ი რ ი.

„ქასრაანთ მიწების" სამაროვანზე საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა რკინის ნივთებიც. აქ წარმოდგენილია როგორც საბრძოლო და საოჯახო დანიშნულების ნაკეთობანი, ასევე სამკაულებიც. რკინის ნივთები ჟანგისაგან ისეა შეჭმული და დაშლილი, რომ ზოგჯერ მათი აღდგენა ძნელდება.

აქ მოპოვებულ მასალაში, თავიანთი დანიშნულების მიხედვით, რკინის იარაღებისა და სამკაულების რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

I ჯ გ უ ფ ი — დ ა ნ ე ბ ი.

„ქასრაანთ მიწების" სამაროვანზე დანები საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი. აქ გვხვდება დანების ერთი ტიპი: ცალპირიანი, წელში მოხრილი, რომელთაც ძვლის ან ხის ტარი უნდა ჰქონოდათ. ტარის დასამაგრებელ ნაწილზე დანებს სამ-სამი სამანჭვლე ნახვრეტი აქვთ.

II ჯ გ უ ფ ი — შ უ ბ ი ს პ ი რ ე ბ ი.

სამაროვანზე აღმოჩენილი შუბისპირები (2 ც.). მასრაგახსნილი, ორმხრივქედიანი, ორმხრივგალესილი.

III ჯ გ უ ფ ი — ს ა მ ა ჯ უ რ ე ბ ი.

ამ ჯგუფში ერთი ტიპის სამაჯური გვაქვს (3 ც.) — წრიულად მორკალული, დაკენჭილღეროიანი სამაჯურები.

„ქასრაანთ მიწების" სამარხეული ინვენტარი სინქრონულია შიდა ქართლსა და თრიალეთში აღმოჩენილი მასალებისა. ამიერკავკასიის ყველა მუზეუმში დაგროვებულია დიდძალი მასალა, რომლის მიხედვით საშუალება გვეძლევა

თვალი გავადევნოთ ამ კულტურის განვითარების თითქმის ყველა ქრონოლოგიურ ეტაპს. „ქასრაანთ მიწებზე“ გათხრილი სამარხეული ინვენტარის შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა ვიფიქროთ, რომ საქმე გვაქვს ერთ მთლიან კულტურასთან, რომელსაც გააჩნია თავისი განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი გზა.

ამ კრებულში წარმოდგენილია მხოლოდ მასალები, ხოლო ამ მასალების პარალელების განხილვა უფრო ფართო მასშტაბით, მათი ზუსტი თარიღი და გენეზისი, ამ კულტურის მატარებელ ხალხთა ვინაობის გარკვევის ცდით, წარმოდგენილი იქნება შემდეგ ნაშრომში.

Э. Г. БЕРАДЗЕ

## ГРУНТОВЫЕ ПОГРЕБЕНИЯ РАННЕАНТИЧНОГО ПЕРИОДА МОГИЛЬНИКА «КАСРААНТ МИЦЕБИ»

(табл. IX—XXIV)

Резюме

На могильнике «Касраант мицеби» на площади 600 м² раскопано 30 грунтовых погребений. Покойники лежали в сильно скорченном положении, на левом или правом боку. Погребения в основном индивидуальные, лишь в одном случае зафиксировано парное захоронение. Помимо этого, в двух случаях на каменных плитах, использованных в качестве перекрытия погребений, были похоронены покойники без инвентаря. Не исключено, что покойники были принесены в жертву.

Основным материалом могильника, как по количеству, так и по разнообразию форм, является керамика, большей частью черного обжига. Встречается также краснокрашенная керамика. Выделяются следующие типы: кувшины с круглым венчиком, кувшины с трехлепестковым венчиком, плоскодонные миски, миски на ножках, горшки, кружки.

Большой интерес представляют также бронзовые булавки, браслеты, цепь, пуговицы, серьги, колокольчик, бронзовая подвеска в виде скульптуры лошадки. Железные предметы представлены наконечниками копий и стрел, ножами, браслетами.

Встречаются также бусы из сердолика, пасты и стекла.

Погребальный материал могильника «Касраант мицеби» датируются VI—IV вв. до н. э.

Раскопки на территории могильника продолжаются.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ნაკაიძე

# ძვ. წ. IV—III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან

## (ტაბ. XXV—XXXIX)

„დაჭრილების“ ბორცვის სამაროვანზე დაკრძალვა ხდებოდა მხოლოდ ქვევრებში, რომელთა უმრავლესობა ჯგუფ-ჯგუფად იყო განლაგებული. ქვევრსამარხები ძალიან დაზიანებული აღმოჩნდა, რაც ძირითადად ბორცვის ეროზიამ განაპირობა. „დაჭრილების“ სამაროვანზე დადასტურებულია ნახმარი ქვევრების სამარხად გამოყენების ფაქტები. სამარხი ქვევრები ვარდისფრად გამომწვარი თიხისაა, გვხვდება როგორც სადაზედაპირიანი, ისე წითელი საღებავით მოხატული ქვევრები: ყელის ძირში დახრილი ნაჭდევები შემოუყვებათ, ხოლო მხრებზე მუქი წითელი საღებავით შესრულებული, წვეროთი ქვემოთ მიმართული სამკუთხედებისაგან შემდგარი სარტყელი. ქვევრის საშუალო ზომებია h—0,80—1,35 სმ.

სამაროვანზე გაითხარა სულ 25 ქვევრსამარხი, რომლებიც როგორც დაკრძალვის წესით, ასევე სამარხეული ინვენტარით ერთმანეთთან სრულ იდენტობას იჩენს, რაც გარკვეულ სოციალურ კატეგორიაზე მიგვანიშნებს. სამარხი ქვევრები განლაგებულნი არიან მიწის ზედაპირთან ახლოს, უმრავლესობა ჰორიზონტალურად არის ჩადგმული პირით აღმოსავლეთისაკენ, გვხვდება აგრეთვე ვერტიკალურად ჩადგმული ქვევრებიც (დადასტურდა 3 შემთხვევა). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1975 წ. გათხრილი ქვევრსამარხი № 1, რომელიც ვერტიკალურად იყო ჩადგმული მიწაში და რომელშიც 7 მიცვალებული იყო დაკრძალული, ხოლო მე-8 მიცვალებულის ჩონჩხი ქვევრის პირზე იყო დაკრძალული (ორი ჭურჭელი — ყურიანი თიხის ჯამი და დოქი სამარხი ქვევრის გარეთ იდგა), ეს კი, ალბათ, საოჯახო სამარხებზე უნდა მიგვანიშნებდეს. ქვევრსამარხებში მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში ხელფეხმოკეცილი ესვენა მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე. „დაჭრილების“ სამაროვნის თანადროული სამარხი მიკვლეულ იქნა „დაჭრილების“ ბორცვიდან ჩრდ.-დასავლეთით 150 მ, „საყარაულო“ სერის აღმოსავლეთით, ბორცვის შემაღლების დასაწყისშივე (ქვ. ს. № 14—1972 წ. და ქვ. ს. № 2—1977).

ქვევრსამარხებიდან მომდინარე ინვენტარი ძირითადად წარმოდგენილია პატარა ზომის — სუფრისათვის განკუთვნილი თიხის ჭურჭლებით; განსაკუთრებით სჭარბობს დოქები (სულ 25 ცალი), როგორც სადა ზედაპირიანი ისე მოხატული და ჯამები 22 ცალი, სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის,

აგრეთვე სადა და შეღებილ-გაპრიალებული ზედაპირით. ჩვენ თიხის ჭურჭლის დაჯგუფება ვარჩიეთ მათი ფორმების მიხედვით და გამოვყავით შემდეგი ჯგუფები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ჯ გ უ ფ ი. დ ო ქ ე ბ ი—ყელმაღალი, გადაშლილი პირით, მრგვალი მუცლით, ბრტყელძირა, მოვარდისფრო-მოწითალოდ გამომწვარი თიხისა, ზედაპირი მოხატული აქვთ წითელი საღებავით-უმეტესად გამოყვანილია გეომეტრიული ხაზები და სამკუთხედები.

II ჯ გ უ ფ ი. დ ო ქ ე ბ ი—მსხლის ფორმის მუცლით, პირგადაშლილი, ვიწრო, დაბალი ყელით, ყური მიძერწილი აქვთ პირსა და მხარზე, გვხვდება როგორც მოჩალისფროდ გამომწვარი, სადა, ისე წითელი საღებავით მოხატული (ქვ. ს. № 6, № 7—1975 წ., ქვ. № 8—1976 წ.). განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი ფორმის ჭურჭელი, რომელიც შავზედაპირიანია და მოხატული (ქვ. ს. № 11—1975 წ.).

III ჯ გ უ ფ ი. დ ო ქ ი—სამლულიანი ყურით, მაღალყელიანი, სფერული მუცლით, წითლად გაპრიალებული (ქვ. ს. № 2—1975 წ.).

IV ჯ გ უ ფ ი. ხ ე ლ ა დ ე ბ ი— დაბალყელიანი, პირსწორი, პირისა და ყელის დიამეტრი თითქმის თანაბარი აქვთ, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირა მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი თიხისა, უმეტესობა შეღებილ-გაპრიალებულია წითლად (ქვ. ს. № 2, № 5—1975 წ., ქვ. ს. № 8—1976 წ.).

V ჯ გ უ ფ ი. ხ ე ლ ა დ ე ბ ი—სამტუჩა ანუ მოკლენისკარტიანი, მაღალი, გამოყვანილი ყელით, ვიწრო პირით, ყელზე შემოუყვება ტალღური ორნამენტი. ყური მიძერწილია პირზე და მხარზე. ჩალისფრად გამომწვარი თიხისა (ქვ. ს. № 2—1977 წ. საყ. სერი).

VI ჯ გ უ ფ ი. ს ა ს მ ი ს ი (ტოლჩა)—ფართო პირით, წელში გამოყვანილი, ბრტყელძირა, ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარსა და მუცელზე, გამომწვარია მოჩალისფროდ (ქვ. ს. № 6—1975 წ., ქვ. ს. № 1—1976 წ.).

VII ჯ გ უ ფ ი. კ ო ჭ ო ბ ე ბ ი—გვხვდება როგორც შავპრიალა, ისე მოჩალისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი, მრგვალი, დაბრტყელებული მუცლით (ქვ. ს. № 6, №7—1975 წ.).

VIII ჯ გ უ ფ ი. ჯ ა მ ე ბ ი—უფეხო და ფეხიანი.

ა) უფეხო—პირმოყრილი, ბრტყელძირა, მოვარდისფრო, მოჩალისფრო თიხის, შეღებილია წერნაქით, მომრგვალებული გვერდებით (ქვ. ს. № 11—1975 წ., ქვ. ს. № 7,№9, № 10—1976 წ.). ძაბრისებრი ფორმის, პირმოყრილი წითლად შეღებილი (ქვ. ს. № 11—1975 წ.). ყურიანი ჯამი—პირმოყრილი, მრგვალძირა წითლად შეღებილი (ქვ. ს. № 1—1975 წ.).

ბ) ფეხიანი—პირმოყრილი, მხრებდაქანებული, მომაღლო, ამოღარული ქუსლით (ქვ. ს. № 11—75 წ. და ქვ. ს. №2—1977 წ.). სამფეხა, აგურისფრად გამომწვარი, ცერისებური ფეხებით (ქვ. ს. № 8—1975 წ.).

## ლითონის სამკაულები და სხვა ნივთები

„დაჭრილების" სამაროვნიდან მომდინარე ლითონის სამკაულთაგან გვხვდება:

1. ს ა ყ უ რ ე ე ბ ი—ოქროსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის, რკალგახსნილი (ქვ. ს. №10—75 წ.), ვერცხლის, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის,

რკალგახსნილი (ქვ. ს. № 5—76 წ. ქვ. № 13—76 წ. ქვ. ს. № 7, № 10—75 წ.). ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის (ქვ. ს. № 2, № 3, № 11—76 წ.).

2. სასაფეთქლე რგოლი—ოქროსი, ბოლოებგახვრეტილი (ქვ. ს. № 11—1975 წ.).

3. სამაჯური—ბრინჯაოსი ზურგშეზნექილი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის (ქვ. ს. № 2—1975 წ.). რკინის მრგვალგანივკვეთიანი, კოპებიანი (ქვ. № 2—1975 წ. ქვ. ს. № 1, № 2—1976 წ.).

4. ბეჭდები—ვერცხლის, ოვალური ფორმის, ფარაკიანი (ქვ. ს. № 3, № 5—1976 წ.). რკინის ფარაკიანი, (ქვ. ს. № 7—1975 წ. და ქვ. ს. № 11—1976 წ.).

5. საკინძები—ა) ვერცხლის, რკალის ფორმის (ქვ. ს . № 2—76 წ.); ბ) ბრინჯაოსი, ფრინველის გამოსახულების თავით; ცილინდრული ფორმის; კონუსური თავით (ქვ. ს. № 12, № 3, № 7—1976 წ ).

6. ილარი—ბრინჯაოსი, ფრინველის თავის გამოსახულებით (ქვ. ს. №3—76 წ., № 9—75 წ.)

7. მშვილდსაკინძი—ბუდეაბმული, ბრინჯაოსი (ქვ. № 6—75 წ., № 10—75 წ., № 9—1977 წ.).

8. საბეჭდავი—ბრინჯაოსი, ოთხკუთხა ფორმის, ზედაპირზე არათანაბარი კვეთით კიდურებგაშლილი ადამიანის სქემატური გამოსახულებაა. ზურგზე საკიდი ყურით (ქვ. ს. №25, 1977 წ.).

9. საკიდი სკარაბეოიდი—მასალა არაა დადგენილი, ამოჭრილია მამაკაცის გამოსახულება პროფილით, თავზე ჰხურავს წაგრძელებული ქუდი, აცვია ჩოხისმაგვარი, კალთებიანი ტანსაცმელი, მარჯვენა ხელი ზურგს უკან აქვს გაწვდილი და უჭირავს თასი, ფეხები განცალკევებით უდგას, ნაბიჯი აქვს წინ გადადგმული.

10. მძივები—გვხვდება ოქროსი 5 ც. გოფრირებული მილაკი (ქვ. ს. № 7), გიშრის 1 ც. (ქვ. ს. № 7—75 წ.), მინისებური პასტის თითქმის ყველა სამარხში.

11. კოლოფი—ბრინჯაოსი მრგვალი, გატეხილი.

„დაჭრილების“ სამაროვანზე გათხრილი მასალა წარმოდგენილია ცალკეული სამარხების კომპლექსების მიხედვით.

**ქვევრსამარხი № 1.** მდებარეობდა ბორცვის დასავლეთ ნაწილში. სამარხად გამოყენებული ქვევრი ვერტიკალურად იყო მიწაში ჩადგმული. ქვევრში დაკრძალული იყო 7 მიცვალებულის ჩონჩხი, ხოლო მერვე მიცვალებული დაკრძალული იყო ქვევრის ზედაპირზე. სამარხში აღმოჩნდა:

1. ჯამი (სავ. დ. № 1. 1975 წ.)—აგურისფრად გამომწვარი, პირმოყრილი, ქუსლიანი, პატარა ყური მიძერწილი აქვს პირთან (ტაბ. XXV-1).

2. დოქი (სავ. დ. № 2)—პირფართე (ტაბ. XXV-2).

**ქვევრსამარხი № 2.** აღმოჩნდა აღწერილი ქვევრსამარხიდან აღმოსავლეთით 2 მ-ის დაშორებით. მიწის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე. სამარხად გამოყენებული ქვევრის გვერდს შერჩენილი ჰქონდა კირის კოწიწი. მიცვალებული ჩაუწვენიათ მოკუნტულ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. № 9)—პირგადაშლილი, სფერული მუცლით, მრგვალგანიკვეთიანი ყურით, ბრტყელძირა, წითლად გამომწვარი. იდო ქვევრის გარეთ, დასავლეთით (ტაბ. XXVI-6).

2. დ ო ქ ი (სავ. № 3) — მაღალყელიანი, სფერული მუცლით, სამლულიანი ყურით, წითლად გაპრიალებული. აღმოჩნდა ქვევრის გარეთ, სამხრეთით (ტაბ. XXVI-4).

3. ს ა მ ა ჯ უ რ ი (სავ. № 15) — ბრინჯაოსი, ზურგჩაზნექილი, მრგვალგანივკვეთიანი, თავგახსნილი. აღმოჩნდა სხივისა და იდაყვის ძვლებთან (ტაბ. XXVI-7).

4. ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ფრაგმენტები (სავ. № 8) — რკინის, კოპებიანი. იდო გულმკერდის არეში (ტაბ. XXVI-7).

5. მ ძ ი ვ ე ბ ი — ბრინჯაოსი და რკინის, მრგვალი; აღმოჩნდა ჩონჩხის კისრის არეში (ტაბ. XXVI — 2-3).

**ქვევრსამარხი № 5.** გაითხარა სამაროვნის სამხრეთ ფერდობზე, თიხნარევ ნიადაგში, 50 სმ-ის სიღრმეზე. ჩაწვენილი იყო ჰორიზონტალურად, ყელით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში ორი მიცვალებული დაუკრძალავთ, მარცხენა გვერდზე, მოკუნტულ მდგომარეობაში. ჩონჩხის ზომის მიხედვით, ქვევრში ერთმანეთზე დაუსვენებიათ დიდი და პატარა მიცვალებული. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. № 12) — დაბალყელიანი, მუცელგამობერილი, ჩალისფრად გამომწვარი, აღმოჩნდა თავის ქალასთან (ტაბ. XXVII-3).

2. ჯ ა მ ი (სავ. № 11) — ჩალისფრად გამომწვარი, აღმოჩნდა ხერხემლის არეში (ტაბ. XXVII-1).

3. დ ო ქ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი (სავ. № 14) — ჩალისფრად გამომწვარი, წერნაქით შეღებილი. აღმოჩნდა ხერხემლის უკან მდებარე ჯამზე.

4. მ ძ ი ვ ე ბ ი (სავ. № 13) — პასტისა, ყურძნის წიპწების ფორმისა, 35 ც. აღმოჩნდა გულმკერდის არეში (ტაბ. XXVII-2).

**ქვევრსამარხი № 6.** გაითხარა ბორცვის შემაღლებაზე, № 2 სამარხის აღმოსავლეთით 2 მ და 30 სმ-ზე; 1 მ-ის სიღრმეზე, თიხნარევ ნიადაგში. პირზე ბრტყელი ქვა ჰქონდა მიფარებული. ქვევრში 8—10 წლის ბავშვი იყო ჩასვენებული მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. № 17) — პირგადაშლილი, მსხლისებური ფორმის მუცლით, წერნაქით შეღებილი. იდო გულ-მკერდის არეში (ტაბ. XXVIII-12).

2. ს ა ს მ ი ს ი (სავ. № 18) — ფართო პირით, წელში გამოყვანილი, ბრტყელი ძირით; იდო დოქთან ერთად, გულმკერდის არეში (ტაბ. XXVIII-11).

3. ჯ ა მ ი (სავ. № 19) — პირმოყრილი, ჩალისფრად გამომწვარი. დაფარებული იყო სასმისზე, გულმკერდის არეში (ტაბ. XXVIII-9).

4. კ ო ჭ ო ბ ი (სავ. № 20) — პატარა, მრგვალი, დაბრტყელებული მუცლით, შავად გაპრიალებული. აღმოჩნდა გულმკერდის არეში (ტაბ. XXVIII-1).

5. კ ო ჭ ო ბ ი (სავ. № 21) — ყელ-პირნაკლული, დაბრტყელებული მუცლით, ჩალისფრად გამომწვარი, აღმოჩნდა ხერხემალთან (ტაბ. XXVIII-3).

6. მ ძ ი ვ ე ბ ი (სავ. № 22) — პასტის, ქვის და სარდიონისა, 47 ც. აღმოჩნდა კისრისა და თავის მიდამოებში (ტაბ. XXVIII-4).

7. მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ი (სავ. № 23) — ბრინჯაოს, ბუდეაბმული 1 ც. აღმოჩნდა კისრის არეში (ტაბ. XXVIII-10).

8. ს ა ყ უ რ ე (სავ. № 24) — ბრინჯაოსი, ორწახნაგა, შუაში გახვრეტილი, აღმოჩნდა კისრის არეში.

9. ბრინჯაოს ფირფიტა (სავ. № 25)—ოვალური ფორმისა, სამი ნახვრეტით, თავის ქალის ქვეშ (ტაბ. XXVIII-6).

10. კვირისთავი (სავ. № 26)—ძვლისა, მრგვალი. აღმოჩნდა წვივის ძვლებთან (ტაბ. XXVIII-2).

11. სამაჯურის ნატეხები (სავ. № 27)—ოვალური, მრგვალ-განივკვეთიანი, აღმოჩნდა სხივისა და იდაყვის ძვლებთან.

12. ბეჭედი რკინის (ტაბ. XXVIII-7).

13. ღილი ბრინჯაოსი (ტაბ. XXVIII-8).

14. ნიჟარა (ტაბ. XXVIII-5).

**ქვევრსამარხი № 7.** გაითხარა № 6 ქვევრსამარხის სამხრეთ-დასავლეთით 1 მ მოშორებით, 60 სმ სიღრმეზე. ქვევრი ჩაწვენილი იყო ჰორიზონტალურად, ყელით აღმოსავლეთისაკენ. პირზე მიფარებული ჰქონდა ბრტყელი, ოთხკუთხა ქვა. მიცვალებული იწვა ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. დოქი (სავ. № 30)—პირგადაშლილი, მსხლისებური ფორმის მუცლით, ჩალისფრად გამომწვარი, იდგა ქვევრის ყელთან (ტაბ. XXIX-7).

2. მძივი (სავ. № 32)—ოქროსი, გოფრირებული მილაკები, 5 ც; აღმოჩნდა ყელის არეში (ტაბ. XXIX-5).

3. საყურე (სავ. № 32)—ვერცხლის, მრგვალგანივკვეთიანი, წყვილი, აღმოჩნდა თავის ქალასთან (ტაბ. XXIX-6).

4. ბეჭედი (სავ. № 33, 34)—რკინისა, ფარაკიანი, 2 ც. გულ-მკერდის არეში (ტაბ. XXIX-9).

5. მძივი (სავ. № 35)—გიშრისა, მოგრძო ფორმის, თავისა და ყელის მიდამოებში.

**ქვევრსამარხი № 8.** აღმოჩნდა № 7, № 9 ქვევრსამარხებს შორის, მათ თავზე, თითქმის ვერტიკალურ მდგომარეობაში, ყელით აღმოსავლეთისაკენ. ამის გამო სამარხის ინვენტარი და ჩონჩხის ძვლები, თავის ქალასთან ერთად, ქვევრის ძირში ერთმანეთში იყო არეული. ქვევრში აღმოჩნდა შემდეგი სამარხეული ინვენტარი:

1. დოქი (სავ. № 38)—დაბალყელიანი, სფერული ფორმის მუცლით, წითლად მოხატული (ტაბ. XXX-5).

2. დოქი (სავ. № 39)—პირგადაშლილი, მუცელგამობერილი, შეღებილია წერნაქით (ტაბ. XXX-4).

3. ჯამი (სავ. № 36)—სამფეხა, ცერისებური ფეხებით, აგურისფრად გამომწვარი (ტაბ. XXX-3).

4. ჯამი (სავ. № 37)—პირმოყრილი, ბრტყელი ძირით, წერნაქით შეღებილი. გამომწვარია აგურისფრად (ტაბ. XXX-2).

5. სამაჯური (სავ. № 46)—რკინისა, ოვალური ფორმის, მრგვალგანიკვეთიანი (ტაბ. XXX-1).

**ქვევრსამარხი № 9.** გაითხარა № 8 ქვევრსამარხის სამხრეთით, ქვიშანარევ ნიადაგში; ჩაფლული იყო ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებული ჩაუსვენებიათ ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. № 41) — პირგადაშლილი, მსხლისებური ფორმის მუცლით, შავად გამომწვარი. აღმოჩნდა ხერხემალთან (ტაბ. XXIX-8).

2. ი ლ ა რ ი (სავ. № 42) — ბრინჯაოსი, ლირასებური თავით, აღმოჩნდა მკერდის არეში (ტაბ. XXIX-2).

3. მშვილდსაკინძის მ შ ვ ი ლ დ ი (სავ № 43) — ბრინჯაოსი, აღმოჩნდა ყელის არეში (ტაბ. XXIX-3).

4. ბ ე ჭ ე დ ი (სავ. № 44) — რკინის, ფარაკიანი. აღმოჩნდა მტევნის ძვლებთან (ტაბ. XXIX-1).

5. ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი (სავ. № 45) — რკინის, მრგვალგანიკვეთიანი. აღმოჩნდა სხივისა და იდაყვის ძვლებთან (ტაბ. XXIX-4).

**ქვევრსამარხი № 10.** გაითხარა № 8 ქვევრსამარხის დასავლეთ მხარეს, თიხნარევ ნიადაგში, მიწის ზედაპირიდან 40 სმ-ის სიღრმეზე. ქვევრი ჩაწვენილი იყო ჰორიზონტალურად ყელით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში სამი მიცვალებული იყო დაკრძალული. აქედან ორი იწვა მარცხენა გვერდზე ძალზე მოხრილ მდგომარეობაში, ხოლო მესამე მიცვალებულის პოზის დადგენა არ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. № 4.) — მაღალყელიანი, სფერული ფორმის მუცლით, მოხატული. აღმოჩნდა ხერხემლის არეში (ტაბ. XXXI-1).

2. დ ო ქ ი (სავ. № 48) — ვიწრო, დაბალი ყელით, მსხლისებური ფორმის მუცლით, აღმოჩნდა ხერხემლის არეში (ტაბ. XXXI-5).

3. დ ო ქ ი (სავ. № 49) — პირნაკლული, დაბალი ყელით, ჩალისფრად გამომწვარი (ტაბ. XXXI-4).

4. ს ა ყ უ რ ე (სავ. № 50) — ოქროსი, მრგვალგანივკვეთიანი, თავგახსნილი. აღმოჩნდა თავისა და ყელის მიდამოებში (ტაბ. XXXI-2).

5. მ ო რ კ ა ლ უ რ ი ღ ე რ ო ე ბ ი — ბრინჯაოსი (სავ. № 51), გულ-მკერდის არეში (ტაბ. XXXI-2).

6. ს ა ყ უ რ ე (სავ. № 52) — ვერცხლის, მრგვალგანივკვეთიანი, პირგახსნილი. აღმოჩნდა თავის ქალის არეში.

7. მ ძ ი ვ ე ბ ი (სავ. № 53) — მინისებური პასტისა, 4 ც. აღმოჩნდა კისრის არეში (ტაბ. XXXI-3).

**ქვევრსამარხი № 11.** გაითხარა სამაროვნის შემაღლებაზე, № 10 ქვევრსამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იგი ჩაფლულია ჰორიზონტალურად, ყელით აღმოსავლეთისაკენ. ქვევრსამარხი ძალზე დაზიანებულია, ქვევრის ნატეხები ჩონჩხის ძვლებსა და სამარხეულ ინვენტარში იყო არეული. ქვევრში ორი მიცვალებული ჩაუსვენებიათ. მათი დამხრობის გარკვევა არ მოხერხდა. სამარხის ჩრდილოეთით, ქვევრის ზემოდან აღმოჩნდა ადამიანის თავის ქალა და ძვლების ფრაგმენტები. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. № 55) — მსხლისებური ფორმის მუცლით, შავზედაპირიანი, მოხატული (ტაბ. XXXII-5).

2. ჯ ა მ ი — პირმოყრილი, ბრტყელი ძირით. გატეხილი.

3. ჯ ა მ ი (სავ. №56) — შიგნით ჩაკეცილი ბაკოთი, ჩალისფრად გამომწვარი, იდო აღწერილ ჯამში (ტაბ. XXXII-3).

4. ჯ ა მ ი (სავ. № 57) — პირგადაშლილი, გვერდწიბოიანი, წითლად შეღებილი (ტაბ. XXXII-1).

5. დ ო ქ ი (სავ. №58)—დაბალყელიანი, სფერული ფორმის მუცლით, წითლად გამომწვარი.

6. ჯ ა მ ი (სავ. № 59)—პირმოყრილი, ძაბრისებური ფორმის, ქუსლით, წითლად გამომწვარი (ტაბ. XXXII-4).

7 ს ა ს ა ფ ე თ ქ ლ ე რ გ ო ლ ი (სავ. № 60)—ოქროსი, პირგახსნილი, ბოლოებგახვრეტილი (ტაბ. XXXII-6).

8. სამაჯური ბრინჯაოსი (ტაბ. XXXII-7).

9. სამაჯური—ბრინჯაოსი კასრისებური დაღარული თავებით (ტაბ. XXXII-11).

10. საკინძი—ბრინჯაოსი (ტაბ. XXXII-9).

11. ბეჭედი—2 ც. ბრინჯაოსი, ბრტყელფარაკიანები, გატეხილები (ტაბ. XXXII-7,8).

12. სამაჯური—რკინის (ტაბ. XXXII-10).

13. დოქის ძირის ნატეხი (ტაბ. XXXII-2).

**ქვევრსამარხი № 12.** № 11 სამარხის სამხრეთით 8 მ-ის დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. ქვიშანარევ ნიადაგში. ქვევრში არეულ სამარხეულ ინვენტართან ერთად ორი თავის ქალა და ლულოვანი ძვლები იყო. სამარხში აღმოჩნდა:

1. დოქი (სავ. № 69)—პირგადაშლილი, სფეროსებური მუცლით, წითლად მოხატული. იდო ქვევრის ყელთან.

2. ჯ ა მ ი (სავ. № 62)—პირმოყრილი, შიგნით შეკეცილი ბაკოთი, აგურისფრად გამომწვარი, აღმოჩნდა თავის ქალის ქვეშ.

3. ტ ო ლ ჩ ა —ფრაგმენტირებული (სავ. 63), ოდნავ პირგადაშლილი, წელში გამოყვანილი, ცალყურა, წითლად შეღებილი. იდო ქვევრის გარეთ 1 სმ—ზე.

4. ს ა მ ა ჯ უ რ ი —ფრაგმენტირებული (სავ. № 64) რკინისა, მრგვალკოპებიანი, ნატეხები გაბნეული იყო მთელ სამარხში.

**ქვევრსამარხი № 13.** გაითხარა № 1 ქვევრსამარხის უშუალო სიახლოვეს, მისგან აღმოსავლეთით მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 15—20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხში ერთი მიცვალებული აღმოჩნდა ჩასვენებული, რომლის სამარხეული ინვენტარი და ჩონჩხის ძვლები ერთმანეთში იყო არეული. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. № 65)—პირგადაშლილი, მსხლისებური მუცლით, წერნაქით შეღებილი, ჩალისფრად გამომწვარი. იდო გარეთ, ქვევრის ჩატეხილ ყელთან (ტაბ. XXXIII-4).

2. დ ო ქ ი (სავ. № 66)—ოდნავ პირგადაშლილი, მსხლისებური მუცლით, სადა, ჩალისფრად გამომწვარი. იდო ქვევრის ძირზე.

3. ს ა მ ა ჯ უ რ ი—ფრაგმენტირებული (სავ. № 67) რკინისა, მრგვალგანიკვეთიანი მავთულის. აღმოჩნდა სხივის ძვლებთან (ტაბ. XXXIII-5).

4 ს ა ყ უ რე (სავ. № 68)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის, გატეხილი. აღმოჩნდა თავის ქალასთან (ტაბ. XXXIII-3).

5. ს ა კ ი ნ ძ ი (სავ. № 69)—ვერცხლის, რკალისებური ფორმის, აღმოჩნდა ქვევრის ძირზე (ტაბ. XXXIII-6).

6. ჯ ა მ ი —აგურისფრად გამომწვარი, პირმოყრილი, პატარა ქუსლით.



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ქვევრსამარხი № 14.** გაითხარა № 2 ქვევრსამარხის აღმოსავლეთით, 1,8 მ-ზე დაშორებით, მიწის ზედაპირიდან 40 სმ-ის სიღრმეზე, ნახევრად ვერტიკალურ მდგომარეობაში. პირზე მიფარებული ჰქონდა ბრტყელი ოთხკუთხა ქვა. სამარხში ბავშვი იყო დაკრძალული. ჩონჩხის ძვლები სამარხეულ ინვენტართან ერთად ქვევრის ჩრდილოეთ მხარეს აღმოჩნდა ჩამოცურებული. სამარხში აღმოჩნდა:

1. ზარაკები (სავ. 70)—ბრინჯაოსი, ყურიანები, ცილინდრული ფორმის, გვერდჩაჭრილი, 9 ც. (ტაბ. XXXIV-1).

2. საკინძები (სავ. 71)—ბრინჯაოსი, ფრინველის გამოსახულებიანი თავით, 2 ც. (ტაბ. XXXIV-4,6).

3. ილარი (სავ. 72)—ბრინჯაოსი, ფრინველის გამოსახულებიანი თავით (ტაბ. XXXIII-5ა).

4. ბეჭედი (სავ. 74)—ვერცხლისა, ოვალურბრტყელპირიანი ფარაკით, გატეხილი (ტაბ. XXXIV-8).

5. ფირფიტები (სავ. №75)—ბრინჯაოსი, გაურკვეველი დანიშნულების, კოჭისებური ფორმისა, გატეხილი (ტაბ. XXXIV-9).

6. მილაკი (სავ. 76)—ბრინჯაოსი, თხელფურცლიანი, გატეხილი (ტაბ. XXXIII-10).

7. საყურე (სავ. 77)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის, პირგახსნილი, 1 წყვ. (ტაბ. XXXIV-2).

8. საკიდი (სავ. 78) ბრინჯაოსი, ოთხკუთხა, დანაოჭებული, შუაში გახვრეტილი, 1 ც. (ტაბ. XXXIV-11).

9. საყურე (რგოლი) (სავ. 79)—ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი მავთულის, გატეხილი (ტაბ. XXXIV-3).

11. რგოლი (სავ. 80)—ძვლის, სოკოსებური ფორმის, შუაში გახვრეტილი, 1 ც. (ტაბ. XXXIV-12)

12. ბეჭედი (სავ. 81)—რკინის, ფარაკიანი, გატეხილი (ტაბ. XXXIV-7).

13. მძივები (სავ. 81)—სხვადასხვა მინერალისა 215 ც. (ტაბ. XXXIV-13).

14. ფიალა (სავ. 82)—ღრმა, მრგვალძირიანი, წითლად შეღებილი (ტაბ. XXXIV-14).

15. ჯამი (სავ. 83)—ოდნავ პირგადაშლილი, მრგვალი ძირით, წითლად შეღებილი (ტაბ. XXXIV—15).

16. ფირფიტები—ძვლისა, სპირალური ორნამენტით შემკული, 4 ნატეხი (ტაბ. XXXIV-16).

**ქვევრსამარხი № 15.** გაითხარა № 1 ქვევრსამარხის დასავლეთით, 2,30 მ ქვიშანარევ ნიადაგში, 15 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული აღმოჩნდა. გადარჩენილი იყო შემდეგი სამარხეული ინვენტარი:

1. კ ო ჭ ო ბ ი (სავ. 84)—ოდნავ პირგადაშლილი, დაბალი ყელით, ჩალისფრად გამომწვარი, გატეხილი (ტაბ. XXXV-3).

2. ქ ი ლ ი ს ნატეხები (სავ. 85)—დაბალყელიანი, სადა, წითლად გამომწვარი (ტაბ. XXXV-1,2).

**ქვევრსამარხი № 16.** გაითხარა ბორცვის ქიმთან № 4 და № 1 ქვევრსამარხებს შორის. კლდეში 15 სმ-ის სიღრმეზე. ჩაწვენილი იყო ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში ჩონჩხის ძვლებზე ერთმანეთ-

ზე დალაგებული სამი თავის ქალა აღმოჩნდა. სამარხში გამოვლენილი იქნა შემდეგი სამარხეული ინვენტარი.

1. ჭ უ რ ჭ ლ ი ს  ნ ა ტ ე ხ ე ბ ი (სავ. № 88)—თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, გვერდებგახვრეტილი (ტაბ. XXXV-4).

2. ბ ე ჭ ე დ ი (სავ. № 89)—რკინისა, ფარაკიანი, გატეხილი (ტაბ. XXXV-6).

3. ს ა ყ უ რ ე (სავ. 90)—ვერცხლისა, მრგვალგანივკვეთიანი, მავთულის (ტაბ. XXXV-5).

4. მ ძ ი ვ ი (სავ. 91)—პასტისა, ბიკონუსური ფორმის, 2 ც. (ტაბ. XXXV-7).

**ქვევრსამარხი № 17.** აღმოჩნდა № 3 ქვევრსამარხის ჩრდილოეთით 1 მ-ის დაშორებით. მიწის ზედაპირიდან 30 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი დაზიანებული და ქვებით იყო სავსე. გამოვლინდა შემდეგი სამარხეული ინვენტარი:

1. ს ა მ ა ჯ უ რ ი ს ფრაგმენტები (სავ. 92)—რკინისა, მრგვალგანივკვეთიანი. (ტაბ. XXXV-10).

2. კ ო ჭ ო ბ ი (სავ. 93)—თიხის, შავად გამომწვარი, გატეხილი (ტაბ. XXXV-8).

3. გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ი  ს ა გ ნ ი ს  ნ ა ტ ე ხ ე ბ ი (სავ. 94)—რკინისა, სხვადასხვა ფორმით (ტაბ. XXXV-9).

**ქვევრსამარხი № 18.** გაითხარა № 3 და № 6 ქვევრსამარხების აღმოსავლეთით, 1,30 მ-ის დაშორებით, 20 სმ-ის სიღრმეზე. ქვევრი ჩაწვენილი იყო ჰორიზონტალურად, ყელით აღმოსავლეთისაკენ. პირზე მიფარებული ჰქონდა ბრტყელი, ოთხკუთხა ქვა. სამარხში ორი მოზრდილი ინდივიდი იყო დაკრძალული მარცხენა გვერდზე, მოკუნტულ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. ჯ ა მ ი (სავ. 95)—შიგნით ჩაკეცილი ბაკოთი, მოხატული, აგურისფრად გამომწვარი პირმოყრილი. იდო ბეჭის ძვალთან (ტაბ. XXXVI-2).

2. ფ ი ა ლ ა (სავ. 96)—პირგადაშლილი, მრგვალი ძირით, წერნაქით შეღებილი, ჩალისფრად გამომწვარი. იდო თეძოს ძვლის ქვეშ (ტაბ. XXXVI-1).

3. დ ო ქ ი (სავ. 97)—პირგადაშლილი, ცილინდრული მაღალი ყელით, მოხატული, წითლად გამომწვარი. აღმოჩნდა ქვევრის გარეთ (ტაბ. XXXVI-4).

4. დ ო ქ ი (სავ. 98)—თხელკეციანი, ჩალისფრად გამომწვარი, ნატეხი, სამარხის ჩრდ. მხარეს (ტაბ. XXXVI-3).

5. კ ო ლ ო ფ ი (სავ. 99)—ბრინჯაოსი, მრგვალი, გატეხილი. იდო წვივის ძვლებთან (ტაბ. XXXVI-6).

6. ს ა კ ი ნ ძ ი (სავ. 100)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, კონუსური თავით, აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში (ტაბ. XXXVI-7).

7. მ ძ ი ვ ე ბ ი (სავ. 101)—ქვისა, 6 ც. აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. XXXVI-5).

**ქვევრსამარხი № 19.** აღმოჩნდა № 7 ქვევრსამარხის სამხრეთით 2,70 მ-ზე, 85 სმ-ის სიღრმეზე. ქვევრი ჩაუფლავთ ჰორიზონტალურად, ყელით აღმოსავლეთისაკენ. სამარხი არეული ჩონჩხის ძვლებით იყო სავსე. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. 102)—სფეროსებური მუცლით, მოხატული, წითლად გამომწვარი, გატეხილი (ტაბ. XXXVII-1).

2. დ ო ქ ი (სავ. 103)—პირგადაშლილი, მსხლისებური ფორმის მუცლით, წითლად შეღებილი, ჩალისფრად გამომწვარი (ტაბ. XXXVII-3).

3. ჯ ა მ ი (სავ. 104)—პირმოყრილი, შიგნით ჩაკეცილი ბაკოთი, აგურისფრად გამომწვარი (ტაბ. XXXVII-2).

4. ჯ ა მ ი (სავ. 105)—პირმოყრილი, სწორი მხრებით, სადა, გამომწვარია აგურისფრად (ტაბ. XXXVII-4).

5. ს ა მ ა ჯ უ რ ი — რკინის, მორკალური.

**ქვევრსამარხი № 20.** გაითხარა № 8 ქვევრსამარხის ჩრდილო-დასავლეთით 1 მ-ზე, 80 ს-ის სიღრმეზე, ქვიშანარევ ნიადაგში. ჩაწვენილია ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში ერთი მიცვალებული აღმოჩნდა დაკრძალული მარჯვენა გვერდზე, მოკუნტულ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. დ ო ქ ი (სავ. 106)—პირგადაშლილი, სფეროსებური ფორმის მუცლით, წითლად შეღებილი, აგურისფრად გამომწვარი, იდო თავის ქალასთან (ტაბ. XL-2).

2. ჯ ა მ ი (სავ. 107)—შიგნით ჩაკეცილი ბაკოთი, სადა, აგურისფრად გამომწვარი, აღმოჩნდა სხივის ძვლებთან (ტაბ.XL-1).

**ქვევრსამარხი № 21.** აღმოჩნდა № 8 ქვევრსამარხის ჩრდილოეთით, ძალზე დაზიანებული, შემორჩენილი იყო ქვევრისა და თიხის ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები. აქვე აღმოჩნდა:

1. ჯ ა მ ი (სავ. 109)—შიგნით გადაკეცილი ჰორიზონტალური პირით, მოხატული, ჩალისფრად გამომწვარი (ტაბ. XXXIII-2).

**ქვევრსამარხი № 22.** გაითხარა № 10 ქვევრსამარხის ნაშთის სამხრეთით, 0,5 მ-ზე, ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, ყელით აღმოსავლეთისაკენ. ქვევრში ბავშვი აღმოჩნდა დაკრძალული მარცხენა გვერდზე, მოკუნტული, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. ს ა ყ უ რ ე (სავ. 110)—ბრინჯაოსი. მრგვალგანივკვეთიანი, იდო თავის ქალის ჩრდილოეთით (ტაბ. XXXIII-1).

2. ბ ე ჭ ე დ ი (სავ. 111)—რკინის, პატარა ფარაკით. აღმოჩნდა თავის ქალის ჩრდილოეთით (ტაბ. XXXIII-1).

3. გ ა უ რ კ ვ ე ვ ე ლ ი ს ა გ ნ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი (სავ. 112)—რკინისა, სხვადასხვა ზომის, აღმოჩნდა სხივის ძვლებთან (ტაბ. XXXIII-1).

**ქვევრსამარხი № 23.** გაითხარა № 11 ქვევრსამარხის უშუალო სიახლოვეს, მისგან აღმოსავლეთით 1 მ-ის სიღრმეზე ქვიშანარევ ნიადაგში. პირზე გამოჭრილი ბრტყელი, კლდის ნაგლეჯი ქვა ჰქონდა მოფარებული. ქვევრში ორი მიცვალებული აღმოჩნდა ჩასვენებული, რომელთა ჩონჩხის ძვლები სამარხეულ ინვენტართან ერთად ქვევრის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე იყო მიყრილი. სამარხში აღმოჩნდა:

1. ჯ ა მ ი (სავ. 113)—პირგადაშლილი, ბრტყელი პირით. სადა, ჩალისფრად გამომწვარი (ტაბ. XXXVIII-12).

2. დ ო ქ ი ს ფ რ ა გ მ ე ნ ტ ე ბ ი (სავ. 114)—თხელკეციანი, წითლად შეღებილი, აგურისფრად გამომწვარი (ტაბ. XXXVIII-9,10, 13).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. საკინძი (სავ. 115)—ბრინჯაოსი, ცილინდრული ფორმის თავით, 2 ც. (ტაბ. XXXVII-3).

4. რკალისებური ნივთის ნატეხები (სავ. 116)—ბრინჯაოს მრგვალგანივკვეთიანი მავთულის (ტაბ. XXXVIII-11).

5. მძივი (სავ. 117)—პასტის, შავი, კონუსური ფორმის, 2 ც. (ტაბ. (XXXVIII-8).

**ქვევრსამარხი № 24.** აღმოჩნდა № 11 და № 12 ქვევრსამარხების ჩრდილოეთით 1 მ-ის დაშორებით. მიწის ზედაპირიდან 10 სმ-ის სიღრმეზე. ჩაწვენილია ჰორიზონტალურად, ყელით აღმოსავლეთისაკენ. პირზე ბრტყელი ქვა ქონდა მიფარებული. სამარხში ერთი მიცვალებული იყო ჩასვენებული მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. ჯამი (სავ. 118)—პირმოყრილი, ბრტყელი ძირით, ყავისფრად გამომწვარი. იდო თავის ქალის ჩრდილოეთით (ტაბ. XXXVIII-1).

2. საყურე (სავ. 119)—ვერცხლისა, მრგვალგანივკვეთიანი მავთულისა. აღმოჩნდა თავის ქალასთან (ტაბ XXXVII-4).

3. საყურე (სავ. 120)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, რკალგახსნილი. იდო ყბის ძვალთან (ტაბ. XXXVIII-4ა).

4. საკინძი (სავ. 121)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი, ცილინდრული თავით. იდო სხივის ძვალთან (ტაბ XXXVIII-3).

5. ბეჭედი (სავ. 122)—ბრინჯაოსი, ოვალურფარაკიანი. იდო მტევნის ძვლებთან (ტაბ XXXVIII-2)

6. სამაჯურის ფრაგმენტები (სავ. 123)—რკინისა, მრგვალგანივკვეთიანი. იდო სხივის ძვლებთან (ტაბ. XXXVIII-5).

7. მძივი (სავ. 124.)—ქარვისა და პასტის, სამარხში მოფანტული, 5 ც. (ტაბ. XXXVIII-6).

**ქვევრსამარხი № 25.** მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე, ბორცვი „დაჭრილების“ ჩრდილო-დასავლეთით 150 მეტრზე, „საყარაულო სერის“ შემაღლების დასაწყისშივე თიხნარევ ნიადაგში. სამარხი ჩაშლილია და მასში ჩატანებული ინვენტარიც ჩალეწილია, რაც ამ ფერდობის სისტემატური ჩამორეცხვის შედეგი უნდა იყოს.

სამარხი წარმოადგენს პატარა ზომის ქვევრს, გამომწვარია მოვარდისფროდ, პირ-ყელი მომტვრეული აქვს, მაგრამ ნატეხებიდან ჩანს, რომ პირგადაშლილია, დაბალი ყელით. ქვევრი მოხატულია წვეროთი ძირისაკენ მიმართული სამკუთხედებით, ყელზე პატარა ჭდეები შემოუყვება. ქვევრის h — 1,5 სმ; d — 80 სმ; ძ. d — 6 სმ; ქვევრი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ ოდნავ გადახრით. მიცვალებული იწვა მოკუნტულ მდგომარეობაში, ხელფეხმოკეცილი მარხცენა გვერდზე, თავით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ქვევრის ძირზე შეინიშნება მძლავრი ნაცროვანი ფენა. სამარხში აღმოჩნდა: დოქი ჩალისფრად გამომწვარი — გულმკერდის არეში; ქოთანი შავად გამომწვარი — სახის არეში, კოჭობი აგურისფრად გამომწვარი — თავთან სახის წინ, რომელშიც იდო ფარაკიანი ბრინჯაოს ბეჭედი; ჯამი პატარა ზომის — პირ-სახის წინ; დოქი შავად გამომწვარი — გულმკერდის არეში; ჯამი სამფეხა, თავთან — სახის არეში; საბეჭდავი ბრინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაოსი — სამფეხა ჯამსა და წვივის ძვალთან; სამაჯური, რკინის ნატეხი — იდაყვის ძვლებთან; საყურე რგოლი ბრინჯაოსი — თავის ქალასთან; ბეჭედი — რკინის, გატეხილი — სხივის ძვალთან: ფიბულა ბრინჯაოსი — ზურგთან; გულმკერდის არეში აღმოჩნდა აგრეთვე ცხვრის ძვლები.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დოქი (სავ. № 8) თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, სამტუჩა ე. წ. ტუჩნისკარტა, დაბალი ყელით, სფეროულმუცლიანი, ბრტყელძირა, ყური მოტეხილი აქვს, რომელიც მიძერწილი ყოფილა ტუჩსა და მხარზე. ყელთან წრიული ხაზები შემოუყვება, მხარი შემკულია ტალღისებური ორნამენტით. მუცელზე თანაბარი მანძილით დაშორებული სამი კოპი აზის, რომელიც ერთმანეთთან არამკვეთად ამოღარული წრიული ხაზებითაა შეერთებული. ზომები: h — 14,5. პd — 8 სმ; dd — 10 სმ (ტაბ. XXXIX-7).

2. ქოთანი (სავ. № 6) — თიხის, შავად გამომწვარი, მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პირით, დაბალი ყელით, მხრებდაქანებული, გამობერილი მუცლით, ბრტყელძირა. მრგვალგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარსა და მუცელზე (ტაბ. XXXIX-5).

3. კოჭობი (სავ. დ № 7) — თიხის, აგურისფრად გამომწვარი, ფართო, დაბალი ყელით, ოდნავ გადაშლილი პირით, გამობერილი მუცლით, ბრტყელძირა, მრგვალგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარსა და მუცელზე. ზომები h — 9,5 სმ; პd — 9 სმ; dd — 8 სმ (ტაბ. XXXIX-4).

4. ბეჭედი (სავ. № 11) — ბრინჯაოსი, ბრტყელგანივკვეთიანი რკალით მრგვალფარაკიანი. დაფარულია მწვანე პატინით (ტაბ. XXXIX-8).

5. ჯ ა მ ი (სავ. დ № 10) — თიხის, პირგადაშლილი, მრგვალძირა. შეღებილია წითლად, ტანში გამოყვანილი, პატარა ზომისა. ზომები: h — 4 სმ; პd — 8,5 სმ (ტაბ. XXXIX-3).

6. დოქი (სავ. დ № 15) — თიხის, შავად გამომწვარი, მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პირით, დაბალი ყელით, სფეროსებრი მუცლით, რომელიც კანელურებითაა შემკული. ბრტყელძირა. ყური მიძერწილი აქვს მხარზე და მუცელზე. ზომები: h — 9,5 სმ, პd — 6,5 სმ (ტაბ. XXXIX-6).

6. ჯამი (სავ. დ № 9) თიხის, პირმოყრილი, შიგნით ჩაკეცილი ბაკოთი, მხრებმომრგვალებული, აქვს სამი გრეხილი ფეხი. შეღებილია წითელი საღებავით. ზომები: h — 7 სმ; პd — 15 სმ (ტაბ. XXXIX-2).

7. საბეჭდავი (სავ. დ № 12) — ბრინჯაოსი, ოთხკუთხა ფორმის, თხელი ფირფიტის, ზურგზე საკიდი ყურით, ზედაპირზე არათანაბარი კვეთით კიდურებგაშლილი ადამიანის სქემატური გამოსახულებაა (ტაბ. XXXIX-1)

8. ბეჭედი (სავ. დ № 13ა) — რკინის, ფრაგმენტები.

9. საყურე რგოლი (სავ. დ № 13) — ვერცხლის, მრგვალგანიკვეთიანი მავთულის (ტაბ. XXXIX-10)

10. ფიბულა (სავ. დ № 14) — ბრინჯაოსი, დაფარულია მწვანე პატინით, გატეხილია (ტაბ. XXXIX-IX).

სამარხი ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულების ყოფილა, რასაც ასაბუთებს ქვევრის შიდაპირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი.

**სამარხი № 26** (ქვ. ს. № 14 — 1972 წ.). სამარხად გამოყენებულია დერგი, რომელიც დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, პირთან მიფარებული ქონდა ქვევრის ნატეხები, სამარხი ჩალეწილია. ჩონჩხის მხოლოდ

ნაწილებია შემორჩენილი. სამარხში აღმოჩნდა: ფიალა ქუსლიანი — სახის არეში, ჭინჭილა შავპრიალა — თავის არეში, კოჭობი შავპრიალა — სახის წინ, საკიდი — სკარაბეოიდი — გულმკერდის არეში, მინის მძივები — თავის არეში.

ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ფიალა ქუსლიანი (სავ. დ. № 27) — თიხის, შავპრიალა, პირმოტეხილი, მხარწიბოიანი, პ d — 11 სმ, ძ d — 6 სმ, h — 5,5 სმ, ქ h — 2 სმ (ტაბ. XL-5).

2. ჭინჭილა (სავ. დ № 28) — თიხის, შავპრიალა, პირგადაშლილი, სწორი, მომაღლო ყელით, სფერული მუცლით, ბრტყელი, ვიწრო ძირი. h — 8,5 ს, პd — 3,5 სმ (ტაბ. X L-4).

3. კოჭობი (სავ. დ № 29) — თიხის, შავპრიალა, პირმოტეხილი, დაბალი ყელი, სფერულმუცლიანი, ვიწრო ძირით, მხარზე შემოსდევს წყვილი, რელიეფური ღარი. პატარა მრგვალგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარსა და მუცელზე h — 6,5 სმ, ძ d — 4 სმ (ტაბ. XL-3).

4. საკიდი სკარაბეოიდი (სავ. დ. № 32) — ამოჭრილია მამაკაცის გამოსახულება პროფილით. მარცხნივ მას თავზე ახურავს წაგრძელებული ქუდი, აცვია ჩოხის მაგვარი, კალთებიანი ტანსაცმელი. მარჯვენა ხელი ზურგსუკან აქვს გაწვდილი და უჭირავს თასი. ფეხები განცალკევებით უდგას. ნაბიჯი აქვს წინ გადადგმული.

„დაჭრილების“ ქვევრსამარხების ინვენტარი არ გამოირჩევა სიმდიდრით და თითქმის ერთფეროვანია, ერთფეროვნება კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ეს სამარხები ერთი საზოგადოებრივი ფენის საკუთრებას წარმოადგენდა, ამ აზრს მხარს უჭერს ისიც, რომ ეს სამაროვანი გამოყოფილია „საყარაულო სერის“ დიდი სამაროვნიდან, მისი ფართობი სულ 0,5 ჰა-ს უდრის. აქ სამარხები ერთმანეთზე მიჯრითაა განლაგებული. სამაროვანზე დადასტურებულია მხოლოდ ქვევრსამარხები, რომელიც ძირითადად შეიცავს: წითლად შეღებილი გაპრიალებული თიხის ჭურჭელს, რკინის კოპებიან და ბრინჯაოს ზურგშედრეკილ სამაჯურებს, საბეჭდავებს, ვერცხლის რგოლსაკიდებს, რომელთაც მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც დამათარიღებელ საშუალებას.

სამარხეული ინვენტარის წინასწარი შესწავლისა და უახლესი ანალოგების (სამთავროს ადრეული ხანის ქვევრსამარხები) საფუძველზე „დაჭრილების“ სამაროვანი ზოგადად თარიღდება ძვ. წ. IV—III სს.

Н. Л. НАКАИДЗЕ

## КУВШИННЫЕ ПОГРЕБЕНИЯ МОГИЛЬНИКА

### («Дачрилеби» IV—III вв. до н. э.)

(Таблицы XXV—L)

Резюме

На могильнике раскопано 25 кувшинных погребений. Погребальные кувшины встречаются как в горизонтальном, так и в вертикальном положении. Погребения в основном индивидуальные, есть случаи групповых захоронений.

Погребальный инвентарь большей частью состоит из столовой керамики красного обжига, краснокрашенной, расписной. Имеются плоскодонные миски, миски на ножках, горшки, кружки.

Особо интересны бронзовые изделия: булавки, браслеты, цепь, пуговицы, серьги, колокольчики, бронзовые подвески.

Могильник датируется IV—III вв. до н. э.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჯინჯიხაშვილი

# ძვ. წ. I და ახ. წ. I ს. ქვევრსამარხები საყარაულო სერის სამაროვნიდან

(ტაბ. XLI—L)

ქვევრსამარხები „საყარაულო სერის“ სამაროვნის ტერიტორიაზე ცალკეულ ჯგუფებად არიან მოფანტული სხვა ტიპის სამარხებს შორის. სულ გაითხარა 30 ქვევრსამარხი და ქვ. სამარხის ნაშთი[1], რომელთაგან 17 სამარხი იყო ინვენტარის შემცველი, აქედან ორი სამარხი (№ 14 — 1972 წ. და № 2 — 1977 წ.) უფრო ადრეულია[2], ხოლო დანარჩენი დაზიანებული და უინვენტარო იყო.

სამარხი ქვევრები მიწის ზედაპირიდან სხვადასხვა სიღრმეზე აღმოჩნდნენ, ეს გარემოება ამა თუ იმ სამარხის ადგილმდებარეობით არის გამოწვეული, ჩანს ზოგან გადაირეცხა, ზოგან კი შემდეგ დანალექი გაჩნდა.

სამარხად იხმარებოდა ჩვეულებრივი სამეურნეო დანიშნულების ქვევრები (უფრო სადვინე), რასაც ასაბუთებს ქვევრის შიდაპირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი.

ქვევრები ყველა ვარდისფრად გამომწვარი თიხისაა, პირგადმოკეცილი, დაბალი ყელით, მკვეთრად დაქანებული გვერდებით, რომელიც ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება და მთავრდება პატარა, ვიწრო ძირით. ქვევრის საშუალო ზომებია: h — 1,30 — 1,50, d — 50 — 80 სმ, პd — 30 — 35, ძd — 15 სმ.

სამარხი ქვევრები ჰორიზონტალურად არიან ჩაფლული მიწაში და ხშირად პირზე აფარებული აქვთ კრამიტი, ბრტყელი ქვა, ან თიხის ჭურჭლის (ზოგჯერ ანალოგიური ქვევრი) ნატეხი. ამ სამარხებში მიცვალებული მოხრილ მდგომარეობაში ესვენა, ხელფეხმოკეცილი, ხელები სახესთან ჰქონდათ მიტანილი.

საყარაულო სერის ქვევრსამარხებში ინვენტარი არ გამოირჩევა სიმდიდრით. იგი ძირითადად წარმოდგენილია პატარა ზომის (სუფრის) ჭურჭლებით და სამკაულებით. ჩვენ ეს მასალა დავაჯგუფეთ შემდეგნაირად: კერამიკული ნაწარმი, ლითონის სამკაულები და სხვა ნივთები. მინის ჭურჭელი, სხვადასხვა სახის მძივები.

---

1 საყარაულო სერზე სხვადასხვა დროს საველე სამუშაოებს აწარმოებდნენ ზ. შატბერაშვილი, შ. ირემაშვილი, ა. ნუცუბიძე. 1971—1972 წწ. გათხრილი სამაროვანი (დაჭრილების და საყარაულო სერის ყველა ტიპის სამარხი) დათარიღებული (ძვ. წ. III—I სს.) ზოგადად აქვს ზ. შატბერაშვილს, რომლის ანგარიში (ხელნაწერი) ინახება საქ. მეც. აკადემიის არქეოლოგიური კომისიის არქივში.

2 განხილულია დაჭრილების სამაროვანთან ერთად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებში ყველა სამარხს მიცემული ჰქონდა საერთო ნომერი. ამჟამად ყველა ტიპის სამარხი გამოყოფილია და შეცვლილია ახალი ნომრით. ფრჩხილებში მოცემული იქნება ნომერი წლების მიხედვით.

**სამარხი № 1.** (შედგ. ქვ. ს. № 9 — 1972 წ.). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 20 სმ სიღრმეზე. სამარხად გამოყენებულია გადაჭრილი ქვევრის ძირი, რომელსაც კედლებად აფარებული ჰქონდა ქვევრისავე ნატეხები და ბრტყელი ქვის ფილა. სამარხი დამხრობილია ჩრდ-დან სამხრეთისაკენ. მიცვალებული დაკრძალულია მოხრილ მდგომარეობაში მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ. სამარხის ზომებია: h — 1,60 სმ, d — 85 სმ. სამარხში აღმოჩნდა: დოქი შავად გამომწვარი — სახის წინ; ჯამი მოვარდისფროდ გამომწვარი — თავთან. მძივები — თავის არეში.

1. დოქი (სავ. დ. № 16)—თიხის, შავად გამომწვარი, სამტუჩა, მაღალი, ფართო ყელით, მსხლის ფორმის მუცლით, ბრტყელძირა. ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე. h—16 სმ, პ d—7 სმ, ძ d—9 სმ (ტაბ. XLI-7).

2. ჯამი (სავ. დ. № 15) —თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი, ქუსლიანი. h—6,5 სმ, პ d—16 სმ, ძ d—7 სმ (ტაბ. XLII-9).

3. მძივები (სავ. დ. № 17)—მინის, ერთი მათგანი მწვანე ფერის ღილის მაგვარია, მეორე კი გაუმჭვირვალე, მოგრძო, დაღარული (ტაბ. XL-8).

4. საყურე რგოლი (სავ. დ. № 18)—ბრინჯაოსი, წვრილი მავთულის, რკალგახსნილი (ტაბ. XLI-6).

**სამარხი № 2.** (ქვ. ს. 24—1972 წ.). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 30—40 სმ სიღრმეზე. სამარხი შედგენილია ქვევრის ნატეხებისაგან და ქვევრსამარხის იმიტაციას წარმოადგენს, რომელიც დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მიცვალებული დაკრძალულია მოხრილ მდგომარეობაში. ჩონჩხი ძალიან დაზიანებული და არეულია. სამარხში აღმოჩნდა: ხელადა — თავის არეში და ორი სანელსაცხებლე — იისფერი და მომწვანო — გულმკერდის არეში.

1. ხელადა (სავ. № 51) თიხის, ღიავარდისფრად გამომწვარი, პირი გადაშლილი, მაღალი ფართო ყელით, მსხლისებრი მუცლით, ცალყურა, ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე; ბრტყელძირა. h—18 სმ, პ d—8,5, ძd—10 სმ (ტაბ. XLI-1).

2. სანელსაცხებლე (სავ. დ. № 53)—იისფერი, გამჭვირვალე მინისა, თხელკედლიანი, გადაკეცილი პირით, მაღალი, ცილინდრული ყელით, კვერცხისებრი ტანით, რომელიც გაყოფილია სამ ფრიზად, თავსა და ბოლოში გამოყვანილია ვერტიკალური ზოლები, ხოლო მათ შორის ფართო სარტყელი რელიეფური ხვეებითაა შემკული. ჭურჭელი შემკულია ორი პატარა ყურით. h—7,5 სმ, პd—2,6 სმ, ძd—2 სმ (ტაბ. XLI-5).

3. სანელსაცხებლე (სავ. დ. № 54)—მომწვანო, გამჭვირვალე მინისა, ე. წ. კოლბისებური მოყვანილობის, გადაკეცილი ფართო პირ-ბაკო, მაღალი ყელით, მსხლისებური მუცლით, ბრტყელი ძირით, ყელზე შემოსდევს ფართო რელიეფური ქედი და ამით გამოკვეთილია მხრები. h—12,5 სმ, პd—2,5 სმ (ტაბ. XLI-3).

4. ჯ ა მ ი (სავ. დ. № 55) —თიხის, ღია ვარდისფრად გამომწვარი, ოდნავ პირმოყრილი, h—5 სმ, პ d—10სმ (ტაბ. XL-4).

5. მძივები (სავ. დ. № 52) —მინისებური პასტის (ტაბ. XLI-2).

**სამარხი № 3.** (1976 წ. ქვ. ს. № 1). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 25 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც ვარდისფრადაა გამომწვარი, პირგადმოკეცილი, ქობაშესქელებული, მხრებდაქანებული, გამობერილი მუცლით, რომელიც ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება, ძირ-ბრტყელი. ქვევრს გარედან შემოსდევს ექვსი რელიეფური სარტყელი: ერთი მხარზე, სამი მუცელზე, ორი ძირთან, რომლებიც ირიბად არიან დაკეჭნილნი. ქვევრის h — 1,35 სმ, d— 50, პ d— 28, ძ — 18 სმ. ქვევრი დამხრობილია ჰორიზონტალურად პირით აღმოსავლეთით, პირზე მიფარებული ჰქონდა ქვევრისავე ნატეხი. მიცვალებული იწვა მოხრილ მდგომარეობაში, ხელფეხმოკეცილი თავით აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ქოთანი — თავის არეში, მძივები — ყელისა და გულ-მკერდის არეში, რკინის მახვილის ნატეხი — მენჯის არეში, ხელადა — პირსახის წინ. მიცვალებულის ქვედა კიდურებთან აღმოჩნდა საქონლის კოჭის და ნეკნების რამდენიმე ძვალი.

1. ქოთანი—ფრაგმენტული (სავ.დ. № 2)—მსხვილმარცვლოვანი თიხის, ვარდისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, მრგვალგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს მხარსა და მუცელზე, ემჩნევა ცეცხლის კვალი (ტაბ. XLII-1).

2. ხელადა (სავ. № 1)—თიხის, შავადგამომწვარი, მრგვალი, გადაშლილი პირით, მომაღლო ყელით, მრგვალმუცლიანი, ბრტყელი ძირით, პატარა ოვალურგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე. h.—13 სმ, პd—5,5 სმ, ძd—7 სმ (ტაბ. XLII-2).

3. მძივები—მინის 3 ც. ორი კანელურებიანია, ერთი კი კასრისებური (ტაბ. XLII-3)

ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულებისათვის ყოფილა გამოყენებული, რასაც ასაბუთებს ქვევრის პირზე კირის ხსნარის ნალესი ორ ფენად.

**სამარხი № 4** (1976 წ. ქვ. ს. № 2). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 15 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც ძლიერაა დაზიანებული სახნისით, შემორჩენილია მისი ქვედა ნაწილი — პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მუცელგამობერილი, რომელიც ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება, გამომწვარია მოვარდისფროდ. ქვევრი დამხრობილია პირით აღმოსავლეთით. პირთან მიფარებული ჰქონდა სიპი ქვა. ჩონჩხის ცუდი დაცულობის გამო ვერ დადგინდა დასაფლავების წესი. შემორჩენილი იყო მხოლოდ ადამიანის თავის ქალის ნაწილი, ნეკნებისა და ქვედა კიდურების რამდენიმე ფრაგმენტი. სამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნაშთი მოშავოდ გამომწვარი.

**სამარხი № 5** (1976 წ. ქვ. ს. № 3). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 15 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც ვარდისფრადაა გამომწვარი, პირგადაშლილია; დაბალყელიანი, მუცელგამობერილი, რომელიც ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება. ქვევრი დამხრობილია პირით აღმოსავლეთით, პირთან მიფარებული ჰქონდა სიპი ქვა. სამარხი დაზიანებულია სახნისით, რის გამოც მიცვალებულის დაკრძალვის წესის დად-

გენა ვერ მოხერხდა. სამარხში აღმოჩნდა: თიხის ჭინჭილა — მიცვალებულის თავის ქალასთან; მინის სანელსაცხებლე ორი ცალი — ხელთან, დანა რკინის — გულმკერდის წინ, ბეჭედი რკინის — ხელის მტევანთან და მძივები — ყელის არეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ჭინჭილა (სავ. დ. № 4) — თიხის მოვარდისფროდ გამომწვარი, მრგვალი გადაშლილი პირით, სფერულმუცლიანი, ბრტყელი, ვიწრო ძირით, პატარა ოვალურ განივკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს პირთან, მეორე — ბოლო მხართან. ჭურჭელი მოხატულია წითელი პარალელური ხაზებით, სულ 3 ხაზით — ყელზე, მხარზე და მუცელზე. ჭურჭლის h — 10 სმ, პ d — 4 სმ, ძ d — 4 სმ (ტაბ. XLII-4).

2. სანელსაცხებლე (სავ. დ. № 5) — მინის, მინიატურული, მრგვალი, გადმოკეცილი პირით, ვიწრო ყელით, მსხლის ფორმის მუცლით, ბრტყელი ძირით. h—4 სმ (ტაბ. XLII-6).

3. სანელსაცხებლე (სავ. დ № 6) — მინის, მინიატურული, მრგვალი, გადმოკეცილი პირით, მხრებდაქანებული, ბრტყელი ძირით. h — 3,5 სმ, ირიზებული (ტაბ. XLII-7).

4. დანა რკინის (სავ. დ № 7) — წვერნაკლული, ტარზე აქვს სამანჭვლე ნახვრეტი. შემორჩენილი აქვს ხის ნაშთი (ტაბ. XLII-5).

5. ბეჭედი რკინის (სავ. დ № 8) — რკალნაკლული, შემორჩენილი აქვს საფარაკე (ტაბ. XLII-8).

6. მძივები (სავ. დ № 8) — მინის, წვრილი, თეთრი ფერის (ტაბ. XLII-9).

**სამარხი № 6** (1977 წ. ქვ. ს. № 1). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე ქვიშანარევ ნიადაგში. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც გამომწვარია მოვარდისფროდ, პირგადაშლილი, დაბალი ყელით, სფერულმუცლიანი, ვიწრო ძირით. ქვევრის ზედაპირი შემკულია რელიეფური ზოლებით. ქვევრის h — 1,45 მ; d — 50 სმ, ძ d — 15 სმ. ქვევრი ჩაწვენილი იყო ჰორიზონტალურად, პირზე გვერდებაკეცილი (სოლენის ტიპის) კრამიტი ჰქონდა მიფარებული, კრამიტის h — 51 სმ; ქვევრი დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთით. მიცვალებული იწვა მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ: სამარხში აღმოჩნდა: დოქი თიხის — თავის ქალას არეში; სამაჯური ბრინჯაოსი — 2 ც. — სხივის ძვლებზე, საყურე ბრინჯაოსი — თავის ქალის არეში, მძივები — ყელის არეში.

1. დოქი (სავ. დ № 5) — თიხის, შავად გამომწვარი, მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პროფილირებული პირით, საშუალო სიმაღლისა, ვიწრო ყელით, მხრებდაქანებული, გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით, მრგვალგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს ყელზე, მეორე ბოლო მხართან (ტაბ. XLIII-1.).

2. სამაჯური (სავ. დ № 1) — ბრინჯაოს მრგვალგანიკვეთიანი მავთულის, ზურგშეზნექილი, ბოლოებში გაფართოებული, დაფარულია მწვანე პატინით (ტაბ. XLIII-2).

3. სამაჯური (სავ. დ № 3) — ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი მავთულის, ზურგშეზნექილი, ბოლოებში გაფართოებული (ტაბ. XLIII-4).

4. საყურე რგოლი 2 ც. (სავ. ლ № 2)—ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი მავთულის, რკალგახსნილი (ტაბ. XLIII-3).

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. მძივები (სავ. ლ № 4)—მინისებური პასტის, ცისფერი, ოქტაედრისებრი (ტაბ. XLIII-5).

სამარხი ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულების ყოფილა, რასაც ასაბუთებს ქვევრის შიდაპირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი.

**სამარხი № 7** (1977 წ. ქვ. ს. № 3). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 30 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც ჩაწვენილია ჰორიზონტალურად პირით აღმოსავლეთისაკენ. ქვევრის h — 1,30 მ, d — 50 სმ.

ქვევრს პირზე მიფარებული ჰქონდა ოთხკუთხა ფორმის ბრტყელი ქვა. მიცვალებული დაკრძალული იყო მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, ხელფეხმოკეცილი, მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთისაკენ. ჩონჩხი ძალიან დაზიანებულია. სამარხში მიცვალებულისათვის ჩატანებული ყველა ინვენტარი აღმოჩნდა გულ-მკერდის არეში.

1. ყურსაკიდი (სავ. ლ. № 16) — ვერცხლის, მრგვალგანიკვეთიანი მავთულის (გატეხილი).

2. ბრინჯაოს ნივთი (სავ. ლ № 17) — გაურკვეველი დანიშნულების, ღერო თავში და ბოლოში მოხრილია რგოლისებურად (ტაბ. XLIV-7).

3. მძივები (სავ. ლ № 18) — მინის, ხალიჩისებრ მოხატული, მრგვალი, ოვალური, მოგრძო — 108 ც; ცისფერი მინის — 45 ც; მოოქროვილი — 240 ც; სერდოლიკის — 61 ც. (ტაბ. XLIV-9).

4. მძივები (სავ. ლ № 18ა) — კოპებიანი, პასტის — 15 ც. (ტაბ. XLIV-8).

5. სკარაბეოიდები (სავ. ლ № 18ა) — 9ც; ცისფერი (ტაბ. XLIV-1).

6. საბეჭდავი (სავ. ლ № 20) — მინის, ლურჯი ფერის (ტაბ. XLIV-4).

7. ხელადა (სავ. ლ № 21) — თიხის პირსწორი, დაბალი ფართო ყელით, მუცელგამობერილი ბრტყელძირა. პატარა ოვალურგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს ტანის შუა ნაწილზე. მოხატულია წითელი საღებავის პარალელური ხაზებით, რომლებიც შემოუყვება ყელსა და მხარზე. ზომები: h — 11 სმ, პd — 8 სმ, ძd — 8 სმ (ტაბ.XLIV-10).

8. ჯამი (სავ. ლ № 22) — თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, პირშეზნექილი, ქუსლიანი (ფრაგმენტები) (ტაბ. XLIV-5).

9. ჯაჭვი (სავ. ლ № 23) — ბრინჯაოსი (ტაბ. XLIV-11).

10. ზარაკი (სავ. ლ № 23ა) — ბრინჯაოსი, წარმოადგენს გუმბათისებურ დაფანჯრულ კონუსს, ფანჯრები ტოლფერდა სამკუთხედებია. ისინი ორ სართულადაა ირგვლივ (ტაბ. XLIV-12, 13).

10. საბეჭდავი (სავ. ლ № 24) — ინტალიო, ლულოვანი ძვლის, ოთხკუთხა ფორმის, პირზე არათანაბარი კვეთით შესრულებულია გამოსახულება — მამაკაცი ზის უზურგო სკამზე, ხოლო მის წინ დგას ქალი, რომელსაც მარცხენა ხელი მამაკაცისაკენ აქვს გაწვდილი, მამაკაცს ორივე ხელი ქალისკენ აქვს გაშვერილი, მარცხენა ხელში სასმისი უჭირავს (ტაბ. XLIV-3).

11. ვერცხლის ფირფიტა (სავ. ლ № 25) — ადამიანის თავის გამოსახულებით (ტაბ. XLIV-2).

12. სამაჯური (სავ. ლ № 26) — რკინის — ფრაგმენტებად.

სამარხი ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულების ყოფილა, რასაც ასაბუთებს ქვევრის შიდაპირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი.

**სამარხი № 8** (1977 წ. ქვ. ს. № 4) მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 20 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს პატარა ზომის ქვევრს, რომელიც გამომწვარია მოწითალოდ, პირზე მიფარებული აქვს ბრტყელი ქვა. ქვევრი ძალიან დალეწილია და ამოვსებულია მიწით. ქვევრის h — 70 სმ. ქვევრში დაკრძალულია 5—6 წლის ბავშვი მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: ჯამი თიხის — გულმკერდის არეში, ქილა ორყურა — სამარხი ქვევრის პირზე მიფარებულ ქვასთან. ხელადა თიხის — სახის არეში; საყურე ბრინჯაოსი — თავის ქალასთან; რკინის სამაჯურის ფრაგმენტები — სხივის ძვლებთან; სამაჯური ბრინჯაოსი — გულმკერდის არეში.

1. ჯამი (სავ. ღ № 29) თიხის, მოჩალისფროდ გამომწვარი, პირშეზნექილი, ძირისკენ მკვეთრად დაქანებული მხრებით, ვიწრო ბრტყელი ძირით. ძირზე აჩნევია სვასტიკის მსგავსი ნიშანი. ზომები h—7 სმ, პ d—16, 5 სმ, ძd—8 სმ (ტაბ. XLIII-11).

2. ქილა (სავ. ღ № 27)—თიხის, ჩალისფრად გამომწვარი, მხრებდაქანებული, ოდნავ გამობერილი მუცლით, ვიწრო და ბრტყელი ძირით, ყურები მიძერწილი აქვთ მუცლის ცენტრალურ ნაწილზე, ზომები: h—12 სმ, პd—9,5 სმ, ძd—8 სმ (ტაბ. XLIII-7).

3. ხელადა (სავ. ღ № 28)—თიხის, მოჩალისფრო-მოვარდისფროდ გამომწვარი, ოდნავ გადაშლილი პირით, დაბალი ყელით, გამობერილი მუცლით, ბრტყელი ძირით, ჭურჭელი მოხატულია: ყელზე შემოუყვება წყვილი ხაზი, რომლიდანაც ძირისაკენ მიმართული მოკლე ხაზებია ჩამოსმული, ყურთან ტალღისებური, ხოლო მუცელზე სამი პარალელური ხაზი შემოუყვება. ზომები: h—10,5 სმ, პd—7,5 სმ, ძd—7 სმ (ტაბ. XLIII-8).

4. სამაჯური (სავ. ღ № 30)—ბრინჯაოსი, მრგვალგანივკვეთიანი მავთულის, ზურგშეზნექილი (ტაბ. XLIII-9).

5. სამაჯური (სავ. ღ № 32)—რკინის—ფრაგმენტები, მრგვალგანივკვეთიანი (ტაბ. XLIII-6).

6. საყურე (სავ. ღ № 31)—ბრინჯაოსი, წვრილი მრგვალგანივკვეთიანი მავთულის (ტაბ. XLIII-1 ).

სამარხი ქვევრი ადრესამეურნეო დანიშნულების ყოფილა, რასაც ასაბუთებს ის, რომ ქვევრის შიდა პირზე ძირი კირის ხსნარითაა შელესილი.

**სამარხი № 9** (1977 წ. ქვ. ს. № 5) მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 40 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც ვარდისფრადაა გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალი ყელით, სფერულმუცლიანი, მუცელი ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება; ბრტყელძირა. ქვევრის ზედაპირი შემკულია თოკისებრი ორნამენტით. ქვევრის h—1,50 მ, d—70, პd—35 სმ; ქვევრი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. მიცვალებული იწვა მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: დოქი თიხის—თავის ქალასთან; ჭინჭილა თიხის — პირ-სახის წინ; სანელსაცხებლე მინის — პირ-სახის წინ, ზარაკი ბრინჯაოსი—პირ-სახის წინ, მინის სანელსაცხებლის თავზე; ზარაკები აცმული—სახის

წინ; ზარაკი ბრინჯაოსი — სახის წინ; სამაჯური ბრინჯაოსი — მარცხენა მკლავის არეში. ბეჭდები ბრინჯაოსი 3 ც. — მარცხენა ხელის მტევანთან და გულმკერდის არეში. საყურე რგოლი ბრინჯაოსი — ყელის არეში, სარკე ბრინჯაოსი — გულმკერდის არეში. დანა რკინის — მუცლის არეში; საკინძი რკინის — ხერხემალთან; მძივები — ყელისა და თავის ქალის არეში. მონეტა ბრინჯაოსი — გულმკერდის არეში, სარკესთან.

1. დოქი (სავ. დ № 33) — თიხის, აგურისფრად გამომწვარი, მრგვალი, გადაშლილი პირით, დაბალი ყელით, სფერულმუცლიანი, ბრტყელპირიანი, პატარა, ოვალურგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს მხარზე, მეორე ბოლო მუცელზე. ჭურჭელი მოხატულია წითელი პარალელური ხაზებით ყელზე, მხარზე და მუცელზე, ხოლო მათ შორის ჩახატულია ასეთივე საღებავით ტალღური ორნამენტი. h — 14 სმ, პ d — 7,5 სმ, ძ d — 7,5 სმ (ტაბ. XLI-1).

2. ჭინჭილა (სავ. დ № 34) — თიხის, შავად გამომწვარი, მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პირით, დაბალი ყელით, მსხლის ფორმის მუცლით, ბრტყელძირა. პატარა, ოვალურგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს პირზე. მეორე ბოლო მხარზე; ზედაპირს ეტყობა ნაპრიალები. h — 10 სმ, პ d — 5 სმ, ძ d — 4, 5სმ (ტაბ XLV-2).

3. სანელსაცხებლე (სავ. დ № 35) — მინის, მრგვალი, გადაშლილი პირით, მაღალი, ვიწრო ყელით, სფერულმუცლიანია, ბრტყელძირიანი. ირიზებულია. h — 5 სმ, პ d — 1 სმ, ძ d — 1 სმ, ყd — 2 სმ (ტაბ. XLV-14).

4. ზარაკი (სავ. დ № 37) — ბრინჯაოსი, წარმოადგენს გუმბათისებურ დაფანჯრულ კონუსს, ფანჯრები პატარ-პატარა, ტოლფერდა სამკუთხედებია წვერებით ზემოთ, ისინი ორ სართულადაა ირგვლივ, ზემოდან მრგვალი ყუნწი აბია, ყუნწს ქვემოთ მრგვალი ნახვრეტი ჩანს (ალბათ, ენის შესაბმელი მავთულისათვის), რკინის ენა შიგნიდან მიჟანგვია კედელზე. h — 3 სმ, პ d — 1,5 სმ (ტაბ. XLV-10).

5. ზარაკი (სავ. დ № 39) — ბრინჯაოსი, დაუფანჯრავია, ვიწრო, კონუსური მოყვანილობის, გარედან წვრილად ამოკაწრულია ირგვლივი ხაზები, ზარაკის თავი გახვრეტილია, შიგნიდან რკინის ენის ნაშთი მიჟანგულია კედელზე. h — 2 სმ, პ d — 1 სმ (ტაბ. XLV-11).

6. ზარაკები (სავ. დ № 38) — ბრინჯაოსი, 4 ცალი ერთად ასხმულია ბრინჯაოს ჯაჭვზე, ნახევარსფერული მოყვანილობის, შიგნიდან შერჩენილი აქვთ ენის ნაშთი (ტაბ. XLIV-7).

7. სამაჯური (სავ. დ № 41) — ბრინჯაოსი, გატეხილია, მრგვალგანიკვეთიანი მავთულის, ცხოველის თავის გამოსახულებით (ტაბ. XLV-13).

8. ბეჭდები (სავ. დ. № 43,47, 48) — ბრინჯაოსი, ოვალური თვალბუდით, თვალი პასტისაა, გამოსახულება არ ჩანს, ბეჭდის მხრების ქვემოთ რკალი ნელნელა ვიწროვდება და წვრილდება (დანარჩენი ორი — № 47, 48 ფრაგმენტულია) (ტაბ. XLV-4,5, 6).

9. საყურე (სავ. დ № 42) — რგოლი ბრინჯაოსი, მრგვალგანიკვეთიანი, წვრილი მავთულის, თავებგახსნილი (ტაბ. XLV-17).

10. სარკე (სავ. დ № 45) — ბრინჯაოსი, წარმოადგენს ორ ნახევარწრიულ ფირფიტას, d — 4,5 სმ (ტაბ. XLV-3).

11. დანა (სავ. დ № 46) — რკინის, მრგვალი ყუნწით, ფენა აქტკეცილი, ბრტყელი პირი წვეროსკენ ვიწროვდება. ყუნწიანად — 12 სმ, ყუნწის გარეშე — 10 სმ (ტაბ. XLIV-16).

12. მონეტა (სავ. ღ № 44) ბრინჯაოსი—არტაბან II-ის (ძვ. წ. 88-77 წწ.) დრაქმა (ტაბ. XLV-15).

13. მძივები (სავ. ღ № 40)—21 ცალი: გიშრის—წვერებწაკვეთილი ბიკონუსური—1 ც. სარდიონის 9 ც.—3 ც. ბიკონუსური, 1 ც.—კასრისებური, დანარჩენი ბრტყელია. პასტის—თითისტარისებური, ზოლოვანი მძივები წარმოადგენს გრძელ წესიერ ცილინდრს ყვითელი ზოლებით, ორი მათგანი უფრო პატარებია, დაფარულია კლაკნილი ზიგზაგებით. 2 ც. ცისფერი პასტის—ყურძნის მტევნის იმიტაცია. თეთრი მინის 3 ც; ოპალის ერთი ცალი. თიხის მძივი წარმოადგენს სამკუთხედს შუაში ნახვრეტით (ტაბ. XLV-8,9, 12).

14. ჭურჭლის ნატეხი (სავ. ღ № 36)—წყლისფერი მინის, სქელკედლიანია, ირიზებული.

სამარხი ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულების ყოფილა, რასაც ასაბუთებს ქვევრის შიდა პირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი.

**სამარხი № 10** (1978 წ. ქვ. ს. № 3). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 30 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც მოვარდისფროდაა გამომწვარი, პირგადაშლილია, დაბალი ყელით, სფერულმუცლიანი; ბრტყელი, ვიწრო ძირით. ქვევრი შემკულია თოკისებრი ორნამენტით; დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით, რომელსაც პირზე მიფარებული ჰქონდა ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტი.

მიცვალებული იწვა მოკრუნჩხულ მდგომარეობაში, ხელფეხმოკეცილი მარცხენა გვერდზე, თავით აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: სამაჯური ბრინჯაოსი — სამარხის თავზე; ზარაკები ბრინჯაოსი 2 ც. — სახის წინ; მძივები — ყელის არეში; დოქი — პირსახის წინ; კოჭობი — თავთან; მონეტა— სახესთან.

1. სამაჯური (სავ. ღ № 16-1978 წ.)—ბრინჯაოსი, წვრილი, მრგვალგანიკვეთიანი მავთულის, ბოლოებშეხსნილი (ტაბ. XLVI-5).

2. ზარაკი 2 ც. (სავ. ღ. 17-1978 წ.)—ბრინჯაოსი, კონუსური ფორმის, ყუნწიანი, ზედაპირი შემკულია ამოკაწრული ხაზებით (ტაბ. XLVI-6).

3. დოქი (სავ. ღ № 20-1978 წ.)—თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, მრგვალი გადაშლილი პირით, ვიწრო ყელით, მრგვალი მუცლით, ბრტყელი ძირით. ოვალურგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს ყელზე და მხარზე. ზედაპირზე შემორჩენილი აქვს წითელი საღებავის კვალი. ეტყობა დოქი მოხატული ყოფილა (ტაბ. XLVI-4). h—18 სმ, პd—6 სმ, ძd—8 სმ.

4. მძივები (სავ. ღ №19—1978 წ.)—სერდოლიკის, 4 ც. თეთრი და ცისფერი პასტის, სულ 35 ც. (ტაბ. XLVI-7).

5. კოჭობი (სავ. ღ. № 4-1978 წ.)—თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, მრგვალი მუცლით, ბრტყელი, ვიწრო ძირით. h—9,5 სმ, პd—5 სმ, ძd—4,5 სმ (ტაბ. XLVI-3).

6. მონეტა (სავ. ღ. № 18)—ვერცხლის გოტარზესი (ახ. წ. 40-51).

სამარხი ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულების ყოფილა, რასაც ასაბუთებს ქვევრის შიდაპირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი.

**სამარხი № 11** (ქვ. ს. № 4—1978 წ.). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 30—40 სმ-ს სიღრმეზე, სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც მოვარდისფროდაა გამომწვარი, ქვევრი ძალიან დაზიანებულია,

ქვევრის პირი წაღებულია და ჩონჩხიც დაშლილია, რის გამოც ვერ ხერხდება მიცვალებულის დამხრობის დადგენა. სამარხში აღმოჩნდა: კოჭობი — მოვარდისფროდ გამომწვარი ქვედა კიდურებთან (ნატეხები), ამჟამად ჭურჭელი აღდგენილია. ფიალა — გულმკერდის არეში (ნატეხი).

1. კოჭობი (სავ. ღ. № 22-1978 წ.) — თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, სფერული მუცლით, ბრტყელი ძირით, პატარა ყური მიძერწილი აქვს მუცლზე. ჭურჭელი მოხატულია. ყელზე შემოუყვება წითელი სარტყელი, დაშტრიხული, მუცელზე შემოუყვება სამი პარალელური ხაზი და ამ ხაზებს შორის ჩახატულია ტალღური ორნამენტი. h — 10 სმ, პd — 7 სმ, ძd — 7 სმ (ტაბ. XLVI-1).

2. ფიალა (სავ. ღ. № 23-1978 წ.) — თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი, ქუსლამოღარული. ქუსლის h — 2 სმ (ტაბ. XLVI-2).

**სამარხი № 12** (1978 წ. ქვ. ს. № 5) მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 30 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც ვარდისფრადაა გამომწვარი, პირგადმოკეცილი, ქობაშესქელებული, მუცელი ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული, ბრტყელი, ვიწრო ძირით. ქვევრის ზედაპირი შემკულია რელიეფური წიბოთი (სულ 6), ქვევრის h — 1,45 სმ, d — 60 სმ, პd — 30 სმ, ძd — 15 სმ; ქვევრი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ქვევრს პირთან უდევს ბრტყელი ფილაქვა. ქვევრის პირი ნახევრად ჩამოტეხილია (ნატეხი არ იყო), ხოლო დარჩენილ პირის ნატეხებზე ამოკაწრულია რაღაც ასონიშანი W. მიცვალებული იწვა ხელფეხმოკეცილი, თავით ჩრდილოეთით. პირსახის წინ ხელის მტევნებთან აღმოჩნდა თიხის დოქი და ქოთანი, ბრინჯაოს ორი ზარაკი, გულმკერდის არეში რკინის ნატეხი, შესაძლოა სამაჯურის, რომელზედაც მიჟანგული იყო მინის პატარა მძივები.

1. დოქი (სავ. ღ № 24) — გამომწვარია ვარდისფრად, მრგვალი, ოდნავ გადაშლილი პირით, ყელწიბოიანი, დაბალი, მრგვალი მუცლით, ბრტყელი ძირით, ოვალურგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს ყელთან, მეორე ბოლო მუცელთან. h — 13,5 სმ, პ d — 6 სმ, ძ d — 9,5 სმ (ტაბ. XLVII-3).

2. ქოთანი (სავ. ღ № 25) — შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ბრტყელი ძირით, ხაოიანი ზედაპირით, h — 8 სმ, პ d — 7,5 სმ, ძ d — 8 სმ (ტაბ. XLVII-4).

3. ზარაკი 2 ც. (სავ. ღ № 25) — ბრინჯაოსი, ვიწრო, კონუსური მოყვანილობის. ყუნწიანი, შიგნიდან რკინის ენა მიჟანგვია კედელზე (ტაბ. XLVII-1).

4. საყურე 2 ც. (სავ. ღ № 26) — ბრინჯაოსი, რკალგახსნილი.

5. რკინის ნატეხი (სავ. ღ № 26) — შესაძლოა სამაჯურის ნაშთი იყოს, რომელზედაც მიჟანგულია პატარა მინის მძივები (ტაბ. XLVII-2).

სამარხი ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულებისად ყოფილა გამოყენებული, რასაც ასაბუთებს ქვევრის შიდაპირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი.

**სამარხი № 13** (1978 წ. ქვ. ს. № 6). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 95 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც ვარდისფრადაა გამომწვარი, პირგადაშლილი, ქობაშესქელებული, მუცელი ძირისაკენ მკვეთრადაა დაქანებული. პატარა, ბრტყელი ძირით. ქვევრის ზედაპირი შემკულია თოკისებრი ორნამენტით. ქვევრის h — 1,35 მ, d — 40 სმ, ძd — 20 სმ; ქვევრი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთით. ქვევრს პირთან მიფა-

რებული აქვს ანალოგიური ქვევრის ნატეხი, სამხრეთით უდგას თიხის ქუსლიანი ჯამი ცხოველის ძვლებით (სააღაპო ნაშთი). სამარხში მიცვალებულის დაკრძალვის წესის დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან (ძვლები ჩალეწილი იყო) სამარხი დაზიანებული იყო. სამარხში აღმოჩნდა: ჭინჭილა შავად გამომწვარი, ბრინჯაოს სამაჯური, მძივები მინის და პასტის, რკინის ბეჭედი ფარაკიანი, რკინის სამაჯური ფრაგმენტულად.

1. ჯამი (სავ. დ. № 29)—თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი, მხარწიბოიანი, გამოკვეთილი, ამოღარული ქუსლით. h—5 სმ, პ d—13 სმ, ძ d—5 სმ, ქუსლის h—1,5 სმ (ტაბ. XLVIII-6).

2. ჭინჭილა (სავ. დ № 28)—თიხის, შავად გამომწვარი, მრგვალი, გადაშლილი პირით, ვიწრო ყელით, სფერული მუცლით, რომელიც ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება, ბრტყელი, ვიწრო ძირით, ოვალურგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს პირთან, მეორე ბოლო—მხართან. h—11,5 სმ, პ d—5 სმ, ძ d—3 სმ (ტაბ. XLVIII-1).

3. სამაჯური (სავ. დ. № 30)—ბრინჯაოსი, ზურგშედრეკილი, წვრილი მავთულის, ბოლოებგახსნილი (ტაბ. XLVIII-5).

4. ბეჭედი (სავ. დ. № 32)—რკინის, ფარაკიანი (ტაბ. XLVIII-4).

5. სამაჯური (სავ. დ. № 33) —რკინის (ნატეხები) (ტაბ. XLVIII-3).

6. მძივები (სავ. დ. № 31) —მინის, პასტის იოტები, სერდოლიკის 1 ც. ხორბლის მარცვლის ფორმის—50 ც. (ტაბ. XLVIII-2).

ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულების ყოფილა, რასაც ადასტურებს ქვევრის შიდაპირზე ხეხვა-რეცხვის კვალი.

**სამარხი № 14** (1978 წ. ქვ. ს. № 7). წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც დაზიანებულია. მიცვალებული წევს მოხრილ მდგომარეობაში თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: თიხის დოქი—ცალყურა, კოჭობი და მძივები.

1. დოქი (სავ. დ. № 35) თიხის—ვარდისფრად გამომწვარი, მრგვალი, გადაშლილი პირით, განიერი, დაბალი ყელით, მრგვალმუცლიანი, ბრტყელი, ფართო ძირით, ოვალურგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს პირთან, მეორე ბოლო—მხართან, h—15 სმ, პ d—6,5 სმ, ძ d—10,5 სმ (ტაბ. XLVII-6).

2. კოჭობი (სავ. დ. № 34) თიხის—პირმოტეხილი, მრგვალი მუცლით, ბრტყელი ძირით, პატარა ყური მოტეხილი აქვს, რომელიც მიძერწილი ჰქონია მხარსა და მუცელზე. ზედაპირი შემკულია ირიბი ჭდეებით, რომელიც ჭურჭელს ორ რიგად შემოუყვება მხარსა და მუცელზე. h—7,5 სმ (XLVII-5).

**სამარხი № 15** (ქვ. ს. 8 — 1978 წ.) სამარხი მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 1,10 მ სიღრმეზე. იგი წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც მოჩალისფრო-მოვარდისფროდაა გამომწვარი, პირგადმოკეცილი, ქობაშესქელებული, მრგვალი მუცლით, რომელიც ძირისაკენ მკვეთრად ვიწროვდება. ქვევრის ზედაპირი შემკულია რელიეფური წიბოთი. ქვევრი დამხრობილია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. ქვევრს პირზე მიფარებული აქვს ანალოგიური ქვევრისავე ნატეხი (ქვევრის აზომვა ზუსტად ვერ მოხერხდა, ქვევრი ჩალეწილია). მიცვალებული იწვა მოკრუნჩხულ მდგომარეობაში თავით დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა: ცალყურა დოქი — თავთან, კოჭობი და მინის სანელსაცხებლე — ხელის მტევნებთან, დოქი — ქვედა კიდურებთან, მძივები — კისრის არეში.

1. დოქი (სავ. დ. № 39)—ვარდისფრად გამომწვარი, მრგვალი, გადაშლილი, პირით, მომაღლო ყელით, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირიანი, ოვალურგანიკვეთიანი, ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს პირთან, მეორე მხართან. ჭურჭელი შემკულია წითელი პარალელური ხაზებით. ჩ—18 სმ. პ d—6,5 სმ, ძ d—3,5 სმ (ტაბ. XLIX-4).

2. კოჭობი (სავ. დ. № 38)—თიხის მოვარდისფროდ გამომწვარი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირიანი, გადაშლილი, გადმოკეცილი პირით. ხაოიანი ზედაპირით. h—7 სმ, პ d—4 სმ, ძ d—4,5 სმ (ტაბ. XLIX-5).

3. დოქი (სავ. დ. № 37)—თიხა ვარდისფრად გამომწვარი, გადაშლილი, გადმოკეცილი პირით, დაბალი ყელით, სფერულმუცლიანი, ბრტყელი ძირით, პატარა, ოვალურგანიკვეთიანი ყურის ერთი ბოლო მიძერწილი აქვს მხართან, მეორე მუცელზე. ზედაპირი (შემკულია) მოხატულია წითელი პარალელური ხაზებით. ჩ—13 სმ, პ d—8 სმ, ძ d—8,5 სმ (ტაბ. XLIX-7).

4. სანელსაცხებლე (სავ. დ. № 46)—მინის, გადაშლილი, გადმოკეცილი პირით, ვიწრო, მომაღლო ყელით, სფერულმუცლიანი, ვიწრო, ბრტყელი ძირით. h—3 სმ. ყh—1,5 სმ. პ d—1 სმ (ტაბ. XLIX-3).

5. მძივები (სავ. დ. № 47)—ბრინჯაოსი 2 ც. მრგვალი, ლურჯი მინის, მოგრძო კანელურებიანი—1 ც. მინის, ხალებიანი, სფერული ფორმის—6 ცალი (სულ 9 ცალი) (ტაბ. LXIX—1,2,6).

სამარხი ქვევრი ადრე სამეურნეო დანიშნულების ყოფილა, რასაც ასაბუთებს ქვევრის შიდა პირზე შემჩნეული ხეხვა-რეცხვის კვალი.

**სამარხი № 16** (ქვ. ს. № 9 — 1978 წ.). მოთავსებული იყო მიწის ზედაპირიდან 35—40 სმ-ის სიღრმეზე. სამარხი, რომელიც ძალიან დაზიანებულია, წარმოადგენს მოზრდილ ქვევრს, რომელიც დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მიცვალებული იწვა მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთით, ხელფეხმოკეცილი. სამარხში აღმოჩნდა: დოქი შავად გამომწვარი — თავის არეში; ჯამი მოვარდისფროდ გამომწვარი — სახის არეში.

1. დოქი (სავ. დ. № 41)—თიხის, შავად გამომწვარი, მრგვალი, გადაშლილი პატარა პირით. ვიწრო ყელით, სფერული მუცლით, ბრტყელძირა, ყური, რომელიც მოტეხილი აქვს, მიძერწილი ჰქონია პირსა და მხარზე. h—13,5 სმ, პ d—3 სმ, ძ d—6,5 სმ (ტაბ. L-1).

2. ჯამი (სავ. დ. № 40) თიხის, მოვარდისფროდ გამომწვარი, პირმოყრილი, მხარწიბოიანი, ამოღარული ქუსლით. ჭურჭელი მოხატულია წითელი საღებავით: შიდა პირი შემკულია სხივური და კლაკნილი ხაზებით. გარედან, ირგვლივ ზოლებით. h—9 სმ, პ d—16,5 სმ, ძ d—7 სმ (ტაბ. L—2).

3. საყურე 2ც. (სავ. დ. № 42) — ბრინჯაოსი, წვრილი მავთულის, რკალგახსნილი (ტაბ. L—3, 4).

აღწერილი კომპლექსების ინვენტარიდან პირველ რიგში განვიხილავთ სამეთუნეო ნაწარმს, რომლებიც სუფრისთვისაა განკუთვნილი. ქვევრსამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელი დავყავით მათი ფორმების მიხედვით და გამოვყავით 9 ჯგუფი.

I ჯგუფი—ხ ე ლ ა დ ე ბ ი—პირსწორი, დაბალი, ფართოყელიანი, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირა, პატარა, ოვალურგანიკვეთიანი ყური მიძერწილი აქვთ მხარსა და მუცელზე. თიხა ვარდისფრადაა გამომწვარი, ზედაპირი მოხატული

აქვთ წითელი პარალელური ხაზებით (ქვ. ს. № 8, სავ. დ. № 37—1978 წ.) და მათ შორის ჩახატული ტალღური ორნამენტით (ქვ. ს № 3—სავ. დ. № 21-1977 წ.; ქვ. ს. № 4-სავ. დ. № 28-1977 წ. ქვ. ს. № 4-სავ. დ № 22-1978 წ.). ზომები: h—11—14 სმ, პ d—7,5—8 სმ, ძ d—7—8 სმ (ტაბ. XLVII-4; XLIV-1; XLV-1; XLII-8; XLIII-10)

II ჯ გ უ ფ ი —დ ო ქ ე ბ ი —მრგვალი, გადაშლილი პირით, მომაღლო ყელით, მრგვალმუცლიანი, ფართო, ბრტყელი ძირით, ოვალურგანიკვეთიანი ყური პირთან ეწყებათ და მუცლის ზედა ნაწილს უერთდება, ერთი ვარდისფრადაა გამომწვარი, რომლის ზედაპირი შემკულია წითელი პარალელური ხაზებით (ქვ. ს. № 8-სავ. დ. № 39—1978 წ.), მეორე შავზედაპირიანია (ქვ. ს. № 1-სავ. დ № 1-1976 წ.) ზომები: h—13—18 სმ, პ d—5—6,5 სმ, ძ d—7—10 სმ (ტაბ. XLI-2; XLVIII-7).

III ჯ გ უ ფ ი —დ ო ქ ე ბ ი —მაღალი ვიწრო ყელით, გადაშლილი პირით, მხრებდაქანებული, ბრტყელძირიანი, შავად გამომწვარი თიხის, ერთს ყური პირს ქვემოთ ეწყება და მუცლის ზედა ნაწილს უერთდება (ქვ. ს. № 14), მეორეს ყური მიერთებული აქვს პირსა და მხარზე (ქვ. ს. № 9 სავ. დ. № 41-1978 წ.). ზომები h—9—14,5; პ d—3—4, სმ, ძ d—4—6 სმ (ტაბ. XLIX-1).

IV ჯ გ უ ფ ი —დ ო ქ ე ბ ი —ყელწიბოიანი, პირსწორი, სფერულმუცლიანი, ბრტყელძირიანი, ვარდისფრად გამომწვარი თიხის, ცალყურა—ყური მიძერწილი აქვთ პირს ქვემოთ (ქვ. ს. № 5-სავ. დ № 24-1978 წ.). ზომები: h—13,5 სმ, პ d—6 სმ ,ძ d—9,5 სმ (ტაბ. XLVI-3).

V ჯ გ უ ფ ი —ს ა მ ტ უ ჩ ა ანუ მოკლე ნისკარტიანი ხელადები—ფართოპირიანი, შავად გამომწვარი თიხის (ქვ. ს № 9, სავ. დ. № 16—1972 წ.). ამ ჯგუფის ჭურჭლებს ყური პირთან ეწყებათ და მუცლის ზედა მხარეს უერთდება. ზომები: h—17 სმ, პ d—7 სმ, ძ d—9 სმ (ტაბ. XL-7).

VI ჯ გ უ ფ ი —დ ო ქ ე ბ ი —მსხლის ფორმის მუცლით, დაბალი ყელით, ერთნი შავად გამომწვარი თიხისაა (ქვ. ს. № 5, სავ. დ. № 34—1977 წ. ქვ. ს. № 6 სავ. დ. № 28—1978 წ.), ხოლო მეორენი ვარდისფრადაა გამომწვარი, ამ ჯგუფის ჭურჭლებს ყური ეწყებათ პირთან (ქვ. ს. № 7, სავ. დ. № 39—1978 წ.) ზომები: h—10 15 სმ, პ d—5—7 სმ, ძ d—5—10 სმ (ტაბ. XLVI-6; XLII-1; XLIII-7)

VII ჯ გ უ ფ ი —კ ო ჭ ო ბ ე ბ ი —უყურო და ყურიანი. ა) უყურო კოჭობები გამომწვარნი არიან მოვარდისფროდ, გვხვდება სფერულმუცლიანი (ქვ. ს. № 8, სავ. დ № 38—1978 წ.) და მსხლის ფორმის მუცლით (ქვ. ს. № 3—სავ. დ № 21—1978 წ.). ზომები: h—7—8, 5, პ d—4—5 სმ. ბ) ყურიანები გამომწვარი არიან როგორც მოჩალისფროდ (ქვ. ს. № 7—სავ. დ № 34—1978 წ. —ზედაპირი შემკულია ორ რიგა ირიბი ჭდეებით), ისე შავად, რომელთაც ყელზე შემოუყვება ორი რელიეფური ღარი. ამ ჯგუფის ჭურჭლებს ყური მიძერწილი აქვთ მხარსა და მუცელზე (ქვ. ს. № 114—1978). ზომები: h—6—8 სმ; პ d—4—5; ძ d—4—5 სმ(ტაბ. XLX-3; XLVIII-5; XLVI-5).

VIII ჯ გ უ ფ ი —ქ ო თ ნ ე ბ ი —ყურიანი და უყურო. ა) უყურო ქოთნები გვხვდება შავად გამომწვარი, პირგადაშლილი, მრგვალმუცლიანი, ბრტყელძირიანი (ქვ. ს. № 5, სავ. დ. № 2—1978 წ.). ბ) ყურიანი ქოთნები—ამ ჯგუფში გვხვდება როგორც ცალყურა (ყური მიძერწილი აქვთ მუცლის ცენტრალურ ნაწილზე), მოვარდისფროდ გამომწვარი (ქვ. ს. 1—1976 წ. სავ. დ. 2)—ზომები: h—8; პ d—6, ძ d—5 სმ, ისე ორყურა ქოთნები, მოჩალისფროდ გამომწვარი,

გვერდებდაქანებული, ბრტყელძირა. პატარა ყურები მიძერწილი აქვთ მუცლის ცენტრალურ ნაწილზე (ქვ. ს. № 7, ქვ. ს. №4—1977 წ და სავ. ღ. 27). ზომები h—12 სმ, პ d—8, ძ d—9,5 სმ (ტაბ. XLVI-4; XLI-1; XLII-7).

IX ჯ გ უ ფ ი —ჯამები—უქუსლო და ქუსლიანი. ა) უქუსლო —მოვარდისფროდ გამომწვარი თიხის, პირმოყრილი, გვერდებდაქანებული, რომელიც ძირისაკენ თანდათან ვიწროვდება, ბრტყელძირა (ქვ. ს. № 7, ქვ. ს. №4—1977 წ. სავ. ღ. №29). ზომები: h—7 სმ, პ d—16 სმ, ძ d—8 სმ. ბ) ქუსლიანი—მოვარდისფროდ და შავად გამომწვარი თიხის, მხარწიბოიანი, კარგად გამოკვეთილი და ამოღარული ქუსლით (ქვ. ს. № 4; ქვ. ს. 6 და ქვ. ს. № 9—1978 წ.). ეს უკანასკნელი მოხატულია წითელი საღებავით —შიდა პირი სხივისებური და კლაკნილი ხაზებით, გარედან ირგვლივ ზოლებით. ზომები: h—8—9 სმ, ძd—1,5—2 სმ, პd—13—16 სმ (ტაბ. XLII-11; XLVII-6; XLIX-2).

## ლითონის სამკაულები და სხვა ნივთები

### სამაჯურები

სამაჯურები საყარაულო სერის სამაროვნის ქვევრსამარხების ერთ-ერთი გავრცელებული სამკაულთაგანია, რომლებიც ნაკეთებია როგორც ბრინჯაოსაგან, ისე რკინისაგან. ფორმის მიხედვით ეს სამაჯურები დავყავით სამ ჯგუფად:

I ჯგუფი—მრგვალგანიკვეთიანი ღეროს მქონე, ზურგშედრეკილი ბრინჯაოს სამაჯურები, რომლებიც ბოლოებისაკენ თანდათან მსხვილდებიან. (ქვ. ს. № 4, სავ. ღ. № 30—1977 წ. ქვ. ს. № 1, სავ. ღ. № 1—1977 წ. ქვ. ს. № 6, სავ. ღ.—1978 წ. (ტაბ. XLII-2-9; XLVII-5).

II ჯგუფი—მრგვალგანიკვეთიანი ღეროს მქონე, რომლის თავი სტილიზებული ცხოველის გამოსახულებას გამოხატავს. ეს ბრინჯაოს სამაჯური ფრაგმენტულად არის აღმოჩენილი (ქვ. ს. № 5—სავ. ღ. №41—1977 წ.) (ტაბ. XLIV-13).

III ჯგუფი—რკინის, მრგვალგანიკვეთიანი ღეროს მქონე სამაჯურია, რომელიც შემკულია კოპებით (ქვ. ს. № 6, სავ. ღ. № 33-1978 წ.) (ტაბ. XLVII-3).

### ბეჭდები

ჩვენი ქვევრსამარხების ინვენტარში საკმაოდ გავრცელებულ სამკაულს წარმოადგენს ბეჭდები, რომლებიც ნაკეთებია როგორც ბრინჯაოსაგან, ისე რკინისაგან. გამოვყავით ორი ჯგუფი:

I ჯ გ უ ფ ი —გავაერთიანეთ ბეჭდები ბრინჯაოსი, ოვალური თვალბუდით, თვალი პასტისაა, გამოსახულება არ ჩანს, ბეჭდის მხრების ქვემოთ რკალი ნელ-ნელა ვიწროვდება (ქვ. ს. № 5, სავ. ღ. № 43, 47, 48, 49-1977 წ.) (ტაბ. XLIV-4-5-6).

II ჯ გ უ ფ ი —რკინის ბეჭედი—მასიური, ფარაკიანი, მხრებს ქვემოთ რკალი ვიწროვდება. ბეჭედი ძალიან დაჟანგულია (ქვ. ს. № 6, სავ. №32—1978 წ.).

### საყურეები

საყურე რგოლები თითქმის ყველა ქვევრსამარხში და თანაც წყვილად გვხვდება, მაგრამ არის შემთხვევა როდესაც სამარხში თითო საყურეა აღმოჩენილი. გავრცელებული ტიპი საყურისა არის ბრინჯაოს თავებგახსნილი მავთულის რგოლი, რომელთა საშუალო დმ 0,2 სმ—ია (ქვ. ს. № 1—სავ. ღ. № 2; ქვ. ს. № 5—სავ. ღ. № 42—1977 წ. ქვ. ს. № 6-სავ. ღ.—1978 წ.) (ტაბ. XLII-5; XLII-4).

## ზარაკები

ჩვენი ქვევრსამარხების ინვენტარში გავრცელებულია ბრინჯაოს ზარაკები, რომლებიც მათი ფორმების მიხედვით დავყავით 3 ჯგუფად:

I ჯ გ უ ფ ი — ნახევარსფერული ფორმის, მრგვალყუნწიანი (ქვ. ს. № 5-სავ. დ. № 38—1977 წ.) (ტაბ. XLIV-7).

II ჯ გ უ ფ ი — ვიწრო კონუსური მოყვანილობისაა, ზარაკის თავი გახვრეტილია, ზედაპირი შემკულია წვრილად ამოკაწრული ხაზებით (ქვ. ს. № 5-სავ. დ. № 39—1977 წ. ქვ. ს. № 5—სავ. დ. № 25—1978 წ.) (ტაბ. XLVI-11; XLVI-1).

III ჯ გ უ ფ ი — ზარაკები, რომელიც წარმოადგენს გუმბათისებურ დაფანჯრულ კონუსს, ფანჯრები პატარ-პატარა, ტოლფერდა სამკუთხედებია წვეროთი ზემოთ, ისინი ორ სართულებადაა ირგვლივ, ზემოდან მრგვალი ყუნწი აბია (ქვ. ს. № 5—სავ. დ. 37—1977 წ.) (ტაბ. XLIV-10).

## დანები

ჩვენ ქვევრსამარხებში რკინის დანის აღმოჩენის ორი შემთხვევა გვაქვს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი ფორმით. ერთია მორკალული რკინის დანის ფრაგმენტი, შერჩენილი აქვს სატარე ნაწილი და ორი მანჭვი და მეორე სწორზურგიანი დანა, მრგვალი ყუნწით, ფენა ატკეცილი, ბრტყელი პირი თანდათან ვიწროვდება (ქვ. ს. № 5—სავ. დ. № 38-1977 წ. h—12 სმ. უდ. d—1,5 სმ) (ტაბ. XLIV-16; XLI-5).

## მონეტები

მონეტა ბრინჯაოსი, არტაბან II დრაქმა (ძვ. წ. 88-77 წწ.) ქვ. ს. №5-1977 წ. (განსაზღვრა გ. დუნდუამ)

მონეტა ვერცხლის, გოტარზე (ახ. წ. 40-51 წწ, ქვ. ს. №3-1978 წ. (განსაზღვრა ი. ჯალაღანიამ).

## მძივები

გამოირჩევიან დიდი მრავალფეროვნებით, როგორც მასალის, ისე ფორმების და ფერების მიხედვით, მძივების უმეტესობა ნაკეთებია პასტისა და მინისაგან, გვხვდება სერდოლიკის და გიშრის მძივებიც.

მ ი ნ ი ს — დამზადებულია ცისფერი, მუქი ლურჯი, შავი, თეთრი და სხვა ფერის მინისაგან: მთის ბროლის — თეთრი კონუსური ფორმის 3 ც. (ქვ. ს. № 5-სავ. დ. № 40-1977 წ.) (ტაბ. XLIV-12ა); მოოქრული, კასრისებური (ქვ. ს. № 1-სავ. დ.-1976 წ.), ლურჯი მინის, მოგრძო, დაღარულნი (ქვ. ს. № 3-1977 წ. ქვ. ს. №8-სავ. დ. 47-1978 წ.); ხალიჩისებრმოხატული, გრძელი, ოთხწახნაგა (ქვ. ს. № 5, სავ. 47-1977 წ. ქვ. ს. № 3-1977 წ.) (XLIII-8, XLIV-8); შავი მინის, ხალებიანი, სფერული (ქვ. ს. № 8, სავ. დ.-47—1978 წ.) (ტაბ. XLVIII-6). მომწვანო, ღილისმაგვარი, მოგრძო, დაღარული (ქვ. ს. № 9—1972 წ.) (ტაბ. XL-8).

პასტის მძივები, ე. წ. ოიტები — თითქმის ყველა ქვევრსამარხშია.

ცისფერი პასტის ყ უ რ ძ ნ ი ს მ ტ ე ვ ნ ი ს ფორმის (ქვ. ს. № 5-სავ. დ.—1977 წ.)

ს კ ა რ ა ბ ე ო ი დ ი — მოცისფრო (ქვ. ს. № 3-სავ. დ. №8—1977 წ.).

ს ე რ დ ო ლ ი კ ი ს მძივები სხვადასხვა ფორმის (ქვ. ს. № 3, სავ. დ. 18; № 5—1977 წ.).

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ი მრგვალგანიკვეთიანი მავთულის (ქვ. ს. №8—1978 წ.).

გ ი შ რ ი ს მ ძ ი ვ ი 1 ც. წვერებწაკვეთილი ბიკონუსური (ქვ. ს. № 5—1977 წ.) (ტაბ. XLIV-9; XLIII-1; XLIII-9; XLVIII-1,2; XLIV-12).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინის ჭურჭელი

წარმოდგენილია სანელსაცხებლეების სახით, რომელნიც ჩვენ 5 ჯგუფად დავყავით:

I. ჯგუფი—მინიატურული, გადაშლილი, დაბრტყელებული პირით, ვიწრო ყელით, სფერულმუცლიანი (ქვ. ს. № 5-სავ. ღ. 35—1977 წ. ქვ. ს. № 8-სავ. ღ. 46—1978 წ.) (ტაბ. XLIV-14; XLVIII-3).

II ჯგუფი—მინიატურული, გადმოკეცილი პირით, ვიწრო ყელით, მსხლის ფორმის მუცლით (ქვ. ს. № 3-სავ. ღ. 5—1976 წ.) (ტაბ. XLI-7).

III ჯგუფი—მინიატურული, ვიწრო მაღალი ყელით, გადაშლილი პირით, სწორი მუცლით, ბრტყელძირა. (ქვ. ს. № 3 სავ. ღ. 6—1976 წ.) (ტაბ. XLVI-6).

IV ჯგუფი—სანელსაცხებლე, მომწვანო, გამჭვირვალე მინის, მაღალი ყელით, მსხლის ფორმის მუცლით, ბრტყელი ძირი, ყელზე შემოსდევს ფართო, რელიეფური ქედი. h—12,2 სმ, პ d—2,5 სმ.

V ჯგუფი—სანელსაცხებლე იისფერი, გამჭვირვალე მინისა, თხელკედლიანი, ორყურა, მისი ტანი გაყოფილია სამ ფრიზად, თავსა და ბოლოში გამოყვანილია ვერტიკალური ზოლები, ხოლო მათ შორის ფართო სარტყელი რელიეფური ხვიებითაა შემკული. h—7,5 სმ, პ. დ.—2,5 სმ, ძ.დ.—2ს. (ტაბ. XL-3,5).

საყარაულო სერის ქვევრსამარხების თარიღისათვის

ჩვენს მიერ გათხრილი სამაროვნის დათარიღებისათვის საიმედო საყრდენი მოგვეპოვება — ესაა მონეტათა შემცველი სამარხები, რომლებიც ანალოგიური ტიპის ინვენტარის შემცველი უმონეტო სამარხების დათარიღებაშიც გვეხმარებიან.

როგორც აღვნიშნეთ, საყარაულო სერზე გათხრილი 15 ინვენტარის შემცველი ქვევრსამარხიდან მონეტა აღმოჩნდა ორ სამარხში: № 15—1977 წ. არტაბან II დრაქმა ბრინჯაოსი (ძვ. წ. 88—77 წ.) და მეორე ვერცხლისა — გოტარზესი (40—51). ქვ. ს. 3—1978 წ.

მონეტათა საფუძველზე ამ ქვევრსამარხების ქვედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. I საუკუნეა. ამ სამარხების ძვ. წ. I ს. დათარიღების სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე მათში აღმოჩენილი ნივთები და მათი დამუშავების ტექნიკა. დამათარიღებელ ელემენტად გამოგვადგება: ბრინჯაოს სამაჯურები და ზარაკები; ჩვენს მიერ აღწერილი სამეთუნეო ნაწარმის I ჯგუფის დაბალი ხელადები, V ჯგუფის სამტუჩა ხელადები, VI ჯგუფის მსხლის ფორმის მუცლიანი დოქები, X ჯგუფის ქუსლიანი ჯამები, რომლებიც უახლოეს ანალოგიებს პოულობენ ალაზნის ველის[3] სამარხებიდან და სამთავროს ქვევრსამარხებიდან[2] მომდინარე ჭურჭლებში და თარიღდებიან ძვ. წ. I ს.

ყველაზე მეტ საშუალებას ქვევრსამარხების ქრონოლოგიური გამიჯვნისა იძლევა ბრინჯაოს სამაჯურები. ჩვენს მიერ I ჯგუფში გაერთიანებული სამაჯურები ანალოგიურნი არიან სამთავროს[3], გურჯაანის[4], არკნეთის,[5], სა-

---

[1] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. ალაზნის ველის გათხრები.

[2] ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. ქართლის სამეფოს ისტორიისათვის III—Iსს. მსკა, ტ. III.

[3] ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა. დასახ. ნაშრომი, ტაბ. $VI_2$.

[4] გ. ნ ი ო რ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი.

[5] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე. არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში. თსუშ. 1956.

კობიანოს[6], კლდეეთის[7], სამაჯურებისა და ესენია სადა, რკალშეზნექილი, ბოლოებშემსხვილებული სამაჯურები და თარიღდებიან თანმხლები ინვენტარის საფუძველზე ძვ. წ. II—I სს.

ზარაკებს, რომლებიც ძვ. წ. I ს. მონეტათა შემცველ სამარხში აღმოჩნდა, უახლოესი ანალოგები მოეპოვება სამთავროს ქვევრსამარხებიდან მომდინარე II — III ჯგუფის ზარაკებთან, რომლებიც ძვ. წ. I ს. თარიღდებიან[8].

დასათარიღებლად გამოგვადგება აგრეთვე სარიტუალო დანიშნულების რკინის პატარა, მორკალული და სწორი დანები; რკინის მორკალული დანები ცნობილია კლდეეთის[9], გურჯაანის[10] სამარხებიდან და თარიღდებიან ძვ. წ. I ს. მიწურულით; რაც შეეხება სწორ დანებს, ასეთები გვხვდება სამთავროს სამაროვნისა[11] და კლდეეთის[12] სამარხებში, რომლებიც თარიღდებიან ძვ. წ. I და ახ. წ. I სს.-ით.

აღნიშნული ქვევრსამარხების გავრცელების ზედა ქრონოლოგიური თარიღის განსაზღვრა შეგვიძლია ამ სამარხებიდან მომდინარე მინის და თიხის ჭურჭლით; პასტის მტევნის ფორმის მძივსაკიდით და მინის მძივებით.

მინის ჭურჭელი ახ. წ. I ს-დან იქცევა სამარხეული ინვენტარის ერთ-ერთ არსებით და აუცილებელ კომპონენტად, ეს არის სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის სანელსაცხებლები, ასეთი სახის მინის ნაწარმი აღმოჩნდა საყარაულო სერის ქვევრსამარხებში, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ ტიპების მიხედვით.

ესენია: I—II—III ტიპის მინიატურული სანელსაცხებლები, რომელთაც უახლოესი ანალოგიები მოეძებნებათ ურბნისისა[13] და მცხეთის[14] სამაროვნებიდან მომდინარე სანელსაცხებლების სახით; IV ტიპის მწვანე ფერის ყელმაღალი და დაბალი კონუსური ტანის მოყვანილობის სანელსაცხებლეს მსგავსი ჭურჭელი ცნობილია ურბნისიდან[15], კლდეეთიდან[16], გარნისიდან[17];

V ტიპის ამფორესკის ტიპის იისფერი ორყურა სანელსაცხებლე.

მსგავსი სანელსაცხებლე ცნობილია ურბნისის სამაროვნიდან[18], გარნისის 39 ქვევრსამარხიდან[19]. ყველა განხილული სანელსაცხებლე ანალოგების საფუძველზე თარიღდება ახ. წ. I ს-ით.

---

[6] ს. მაკალათია. არქეოლოგიური გათხრები საკობიანოში, დაბლაგომში და აღაიანში. სსმმ. ტ. IX

[7] გ. ლომთათიძე. კლდეეთის სამაროვანი—1957 წ. ტაბ. XIX[16].

[8] ვ. თოლორდავა. დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[9] გ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრომი.

[10] გ. ნიორაძე. დასახ. ნაშრომი

[11] გ. ლომთათიძე. დასახ. ნაშრომი, ტაბ. XXI

[12] ვ. თოლორდავა. დასახ. ნაშრომი, ტაბ. VIII.

[13] ლ. ჭილაშვილი. ნაქალაქარი ურბნისი. სურ. 27. იქვე, მ. საგინაშვილი. ურბნისის მინის კატალოგი. სურათი № 3, 1970.

[14] გ. ლომთათიძე. მცხეთის აკლდამა.

[15] მ. საგინაშვილი. დასახ. ნაშრ. სამარხი № 230, ინვ. 1:8881.

[16] გ. ლომთათიძე. კლდეეთის სამაროვანი. ტაბ. XX.

[17] Аракелян. Гарни, т. II, таб. XIII, 1957.

[18] საგინაშვილი. დასახ. ნაშრ., სურ. 12.

[19] Аракелян. დასახ. ნაშრ., სურ. 33.

ახ. წ. I ს-ით თარიღდება (ჩვენს მიერ აღწერილი) I ჯგუფის თიხის ხელადები, მოხატული ტალღური ორნამენტით. აგრეთვე IV ჯგუფის ყელწიბოიანი მოწითალოდ შეღებილი დოქები, რომელთაც უახლოესი ანალოგები მოეპოვებათ ურბნისისა[20] და თბილისის[21] სამაროვნებიდან მომდინარე ჭურჭლებში.

მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი მძივები: გვაქვს სხვადასხვა ფერის და ნაირნაირი მოყვანილობის მინისა და პასტის, გიშრისა და სერდოლიკის მძივები. განსაკუთრებით გამოირჩევა სკარაბეები, გაუმჭვირვალე მინის ხალიჩისებრ მოხატული და მეჭეჭებიანი მძივები, რომლებიც ახ. წ. I ს-ის დასაწყისში ჩნდებიან და შემდეგ ვრცელდებიან მომდევნო საუკუნეებში. ანალოგიური მძივები გვხვდება კლდეეთის სამარხებში[22]. ახ. წ. I ს-ით თარიღდება აგრეთვე ზემოთ აღწერილი ცისფერი პასტის მტევანსაკიდი, რომლის მსგავსი ცნობილია „გარნისის“ იმ სამარხებიდან, რომელიც ძვ. წ. მიწურულით და ახ. წ. I ს-ით თარიღდება[23].

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ დასაშვებად მიგვაჩნია „საყარაულო სერის ქვევრსამარხები დავათარიღოთ ძვ. წ. I და ახ. წ. I ს-ის დასაწყისით.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრული რაოდენობა ნივთიერი ძეგლებისა (კერძოდ გლიპტიკა) კვლევის სფეროშია, რადგან დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ვერ მოხერხდა გარკვევით მათი მიკუთვნება ჩვენი ქრონოლოგიური სქემის რომელიმე რიგისათვის. ისინი რჩებიან ზოგადად ძვ. წ. I და ახ. წ. I ს. პერიოდის ძეგლებად. ძეგლის ყოველმხრივი შესწავლა ჩვენი მომავალი მუშაობის მთავარი მიზანია.

Г. И. ДЖИНДЖИХАШВИЛИ

## КУВШИННЫЕ ПОГРЕБЕНИЯ I В. ДО Н. Э. — I В. Н. Э. ИЗ МОГИЛЬНИКА «САКАРАУЛО СЕРИ»

(таб. XLI—L)

Резюме

Кувшинные погребения могильника «Сакарауло Сери» расположены группами совместно с погребениями иного типа. Погребальные кувшины находятся на разной глубине от современной поверхности. Всего на могильнике обнаружено 30 кувшинных погребений, 17 из которых имели инвентарь. В качестве погребальных сосудов использовались большие глиняные кувшины светлорозового обжига для хранения вина (квеври). Кувшины находились в горизонтальном положении, и их гор-

---

[20] ლ. ჭილაშვილი. დასახ. ნაშრომი.

[21] დ. ქორიძე. თბილისის არქეოლოგიური ძეგლები. ტაბ. XIII². დ. ქორიძე. ურბნისის გვიან ანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციისათვის. ხელნაწერი ინახება სსმ წინა ფეოდ. ხანის განყოფილებაში. სამარხი № 193, ინვ. 1:61 3537, სამარხი № 178, ინვ. 1:61 3422. მადლობას მოვახსენებ მ. საგინაშვილს, რომელმაც დამრთო ნება გავცნობოდი ამ ნაშრომს.

[22] გ. ლომთათიძე. კლდეეთის სამაროვანი, ტაბ. XI.

[23] З. Аракелян. Гарни II, табл. XIV.

ловины часто были прикрыты черепицей, плоскими камнями или обломками больших сосудов. Покойники лежали в скорченном положении на левом или правом боку.

Инвентарь кувшинных погребений, в основном, состоит из глиняных и стеклянных сосудов бронзовых и железных украшений (браслеты, серьги, кольца) и бус из различных материалов, которые имеют близкие аналогии среди материала Самтаврских кувшинных погребений, Урбнисского, Алазанского, Аркнетского и Клдеетского могильников. Поэтому кувшинные погребения «Сакарауло Сери» следует датировать, на наш взгляд, I в. до н. э. и I в. н. э. Это же подтверждается находкой в наших погребениях двух монет, относящихся к этому же периоду.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ყაზახიშვილი

# ანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები „საყარაულო სერის“ სამაროვნიდან

(ტაბ. LXI—LXVII)

„საყარაულო სერის“ სამაროვანზე სხვა ხანის სამარხების გვერდით დადასტურდა ანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები.

უკანასკნელ ხანებამდე ეს ადგილები სახნავ-სათესად იყო გამოყენებული, ნაწილი ახლაც იხვნება. სამარხები სამაროვანზე სხვადასხვანაირად არიან განლაგებულნი: ჯგუფებად და გაფანტულად. სამარხების დონე შენიშნულ იქნა მიწის თანამედროვე ზედაპირიდან სხვადასხვა სიღრმეზე: ზოგი ღრმად, ზოგი ზედაპირთან ახლოს. სავარაუდოა, რომ ეს ფაქტი დამოკიდებული იყო რელიეფზე, ანდა შედეგია ბუნებრივი პირობების მოქმედებისა: ავდრის შედეგად მიწის ზედაპირი ზოგან გადარეცხილია.

მიცვალებულის პოზა სამარხებში გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. ჩონჩხი ყველა სამარხში დამხრობილია მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთით ან სამხრეთით.

ორმოსამარხებში აღმოჩენილი ინვენტარი არ გამოირჩევა სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. აქ უმთავრესად წარმოდგენილია სუფრისა და სამზარეულო თიხის ჭურჭელი და სამკაულები.

თიხის ჭურჭლიდან შეიძლება გამოვყოთ შავად და ვარდისფრად გამომწვარი დოქები, ხელადები, ფიალები; გვხვდება კოჭობი, ქინჭილა, ჯამი.

მძივები, სხვადასხვა რაოდენობით, აღმოჩენილია თითქმის ყველა სამარხში. მასალად გამოყენებულია როგორც ნახევრად ძვირფასი ქვა სარდიონი, ასევე მრავალფეროვანი შედგენილობის, ფერისა და ფორმის მინა და პასტა. გვხვდება ბრინჯაოს, რკინისა და ვერცხლის საყურე რგოლები, აბზინდები და სამაჯურები, ბრინჯაოს ზარაკები.

***ორმოსამარხი № 1** (სამ. № 6. 1972 წ.). სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე 1,6 მ, სიგანე 1,1 მ, სიღრმე 0,7 მ. მიცვალებული დამხრობილია მარცხენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთისაკენ. საფეთქლის დაბლა, ყვრიმალის ძვლებთან აღმოჩნდა ბრინჯაოს საყურე რგოლები. ყელის

---

* ქვაყუთებს, ქვევრსამარხებსა და ორმოსამარხებს მიცემული ჰქონდა საერთო ნუმერაცია. ამჟამად სხვადასხვა ტიპის სამარხების ნუმერაცია გამოყოფილი და შეცვლილია. ფრჩხილებში მოცემულია ნუმერაცია წლების მიხედვით.

არეში აღმოჩნდა მინისა და პასტის მძივები. კეფასთან ჩონჩხს უდევს საღვინე დოქი.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი  ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ხ ე ლ ა დ ა (სამ. № 6. ტაბ. LI-1)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, ცალყურა, ვარდისფრად გამომწვარი, მსხლისებური მუცლით.

2. საყურე რგოლი (სავ. № 7. ტაბ. LI-2)—დამზადებულია 1,5 მმ—იანი ბრინჯაოს მავთულისაგან, ბოლოგახსნილია.

3. მძივები—სარდიონის (1 ც.), იოტები მინისა და პასტის ცისფერი და თეთრი (სავ. № 8. ტაბ. LI-3).

**ორმოსამარხი № 2** (სამ. № 7. 1972 წ.). სამარხს ზემოდან სამი ქვის ფილა ეფარა. ჩანს, სამარხი ადრევე იყო დანგრეული და გაძარცული. შემორჩენილია რამოდენიმე ნატეხი ვარდისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭლისა. ჩონჩხი დაზიანებულია.

**ორმოსამარხი № 3** (სამ. № 8. 1972 წ.). სავარაუდოა, რომ სამარხი ორჯერ იყო გამოყენებული. შემორჩენილია მხოლოდ ჩონჩხის წელზედა ნაწილი, წელს ქვევით ნაწილი მეორე სამარხის მოწყობისას დაუზიანებიათ. ჩონჩხი დამხრობილია მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთით. მიცვალებულის ყელის არეში ელაგა სხვადასხვა ფორმის პასტისა და მინის მძივები. ყვრიმალის ძვალთან აღმოჩნდა ბრინჯაოს საყურე რგოლი. შუბლთან ელაგა ხელადა და ფიალა, მუცლის არეში იდო მეორე ხელადა, ზურგთან იდო საღვინე ჭურჭელი.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი  ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დ ო ქ ი (სავ. № 9, ტაბ. LI-6)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, ცალყურა, ყური მიძერწილია ყელსა და მხართან. მსხლისებური მუცლით, დაბალყელიანი და ძირბრტყელი. h—9,5 სმ, ძd—6 სმ, პd—5 სმ.

2. დ ო ქ ი (სავ. № 10. ტაბ. LI-9)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, შავად გამომწვარი, ცალყურა, პირგადაშლილი, მაღალყელიანი; ყური მიძერწილი აქვს პირსა და მუცელზე, ძირბრტყელი, h—14 სმ, პ. d—5,8 სმ, ძ. d—7,5 სმ.

3. დ ო ქ ი (სავ. № 11. ტაბ. LI-8)—თხელკეციანი, ვარდისფრად გამომწვარი, ცალყურა, პირგადაშლილი, მსხლისებური მოყვანილობის მუცლით, ფართოყელიანი, ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე. მოხატულია წითელი საღებავით. ყელზე შემოსდევს სარტყელი და ოვალური წერტილების ერთი მწკრივი, მუცელზე ორი სარტყელი და ერთი ტალღური ზოლი. h—13,5 სმ, ძ. d—7,5 სმ, პ. d—6,5 სმ.

4. ფ ი ა ლ ა (სავ. № 6. ტაბ. LI-7)—თხელკეციანი, შავად გამომწვარი, ზედაპირგაპრიალებული, დაბალი კონუსური ძირით, გამოკვეთილქუსლიანი. h—4,7 სმ, პ. d—10,5 სმ, ძ. d—5,7. სმ.

5. საყურე—რგოლი ბრინჯაოსი, ბოლო გახსნილი (ტაბ. LI-2)

6. მძივები—მინის (61 ც.) ლურჯი, ტალღური ზოლებით, ოვალური და მრგვალი (ტაბ. 5 LI-3,5).

**ორმოსამარხი № 4** (სამ. № 10. 1972 წ.). ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული. ჩონჩხი ძევს მარჯვენა გვერდზე. თავით სამხრეთ-დასავლეთით. ქვემო კიდურებთან ჩონჩხს ედო ქვის მოზრდილი ფილა, ყელის არეში მინის სხვადასხვა ზომის მძივები. ხელის მტევნებთან ედო ბრინჯაოს პატარა

ზარაკი, რომელშიც მინის პატარა მძივები ეწყო. ყელთან მეორე, დაფანჯრული ზარაკი იდო, მაჯის ძვალთან რკინის ბრტყელი ნატეხი, თავის ქალასთან ედგა ხელადა, მუცლის არეში კი კოჭობი.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი  ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ხ ე ლ ა დ ა (სავ. № 2. ტაბ. LII-1)—თხელკეციანი, ვარდისფრადგამომწვარი, ცალყურა, ყელწიბოიანი, ფართო ყელპირიანი. ყური მიძერწილი აქვს ყელსა და მხარზე. სფერულმუცლიანი, ძირბრტყელი. h—14 სმ, პ. d—7 სმ, ძ. d—10 სმ.

2. კ ო ჭ ო ბ ი (სავ. № 1. ტაბ. LII-5)—ვარდისფრად (არა თანაბრად) გამომწვარი თიხისა, ცალყურა, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე (ცეცხლის კვალით). h—9 სმ, პ. d—9 სმ, ძ.—8 სმ.

3. ზ ა რ ა კ ი—ბრინჯაოსი (სავ. № 3.), დაფანჯრული, ყუნწიანი, ყუნწზე დაკიდებული რკინის ენის ფრაგმენტით (2 ც) (ტაბ. LI-8).

4. რ კ ი ნ ი ს  ნ ი ვ თ ი ს ფრაგმენტები (სავ. № 4) (ტაბ. LII-4).

5. ს ა ყ უ რ ე—ბრინჯაოსი (სავ. № 5) (ტაბ. LII-6).

6. მ ძ ი ვ ე ბ ი—მინისა და პასტის; თეთრი, მოცისფრო, ოქროფენილი; მოშავო, მოზაიკური, შინდისფერი, ჩანართი ზოლებით, კასრისებური და ორწილადი (ტაბ. LII-3,7 9).

**ორმოსამარხი № 5** (სამ. № 16. 1972 წ.). სამარხ ორმოს სამხრეთით მიფარებული ჰქონდა ბრტყელი ქვის ფილა. ორმოს ზომებია: სიგრძე 1,6 მ, სიგანე 0,7 მ, სიღრმე 0,7. მიცვალებული ძევს მარცხენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, დასავლეთიდან აღმოსავლეთით. თავის ქალასთან უდევს კოჭობი. ყელის არეში აღმოჩნდა სარდიონისა და მინის მძივები.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი  ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. კ ო ჭ ო ბ ი (სავ. № 24. ტაბ. LIII-1)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, ვარდისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, მოზრდილი მუცლით. ბრტყელძირიანი. მხარსა და მუცელზე შემოსდევს წითელი საღებავის წვრილი სარტყელი. h—8,8 სმ, პ d—7 სმ, ძ d—6 სმ.

2. მ ძ ი ვ ე ბ ი (სავ. № 25. ტაბ. LIII-2,3)—სარდიონის (3 ც.); ერთი ცალმხრივგახვრეტილი, 2 მორგვისებური. მინის შავი, თეთრი ტიხრებით. სამკუთხედები ქარვისფერი, თეთრი, ჰორიზონტალური ტიხრებით.

**ორმოსამარხი № 6** (სამ. № 1. 1976 წ.). აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1,9 მ სიღრმეზე. სამარხი ორმოს ზომებია: 1,2×1 მ. ორმო ოვალურია. მიცვალებული იდო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთით სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. დ ო ქ ი (სავ. № 11. ტაბ. LIII-4)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, ვარდისფრადგამომწვარი, ცალყურა, პირგადაშლილი, დაქანებულკალთებიანი, ბრტყელძირიანი, ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე. h—9 სმ.

2. კ ო ჭ ო ბ ი (სავ. № 10. ტაბ. LIII-5)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, მონაცრისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი ცალყურა, ყელწიბოიანი, ყური მიძერწილია პირსა და მხარზე, ბრტყელძირიანი. h—51 სმ.

3. მძივები სარდიონის (5 ც.), პასტის (50 ც.) (სავ. №12). (ტაბ. LIII-6).

**ორმოსამარხი № 7** (სამ. № 3. 1976 წ.). აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე. ორმო ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული. მისი ზომებია: 1,3×1 მ. მიცვალებული იდო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთით. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

1. ქ ო თ ა ნ ი (სავ. № 16. ტაბ. LIV-1)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, ჩალისფრად გამომწვარი, ორყურა, ოდნავ პირშეზნექილი, სფერულმუცლიანი, ორი ყური ერთმანეთის საპირისპიროდ მიძერწილია მუცელზე.

2. დ ო ქ ი (სავ. № 13. ტაბ. LIV-3)—თხელკეციანი, ვარდისფრად გამომწვარი, ცალყურა, პირგადაშლილი, ყური მიძერწილი აქვს პირსა და მუცელზე. ბრტყელძირიანი. შემკულია წერნაქის პარალელური ხაზებით.

3. ჭ ი ნ ჭ ი ლ ა (სავ. № 15. ტაბ. LIV-4)—თხელკეციანი, ვარდისფრად გამომწვარი, გამოყვანილყელიანი, ბრტყელძირიანი. ჭურჭელი მოთავსებული იყო ქოთანში.

4. ფ ი ა ლ ა (სავ. № 14. ტაბ. LV-5)—თხელკეციანი, ვარდისფრად გამომწვარი, პირშეზნექილი, ქუსლამოღარული. h—6,5 სმ.

5. ს ა ხ უ რ ა ვ ი თიხისა (სავ. № 17. ტაბ. LIV-4)—მოწითალოდ გამომწვარი, წვრილმარცვლოვანი, ირიბად დაქანებული გვერდები თავდება სწორი პირით. ბრტყელძირიანი, გახვრეტილი; ეს სახურავი კარგად აქვს მორგებული ქოთანს (№ 1).

**ორმოსამარხი № 8** (სამ. № 4. 1976 წ.). აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 80 სმ სიღრმეზე. ორმოს ზომებია: 1,3×1 მ. ორმოსამარხი გადახურული ყოფილა ხის ძელებით. მიცვალებული იდო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით, ინვენტარი მეტად ღარიბულია.

1. მ ძ ი ვ ე ბ ი—ძვლის, თეთრი, მოხატული ფერადი ორნამენტით; ლურჯი, მოზაიკური (სავ. № 19. ტაბ. LIII-8).

**ორმოსამარხი № 9** (სამ. № 5. 1976 წ.). სამარხი ორმო აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 30 სმ სიღრმეზე. მიცვალებული იდო მარჯვენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში თავით აღმოსავლეთით, სამარხეული ინვენტარი:

1. დ ო ქ ი (სავ. № 21. ტაბ. LIII-7)—თხელკეციანი, ჩალისფრად გამომწვარი, ცალყურა, პირგადაშლილი, ყური მიძერწილი აქვს პირსა და მუცელთან. ყელსა და მუცელზე შემოუყვება წითელი საღებავის პარალელური ხაზები.

2. მ ძ ი ვ ე ბ ი—მინის, მოზაიკური და მილისებური (სავ. № 19. ტაბ. LIII-9).

3. საყურე—ვერცხლის (2 ც.) (სავ. № 20).

**ორმოსამარხი № 10** (სამარხი № 6. 1977 წ.). აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 50 სმ სიღრმეზე. ჩონჩხი იდო მარჯვენა გვერდზე მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთით.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ჭ ი ნ ჭ ი ლ ა—თიხის (სავ. №87, ტაბ. LV-1) წვრილმარცვლოვანი თიხისა. შავად გამომწვარი, ცალყურა, გამოყვანილყელიანი. ყური მიძერწილია ყელსა და მუცელზე, ბრტყელძირიანი. h—11 სმ, პ d—4 სმ, ძ d—5,5 სმ.

2. ჯ ა მ ი ს ნატეხები (სავ. № 88)—ვარდისფრად გამომწვარი, პირშეზნექილი, ქუსლიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ორმოსამარხი № 11.** (სამ. № 8. 1977 წ.) დაზიანებულია. ინვენტარიდან შემორჩენილია:

1. დ ო ქ ი (სავ. № 57. ტაბ. LV-2)—თხელკეციანი, ვარდისფრად გამომწვარი, ცალყურა, პირგადაშლილი, ყური მიძერწილია პირსა და მუცელთან. ბრტყელძირიანი. h—16 სმ, პ d—6 სმ, ძ d—5 სმ.

2. ჯ ა მ ი (სავ. № 56. ტაბ. LIV-3)—თხელკეციანი, ლეგად გამომწვარი, პირმოყრილი. მხარსა და ყელს შორის რელიეფურად ამოღარული ზოლებით, ბრტყელძირიანი. პ d—16 სმ, ძ d—7 სმ.

**ორმოსამარხი № 12** (სამ. № 11. 1977 წ.). აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან 30 სმ სიღრმეზე. ჩონჩხი დამხრობილი იყო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით ჩრდილო-დასავლეთით. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. კ ო ჭ ო ბ ი (სავ. № 105. ტაბ. LV-4)—თხელკეციანი, ვარდისფრად გამომწვარი, ცალყურა, პირგადაშლილი. ყური მიძერწილი აქვს მხარსა და მუცელზე.

**ორმოსამარხი № 13** (სამ. № 2. 1978 წ.). სამარხი დაზიანებულია. ამდენად, ზომების დადგენა არ მოხერხდა. ჩონჩხი იდო მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი  ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. დ ო ქ ი (სავ. № 44. ტაბ. LV-5)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, ვარდისფრად გამომწვარი, ცალყურა, პირგადაშლილი. ყური მიძერწილია პირსა და მუცელზე. ბრტყელძირა.

2. აბზინდები—ბრინჯაოსი (სავ. № 45. ტაბ. LV-6).

**ორმოსამარხი № 14** (სამ. № 3. 1978 წ.). სამარხი ორმო დაზიანებულია. იგი სრულიად უინვენტაროა.

**ორმოსამარხი № 15** (სამ. № 5. 1978 წ.). სამარხი ორმოს ზომებია: სიგრძე 1,50 მ, სიგანე 1,20 მ. ორმო რიყის ქვებითაა შემოზღუდული. ჩონჩხს ზემოდან ედო ხის ძელი, რომლის სიგრძე დაახლოებით 90 სმ-ია. მიცვალებული დამხრობილია მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით აღმოსავლეთით.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი  ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. ხ ე ლ ა დ ა (სავ. № 49. ტაბ. VI-1)—წვრილმარცვლიანი თიხისა, ცალყურა, პირგადაშლილი, ყელწიბოიანი. ყური მიძერწილი აქვს ყელის წიბოსა და მუცელზე. ბრტყელძირიანი. h—15 სმ, პ d—6,5 სმ, ძ d—8,5 სმ.

2. ხ ე ლ ა დ ა (სავ. № 50. ტაბ. LVI-2)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, ვარდისფრად გამომწვარი, პირგადაშლილი, ყელწიბოიანი, ყური მიძერწილი აქვს ყელის წიბოსა და მუცელზე. h—16 სმ,; პ d—7 სმ, ძ d—11 სმ.

3. ფ ი ა ლ ა (სავ. № 51. ტაბ. LVI-3)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, რუხად გამომწვარი, პირშეზნექილი, პროფილირებული, დაბალი ქუსლით. ხაოიანი ზედაპირით.

4. ბ ე ჭ ე დ ი (სავ. № 52)—რკინის, ოვალური ბუდით, მხრებშესქელებული, მინისთვლიანი.

5. მ ძ ი ვ ე ბ ი (სავ. №53. ტაბ. LVI-4)—პასტის, კანელურებიანი (4 ც.) და იოტები.

**ქვაყუთი № 1** (1972 წ.). შედგენილგვერდებიანია. სახურავად გამოყენებულია სამი ქვა. ქვაყუთში ორი მიცვალებული ესვენა: ერთი გულაღმა, მეორე გვერდზე მიწეული. ქვაყუთი უინვენტაროა.

**ქვაყუთი № 2** (1972 წ.). მთლიანგვერდებიანია. იმის გამო, რომ სამარხი მიწის ზედაპირიდან ახლოს იყო და ზედ გადიოდა გზა, სამარხი ჩალეწილი იყო და ამიტომ ძნელი გასაგებია ერთი ქვით იყო გადახურული თუ ორით. ჩონჩხი არეული იყო. ქვაყუთის მცირე ზომები იმის მანიშნებელია, რომ მიცვალებული მოკუნტულ მდგომარეობაში ესვენა. სამარხი უინვენტაროა.

**ქვაყუთი № 3** (1972 წ.). შედგენილგვერდებიანია. გადახურული იყო ორი ქვით. ჩონჩხი ძალზე დაზიანებული იყო, იწვა გულაღმა. ინვენტარიდან აღმოჩნდა:

1. ხ ე ლ ა დ ა (სავ. № 63. ტაბ. LVI-6)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, წითლად შეღებილი, ცალყურა, პირგადაშლილი, მსხლისებური მუცლით, ვიწროყელიანი, ყური მიძერწილი აქვს მხარსა და პირზე. ბრტყელძირიანი, h—14 სმ, ძ d—6,5 სმ.

2. საყურე რგოლი ვერცხლის (2 ც.) (ტაბ. LVI—7).

**ქვაყუთი № 4** (1978 წ.). სამარხს სამი მხრიდან (ჩრდილოეთი, დასავლეთი, სამხრეთი) მიფარებული აქვს ქვები. გადახურულია ქვევრის დიდი ნატეხებით. ჩონჩხი დამხრობილია მარჯვენა გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ქვაყუთში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. ჯ ა მ ი (სავ. № 42. ტაბ. LVII-1)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, ვარდისფრად გამომწვარი, პირშეზნექილი, მხარწიბოიანი, ბრტყელძირიანი. ძირზე ოთხი ნახვრეტით.

2. ჭ ი ნ ჭ ი ლ ა (სავ. № 43. ტაბ. LVII-2)—წვრილმარცვლოვანი თიხისა, შავად გამომწვარი, ცალყურა, გამოყვანილ ყელიანი, პირგადაშლილი, სფერულმუცლიანი, ყური მიძერწილი აქვს პირსა და მუცელზე. h—13 სმ, პ d—4 სმ, ძ d—7 სმ.

**ქვაყუთი № 6** (1978 წ.). სამარხი მართკუთხაა. სიგრძე — 2,10 მ. სიგანე—80 სმ. ქვაყუთში აღმოჩნდა ორი ჩონჩხი, რომელნიც დაკრძალულნი არიან მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით, სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ნივთები:

1. სამაჯური რკინის, გატეხილი (სავ. № 62. ტაბ. LVII—3).

2. სამაჯური ბრინჯაოსი, წვრილღეროიანი, ნატეხი (სავ. № 65). (ტაბ. LVII—4).

3. მ ძ ი ვ ე ბ ი პასტისა, სფერული, ერთი ბრინჯაოსი, ყუნწიანი (სავ. № 64. ტაბ. LVII-6).

4. მძივები ნიჟარისა (სავ. № 64. ტაბ. LVII-6).

**ქვაყუთი № 6** (1978 წ.). სამარხი მართკუთხაა, შედგება ოთხი ფილაქვისაგან. სახურავად გამოყენებულია 2 ქვა. სამარხის ზომებია: $2,50 \times 2,20$. ჩონჩხი არეულია. ქვაყუთში აღმოჩნდა ოთხი თავის ქალა.

ს ა მ ა რ ხ ე უ ლ ი ი ნ ვ ე ნ ტ ა რ ი:

1. მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ი (სავ. № 57. 58. ტაბ. LVII-5)—ბრინჯაოსი, მოხრილრკალიანი, რკალზე ასხმულია ბუდე. ამ რკალზე დამაგრებული ნემსი ერთი მთლიანი მავთულისაგან შედგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ბ ე ჭ ე დ ი —რკინის, ოვალური ბუდითა და თვლით, ორი ცალი (სავ. № 59, 60).

3. ქ ი ნ ძ ი ს თ ა ვ ი —რკინის, ორი ცალი, ნატეხი (სავ. № 61 ტაბ. LVI—7).

აღწერილ სამარხეულ ინვენტარში ძირითადია თიხის ჭურჭელი. გარეგანი ნიშნების მიხედვით ისინი შეიძლება შემდეგ მთავარ ჯგუფებად დაიყოს:

I ჯ გ უ ფ ი — დ ო ქ ე ბ ი, მათში ორი ტიპი გამოიყოფა:

1. ცალყურა, პირგადაშლილი, მსხლისებური მუცლით. ყური მიძერწილია პირსა და მუცელთან.

2. ცალყურა, პირგადაშლილი, მსხლისებური მუცლით, ყური მიძერწილია ყელსა და მხართან.

II ჯ გ უ ფ ი — ხ ე ლ ა დ ე ბ ი, აქაც ორი ტიპი გამოიყოფა:

1. ცალყურა, ყელწიბოიანი, პირგადაშლილი, მსხლისებური ფორმის მუცლით, ყური მიძერწილია ყელის წიბოსა და მუცელზე, ბრტყელძირიანი.

2. ორყურა, პირშეზნექილი.

III ჯ გ უ ფ ი — კ ო ჭ ო ბ ე ბ ი. ამ ჯგუფში ოთხი ტიპი გამოიყოფა:

1. ცალყურა, პირგადაშლილი, დიდი სფერული მუცლით, ყური მიძერწილი პირსა და მხართან.

2. ცალყურა, პირგადაშლილი, გამოყვანილყელიანი, ზომიერად მუცელგამობერილი, ყური მიძერწილია პირსა და მუცელთან.

3. ცალყურა, პირგადაშლილი, სფერული მუცლით. ყური მიძერწილია ყელსა და მუცელთან.

4. უყურო, პირგადაშლილი, დიდი სფერული მუცლით.

IV ჯ გ უ ფ ი — ჭ ი ნ ჭ ი ლ ა. ამ ჯგუფში ორი ტიპი გამოიყოფა:

1. ცალყურა, პირგადაშლილი, გამოყვანილყელიანი, ზომიერად მუცელგამობერილი, ყური მიძერწილია პირსა და მხართან.

2. ცალყურა, მაღალი, გამოყვანილი ყელით, პირგადაშლილი, ყური მიძერწილია ყელსა და მუცელზე.

გ. უყურო, პირგადაშლილი, ზომიერად მუცელგამობერილი, ბრტყელძირიანი.

V ჯ გ უ ფ ი — ფ ი ა ლ ე ბ ი: პირშეზნექილი, დაბალი, გამოკვეთილი ქუსლით.

VI ჯ გ უ ფ ი — ჯ ა მ ე ბ ი: ა) ოდნავ პირშეზნექილი, უქუსლო.

განხილული სამარხებიდან გამონაკლისს შეადგენენ ქვაყუთები — № 5 და № 6; თავისი სამარხეული ინვენტარის მიხედვით ისინი ადრეფეოდალურ ხანას განეკუთვნებიან.

ამრიგად, „საყარაულო სერის“ სამაროვანზე ანტიკური ხანის ორმოსამარხებში მიკვლეული კერამიკული მასალა თავისი ფორმებით მრავალ პარალელს პოულობს. ასეთივე თიხის ჭურჭლის ანალოგიური ფორმები მიკვლეულია სამთავროში, თბილისის მიდამოებში, არმაზის ხევში, ურბნისში, „ბამბების“ ნამოსახლარზე და სხვა.

ბრინჯაოს ზარაკები, სამაჯურები და ბეჭდები, აღმოჩენილი ჩვენს მიერ გათხრილ ორმოსამარხებში, ფართოდაა გავრცელებული ელინისტური ხანის ძეგლებზე.

მძივები სარდიონის, მინისა და პასტის, რომელიც ასე უხვადაა აღმოჩენილი „საყარაულო სერის“ ორმოსამარხებში, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლებისთვის არის დამახასიათებელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია საყარაულო სერის სამაროვნის ანტიკური ხანის ორმოსამარხები ძვ. წ. III და ახ. წ. I ს. ქრონოლოგიურ ჩარჩოებში მოვაქციოთ.

ზუსტი დათარიღება ძეგლისა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მისი საბოლოოდ შესწავლის შედეგად.

Л. С. КАЗАХИШВИЛИ

## ГРУНТОВЫЕ ПОГРЕБЕНИЯ И КАМЕННЫЕ ЯЩИКИ АНТИЧНОГО ПЕРИОДА МОГИЛЬНИКА «САКАРАУЛО СЕРИ»

(таб. LI—LVII)

Резюме

На могильнике «Сакараули сери» были раскопаны грунтовые погребения и каменные ящики античного периода. Исключение составляют каменные ящики — № 5 и № 6, относящиеся по своему погребальному инвентарю к раннефеодальному периоду.

Уровень погребений от древной поверхности разный. Погребальный обряд почти одинаков: костяк лежит в сильно скорченном положении на правом или левом боку.

Керамика в основном представлена столовой и кухонной посудой черного и розового обжига.

Среди украшений выделяются бусы из сердолика, стекла и пасты; бронзовые и серебряные серьги, браслеты и колокольчики.

Материал, найденный в грунтовых погребениях и каменных ящиках могильника «Сакараули сери», аналогичен материалу Самтавро, Армазисхеви, Уплисцихе, Камарахеви, Аркнети, Урбниси. Следовательно, мы находим возможным датировать грунтовые погребения и каменные ящики могильника «Сакараули сери» III—I вв. до н. э.

Более точная датировка памятника будет возможна после его окончательного изучения.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტაბულების აღწერილობა

I—1,2.—№ 15 სამარხის ინვენტარი; 3—6. № 22 სამარხის ინვენტარი.

II—IV. № 9 სამარხის ინვენტარი.

V—1—4. № 12 სამარხის ინვენტარი.

VI—VII. № 1 სამარხის ინვენტარი.

VIII— 1—7. № 1 სამარხის ინვენტარი; 8—10. № 2 სამარხის ინვენტარი.

IX. „ქასრაანთ მიწების“ გეგმა.

X. № 1 სამარხის ინვენტარი.

XI—1—5. № 2 სამარხის ინვენტარი; 6. № 4 სამარხის ინვენტარი; 7. № 5 სამარხის ინვენტარი.

XII. № 3 სამარხის ინვენტარი.

XIII—1—3. № 6 სამარხის ინვენტარი; 4. № 8 სამარხის ინვენტარი; 5. № 7 სამარხის ინვენტარი.

XIV—1—4. № 9 სამარხის ინვენტარი; 5, 6. № 10 სამარხის ინვენტარი.

XV. № 12 სამარხის ინვენტარი.

XVI—1,3 № 13 სამარხის ინვენტარი; 4, 6. № 15 სამარხის ინვენტარი; 7. № 14 სამარხის ინვენტარი.

XVII—1,2. № 16 სამარხის ინვენტარი; 3. № 17 სამარხის ინვენტარი.

XVIII. № 18 სამარხის ინვენტარი.

XIX—1, 2 № 19 სამარხის ინვენტარი; 3, 4. № 20 სამარხის ინვენტარი; 5,7. № 22 სამარხის ინვენტარი.

XX. № 23 სამარხის ინვენტარი.

XXI. № 24 სამარხის ინვენტარი.

XXII—1,2. № 25 სამარხის ინვენტარი; 3, 4. № 26 სამარხის ინვენტარი.

XXIII—1. № 27 სამარხის ინვენტარი; 2—7. № 28 სამარხის ინვენტარი.

XXIV—1—3. № 29 სამარხის ინვენტარი; 4, 5. № 30 სამარხის ინვენტარი.

XXV. № 1 სამარხის ინვენტარი.

XXVI. № 2 სამარხის ინვენტარი.

XXVII. № 5 სამარხის ინვენტარი.

XXVIII. № 6 სამარხის ინვენტარი.

XXIX. 5—7, 9. № 7 სამარხის ინვენტარი; 1—4,8. № 9 სამარხის ინვენტარი.

XXX. № 8 სამარხის ინვენტარი.

XXXI. № 10 სამარხის ინვენტარი.

XXXII. № 11 სამარხის ინვენტარი.

XXXIII. 1. № 22 სამარხის ინვენტარი; 2. № 21 სამარხის ინვენტარი; 3—6. № 13 სამარხის ინვენტარი.

XXXIV. № 14 ქვევრსამარხის ინვენტარი.

XXXV. 1—3. № 15 სამარხის ინვენტარი; 4—7. № 16 სამარხის ინვენტარი; 8—10. № 17. სამარხის ინვენტარი.

XXXVI. № 18 სამარხის ინვენტარი.

XXXVII. № 19 სამარხის ინვენტარი.

XXXVIII. 1—6. № 24 სამარხის ინვენტარი; 7—13. № 23 სამარხის ინვენტარი.

XXXIX. № 25 სამარხის ინვენტარი.

XL. 1—2. № 20 სამარხის ინვენტარი; 3—5. № 26 სამარხის ინვენტარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XLI. 1—3, 5. № 2 სამარხის ინვენტარი; 7—9. № 1 სამარხის ინვენტარი.
XLII. 1—3. № 3 სამარხის ინვენტარი; 4—9. № 5 სამარხის ინვენტარი.
XLIII. 1—5. № 6 სამარხის ინვენტარი; 6—11. № 8 სამარხის ინვენტარი.
XLIV. № 7 სამარხის ინვენტარი.
XLV. № 9 სამარხის ინვენტარი.
XLVI. 1—2. № 11 სამარხის ინვენტარი; 3—7. № 10 სამარხის ინვენტარი.
XLVII. 1-4. № 12 სამარხის ინვენტარი; 5, 6. № 14 სამარხის ინვენტარი.
XLVIII. № 13 სამარხის ინვენტარი.
XLIX. № 15 სამარხის ინვენტარი.
L. 1—4. № 16 სამარხის ინვენტარი.
LI. № 4 სამარხის ინვენტარი.
LII. 1—3. № 5 სამარხის ინვენტარი; 4—6. № 6 სამარხის ინვენტარი; 7—9. № 9 სამარხის ინვენტარი; 8. № 8 სამარხის ინვენტარი.
LIII. № 7 სამარხის ინვენტარი.
LIV. 1. № 10 სამარხის ინვენტარი. 2—3. № 11 სამარხის ინვენტარი; 4. № 12 სამარხის ინვენტარი, 5. № 13 სამარხის ინვენტარი
LV. 1—4. № 15 სამარხის ინვენტარი; 5—6. № 3 ქვაყუთის ინვენტარი.
LVI. 1,2. ქვაყუთი № 4 ინვენტარი; 3, 4, 6. ქვაყუთი № 5 ინვენტარი.
LVII. ქვაყუთი № 6 ინვენტარი.

## ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

I. 1,2. Инвентарь погребения № 15; 3, 6. Инвентарь погребения № 22.
II—IV. Инвентарь погребения № 9.
V. 1—4. Инвентарь погребения № 12.
VI—VII. Инвентарь погр. № 1.
VIII. 1—7. Инвентарь погр. № I, 8—10. Инвентарь погр. № 2.
IX. Геплан могильника «Касраант мицеби».
X. Инвентарь погр. № 1.
XI. 1, 5. Инвентарь погр. № 2; 6. Инвентарь погр. № 4; 7. Инвентарь, № 5. погр.
XII. Инвентарь погр. № 3.
XIII 1,3. Инвентарь погр. № 6; Инвентарь погр. № 8; 5. Инвентарь погр. № 7.
XIV. 1,4. Инвентарь погр. № 9; 5, 6. Инвентарь погр. № 10.
XV. Инвентарь погр. № 12
XVI. 1, 3. Инвентарь погр. № 13; 4, 6. Инвентарь погр. № 15; 7. Инвентарь погребения № 14.
XVII. 1,2. Инвентарь погр. № 16; 3. Инвентарь погр. № 17.
XVIII. Инвентарь погр. № 18.
XIX. 1,2 .Инвентарь погр. № 19; 3, 4. Инвентарь погр. № 20; 5—7. Инвентарь погр. № 22.
XX. Инвентарь погр. № 23.
XXI. Инвентарь погр. № 24.
XXII. 1, 2. Инвентарь погр. № 25; 3, 4. Инвентарь погр. № 26.
XXIII. 1. Инвентарь погр. № 27; 2, 7. Инвентарь погр. № 28.
XXIV. 1, 3. Инвентарь погр. № 29; 4, 5. Инвентарь погр. № 30.
XXV. Инвентарь погр. № 1.
XXVI. Инвентарь псгр. №2.
XXVII. Инвентарь погр. № 5.
XXVIII. Инвентарь погр. № 6.
XXIX. 5—7. Инвентарь погр. № 7; 1, 4, 8. Инвентарь погр. № 9.
XXX. Инвентарь погр. № 8.
XXXI. Инвентарь погр. № 10.
XXXII. Инвентарь погр. № 11 .

XXXIII. 1. Инвентарь погр. № 22; 2. Инвентарь погр. № 21; 3, 6. Инвентарь погр. № 13.
XXXIV. Инвентарь погр. № 14.
XXXV. 1,3. Инвентарь погр. № 15; 4,7. Инвентарь погр. № 16; 8,10. Инвентарь погр. № 17.
XXXVI. Инвентарь погр. № 18.
XXXVII. Инвентарь погр. № 19.
XXXVIII. 1, 6. Инвентарь погр. № 24; 7, 13. Инвентарь погр. № 23.
XXXIX. Инвентарь погр. № 25.
XL. 1, 2. Инвентарь погр. № 20; 3—5. Инвентарь погр. № 26.
XLI. 1, 3, 5. Инвентарь погр. № 7; 9. Инвентарь погр. № 1.
XLII. 1, 3. Инвентарь погр. № 3; 4, 9. Инвентарь погр. № 5.
XLIII. 1,5. Инвентарь погр. № 6; 6, 11 Инвентарь погр. № 8.
XLIV. Инвентарь погр. № 7.
XLV. Инвентарь погр. № 9.
XLVI. 1,2. Инвентарь погр. № 11, 3; 7. Инвентарь погр. № 10.
XLVII. 1,4. Инвентарь погр. № 12; 5, 6. Инвентарь погр. № 14.
XLVIII. Инвентарь погр. № 13.
XLIX. Инвентарь погр. № 15.
L. 1—2. Инвентарь погр. № 16.
LI. Инвентарь погр. № 4.
LII. I—3. Инвентарь погр. № 5; 4—6. Инвентарь погр. № 6. 7, 9. Инвентарь погр. № 9; 8. Инвентарь погр. № 8.
LIII. Инвентарь погр. № 7.
LIV. 1. Инвентарь погр. № 10; 2, 3. Инвентарь погр. № 11; 4. Инвентарь погр. № 12; 5. Инвентарь погр. № 13.
LV. 1, 4. Инвентарь погр. № 15; 6, 7. Инвентарь ящечного погр. № 3.
LVI. 1, 2. Инвентарь ящечного погр. № 4; 3, 4, 6. Инвентарь ящечного погр. № 5.
LVII. Инвентарь ящечного погр. № 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაბულები

# ТАБЛИЦЫ

I

ეროვნული
ბიბლიოთეკა



II
ეროვნული
ბიბლიოთეკა

1




2



III

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2




3



ეროვნული
ბიბლიოთეკა

V

1



2




3



4



ეროვნული ბიბლიოთეკა

1



2



0 1 2 3

VII




ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავთისხევი. ქასრაანთ მიწების სამაროვანი. გეგმა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

1



2



3




4






ციფრული ბიბლიოთეკა

XII

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



XV

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

1



2




3



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა






ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



1



2

0 1 2

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



1

2





3

0 1 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



XXXVII

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1



2



3



4



0 1 2

ეროვნული
ბიბლიოთეკა






ეროვნული ბიბლიოთეკა




XL
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



XLVII

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



XLIX

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა






ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



LIV
ეროვნული
ბიბლიოთეკა




1
2
0 1 2 3
3
4
0 4
5
6
0 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



1






2



3



4



5



6



7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

1. რედაქტორისაგან . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 3

2. ჯ. გვეტაძე. გვიანი ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ორმოსამარხები საყარაულო სერიდან (ტაბ. I—VIII) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 6

Д. П. Гветадзе. Грунтовые погребения позднебронзового и раннежелезного периода могильника «Сакарауло сери» (резюме) . . . . . . . 13

3. ე. ბერაძე. ანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქარსრაანთ მიწების“ სამაროვნიდან (ტაბ. IX—XXIV) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 14

Э. Г. Берадзе. Грунтовые погребения раннеантичного периода могильника «Қасраант мицеби» (резюме) . . . . . . . . . . . . . . . . 27

4. ნ. ნაკაიძე. ძვ. წ. IV—III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან (ტაბ. XXV—XXXIX) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 28

Н. Л. Накаидзе. Кувшинные погребения могильника «Дачрилеби» IV—III вв. до н. э. (резюме) . . . . . . . . . . . . . . 40

5. გ. ჯინჯიხაშვილი. ძვ. წ. I და ახ. წ. I სს. ქვევრსამარხები „საყარაულო სერის“ სამაროვნიდან (ტაბ XLI—L) . . . . . . . . . . . . . . . . . . 42

Г. И. Джинджихашвили. Кувшинные погребения I в. до н. э.—I в. н. э. из. могильника «Сакарауло сери» (резюме) . . . . . . . . . 58

6. ლ. ყაზახიშვილი. ანტიკური ხანის ორმოსამარხები და ქვაყუთები „საყარაულო სერის“ სამაროვნიდან (LXI—LXVII) . . . . . . . . . . . . . . . 60

Л. С. Қазахишвили. Грунтовые погребения и каменные ящики античного периода могильника «Сакарауло сери» (резюмеl . . . . . . . . . 67

7. ტაბულების აღწერილობა . . . . . . . . . . . . 68

Описание таблиц . . . . . . . . . . . . . . . 69

8. ტაბულები . . . . . . . . . . . . . . . . .

Таблицы . . . . . . . . . . . . . . . .

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ КАВТИСХЕВИ

(На грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატები დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი,
ალ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი

*

ИБ 1159

რედაქტორი გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი
გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ელ. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი

გადაეცა წარმოებას 29.2. 1980; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.12. 1980;
ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$; ქაღალდი № 1; ნაბეჭდი თაბახი 11.6;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 9.7;

უე 01278; ტირაჟი 600; შეკვეთა № 818;

ფასი 1 მან. 20 კაპ.

---

Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

---

საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

233/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა